ირმა დოლიძე

# ნარკვევები

## XIX საუკუნის სათეატრო არქიტექტურის ისტორიიდან

ირმა დოლიძე

# ნარკვევები

## XIX საუკუნის სათეატრო არქიტექტურის ისტორიიდან

საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

გამომცემლობა ,,კენტავრი‘‘
თბილისი
2020

რედაქტორი – **ნათელა ჯაბუა**
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
EDITOR: **NATELA JABUA,** Dr. of Art Sciences

რეცენზენტი – **ირინე აბესაძე**
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ემერიტუსი
REVIEWER: **IRINE ABESADZE,** Dr. of Art Sciences, Emeritus

ლიტერატურული რედაქტორი: **ქეთევან ელაშვილი**
LITERARY EDITOR: **KETEVAN ELASHVILI**

თარგმანი: **მანანა პაიჭაძე**
TRANSLATION BY: **MANANA PAICHADZE**

ტექსტის კორექტორი: **მანანა სანადირაძე**
TEXT EDITOR: **MANANA SANADIRADZE**

დიზაინი და დაკაბადონება: **ეკატერინე ოქროპირიძე**
LAYAUT DESIGN BY: **EKATERINE OKROPIRIDZE**

ყდის დიზაინი: **მარიამ უშხვანი**
COVER DESIN BY: **MARIAM USHKHVANI**

სახელმძღვანელო გამოიცა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით.

© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, 2020
© Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University Publishing House “Kentavri”, 2020

ISBN 978-9941-9717-1-6

**IRMA DOLIDZE**

# Towards the history of theatre chitecture of the 19$^{th}$ century

Shota Rustaveli  Theater and Film Georgian State University
Dimitri Janelidze Scientific-Research Institutution

Publishing House „Kentavri“
Tbilisi
2020

წიგნში გამოყენებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, საქართველოს ეროვნულ არქივში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, საქართველოს კულტურის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში /ხელოვნების სასახლე/, პეტერბურგის საისტორიო არქივში დაცული ფოტო, დოკუმენტური და გრაფიკული მასალა.

## შემოკლებები:

**სკმდეს** – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

**სემ** – საქართველოს ეროვნული მუზეუმი

**სემ/ხმ** – საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი

**სემ/თიმ** – საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმი

**სეა** – საქართველოს ეროვნული არქივი

**სკისმ** – საქართველოს კულტურის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი / ხელოვნების სასახლე

**ბმმ** – ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

**სპებ** – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრის ფოტოები გადაღებულია ირმა დოლიძის მიერ.

წიგნში – „ნარკვევები XIX საუკუნის სათეატრო არქიტექტურის ისტორიიდან“ – ოთხი ნარკვევის სახით წარმოდგენილია უახაესი კვლევები სათეატრო არქიტექტურის ოთხ ნიმუშზე, რომელთაგან სამი დღეს აღარ არსებობს: ტფილისის საზაფხულო თეატრი (1870), ბორჯომის საზაფხულო თეატრი (1895), სათავადაზა-ნურო საადგილმამულო ბანკის თეატრი (1878). გამონაკლისია სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრი (1897) – ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი უძველესი სათეატრო ნაგებობა საქართველოში.

XIX საუკუნის II ნახევარში თბილისსა და საქართველოს პროვინციებში აგებული ეს სათეატრო შენობები შესწავლილია არქივებში, სამუზეუმო ფონდებსა და საცავებში მოძიებული გრაფიკული და დოკუმენტური (პროექტები, ჩანახატები, ოფიციალური კორესპონდენცია, ფოტოები და სხვ.) მასალების, მათი იდენტიფიცირებისა და სხავდასხვა წყაროსთან შეჯერების საფუძველზე. სათეატრო ნაგებობათა ისტორიის „რეკონსტრუქცია“, საარქივო მასალებთან ერთად, ეყრდნობა, ასევე, იმდროინდელ პრესას, საცნობარო ხასიათის პერიოდულ გამოცემებს, მოგონებებს და ა.შ. მათი ნაწილი პირველად ქვეყნდება.

თბილისის, ბორჯომისა და სოფელ ქვემო მაჩხაანის სათეატრო ნაგებობათა შესწავლა მნიშვნელოვნად აფართოვებს ჩვენს ცოდნას XIX საუკუნის არა მხოლოდ სათეატრო ცხოვრების, არქიტექტურის და, კონკრეტულად, სათეატრო არქიტექტურის შესახებ, არამედ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ პერიოდის საზოგადოებრივ-კულტურული განვითარების დონეზე.

In the book "Towards the history of theatre architecture of the 19th century" four latest research articles on the four known examples of theatre architecture are presented. Of these four monuments, three have not survived: The Summer Theatre of Tiflis (1870), The Borjomi Summer Theatre (1895), The Theatre of the Noble Bank in Tiflis (1878). An exception is the Kvemo Machkhaani Village Theatre  (1897) - one of the oldest surviving theatre buildings in Georgia.

These theatre buildings, built in the second half of the 19th century in Tbilisi and in the Georgian provinces, have been researched on the basis of analysis, identification and comparison with other sources of existing graphic and documentary materials (projects, designs, sketches, official correspondence, photographs, etc.) found in the archives, museum funds and storage chambers. The "reconstruction" of the history of the theatre buildings, together with the archival materials, is based on the press of the time, periodical publications of an informative nature, memoirs, etc. Some of these are published for the first time. Some of these are being published for the first time.

The study of the theatre buildings of Tbilisi, Borjomi and the village of Kvemo Machkhaani significantly expands our knowledge not only about theatre life and theatre architecture of the 19th century, but also gives us a clear idea of the level of social and cultural development of that time.

# სარჩევი


შესავალი ........ 8

I ნარკვევი
ტფილისის საზაფხულო თეატრი ........ 10

II ნარკვევი
სათავადაზნაურო სააღგილმამულო
ბანკის თეატრი ........ 35

III ნარკვევი
ბორჯომის საზაფხულო თეატრი ........ 63

IV ნარკვევი
სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრი ........ 89

TOWARDS THE HISTORY OF THEATRE ARCHITECTURE
OF THE 19TH CENTURY ........ 119

ბიბლიოგრაფია ........ 132

# შესავალი

პირველი ევროპული ტიპის სათეატრო ნაგებობები საქართველოში, XIX საუკუნის შუა ხანებიდან თბილისში იგება. სათეატრო შენობებად დაპროექტებულ და აგებულ თეატრებთან ერთად გვხვდება სათეატრო სივრცეებად გადაკეთებული შენობებიც. არქიტექტურული სტრუქტურით ისინი დახურული ტიპის სათეატრო ნაგებობებია პერსპექტიული სცენა-კოლოფით და იარუსული დარბაზით (ევროპაში შექმნილი სათეატრო არქიტექტურის ეს კომპოზიცია დღემდე უცვლელია). მისი ფორმირება მიმდინარეობდა XIX საუკუნის განმავლობაში და გასული საუკუნის დასაწყისში დასრულდა.

სათეატრო შენობების დაპროექტებასა და მშენებლობაზე საქართველოში მოწვეული ევროპელი არქიტექტორები (ასევე, საქართველოში მცხოვრები ევროპელები) მუშაობდნენ. ისინი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში მოღვაწეობდნენ, მათ შორის თბილისშიც. სათეატრო შენობებად დაპროექტებულ-აგებული თეატრებია: ტფილისის თეატრი ე. წ. ქარვასლის თეატრი (1847-1851), არქ. ჯ. სკუდიერი; ტფილისის საზაფხულო თეატრი (1869-1870), არქ. ა. ზალცმანი; სახაზინო (ოპერის) თეატრი (1880-1896), არქ. ვ. შრეტერი; „არტისტული საზოგადოების" თეატრი (1898-1901), არქ.: ა. შიმკევიჩი, კ. ტატიშჩევი; კ. ზუბალაშვილის სახელობის საქალაქო სახალხო სახლი (1901-1909), არქ. ს. კრიჩინსკი. სათეატრო სივრცეებად გადაკეთებული შენობები იყო: მანეჟის თეატრი (1845), არქ. ი. ივანოვი; სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი - არქ. ა. ფონ სკოიანი (1878), არქ. პ. შტერნი (1887-1888), ქრ. ტერ-სარქისოვი (სატუნცი) (1906-1908).

თბილისში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში შვიდი სათეატრო შენობაა ცნობილი, განსხვავებულია მათი ფუქნციონირების პერიოდი, არქიტექტურული გადაწყვეტა, არსებობის დრო. შვიდი თეატრიდან ექვსი თავმოყრილია ისტორიულ გარეთუბანში, იმდროინდელი თბილისის ახალ უბანში, რომლის განაშენიანებაც ინტენსიურად მიმდინარეობდა XIX საუკუნეში და უმთავრესი ადგილი ადმინისტრაციულ შენობებს

ეკავა. პასკევიჩ-ერევანსკის (დღეს თავისუფლების) მოედნიდან[1] გოლოვინის (დღეს რუსთაველის) პროსპექტის მიმართულებით ნახევარი საუკუნის განმავლობაში რამდენიმე სათეატრო ნაგებობაა. მათგან ორი - მანეჟის და სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის – თეატრებად გადაკეთებული ნაგებობებია, დანარჩენი – ქარვასლის თეატრი, საზაფხულო თეატრი, სახაზინო და „არტისტული საზოგადოების“ თეატრები თავიდანვე ამ ფუნქციით აშენდა. სათეატრო არქიტექტურის კონცენტრაცია ქალაქის ამ ნაწილში მისი განაშენიანების სპეციფიკაზეც დაგვაფიქრებს. XXI საუკუნის გადასახედიდან კი ეს თავისებური გარემოება მეტ ინტერესს აღძრავს. გარდა ამისა, ზემოაღნიშნულ სათეატრო შენობათაგან ორი - ქარვასლის სტრუქტურაშია ჩართული. ასეთია: პასკევიჩ-ერევანსკის მოედანზე მდებარე ტფილისის თეატრი იგივე ქარვასლის თეატრი, რომელიც თავიდანვე ამ ორმაგი ფუნქციური (სავაჭრო და სათეატრო) დატვირთვით იყო ჩაფიქრებული და სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი, რომელიც უკვე არსებულ ქარვასლის შენობაში, მისი გადაკეთების შემდეგ, ინტეგრირდა და დროთა განმავლობაში არაერთი რეკონსტრუქცია განიცადა (სურ. 1, 2, 3).

თბილისის, როგორც დედაქალაქის როლი სათეატრო ხელოვნების და სათეატრო არქიტექტურის ისტორიაში გამორჩეულია, თუმცა ის საერთო მოზაიკის მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის უაღრესად საგულისხმო და მრავალმხრივ საინტერესო სურათს საქართველოს პროვინციებში დღემდე შემორჩენილი და აქამდე შეუსწავლელი სათეატრო ნაგებობები ქმნიან.

[1] მოედნისთვის გრაფ პასკევიჩ-ერევნელის სახელის მინიჭება დაკავშირებულია 1829 წელს რუსეთის ჯარის მიერ ერევანთან მოპოვებულ გამარჯვებასთან, რომლის აღსანიშნავადაც ჯარის სარდალს - ი. პასკევიჩს ერევნის გრაფის (Граф Еривански) წოდება მიენიჭა, თბილისის მთავარ მოედანს კი “პასკევიჩ-ერევანსკის” ან შემოკლებით “ერევანსკი”. დროთა განმავლობაში შემოკლებული ფორმა “ერევანსკი“ ტრანსფორმირდა და „ერევნის“ მოედნად იწოდებოდა. აღნიშნულ მოედანს ჩვენ მისი თავდაპირველი სახელწოდებით - „პასკევიჩ-ერევანსკის“ - სახელით მოვიხსენიებთ.

I ნარკვევი

# ტფილისის საზაფხულო თეატრი

XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში თბილისში ევროპული ტიპის ორი სათეატრო ნაგებობაა: ტფილისის თეატრი, იგივე ქარვასლის თეატრი, პასკევიჩ-ერევანსკის მოედანზე და საზაფხულო თეატრი საინჟინრო უწყების ბაღში.

ქარვასლის თეატრი 1847-1851 წლებში არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის[2] პროექტით აიგო. ინტერიერის მხატვრული გაფორმება გრიგოლ გაგარინს ეკუთვნოდა. ეს თეატრი „ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი იყო რუსეთის მაშინდელ თეატრებს შორის როგორც მოცულობით, ისე განსაკუთრებით თავისი შინაგანი მხატვრული სილამაზით“.[3] ოთხსართულიანი სათეატრო შენობა (78X47მ), ქარვასლასაც მოიცავდა და თბილისელი ვაჭრის, გ. თამამშევის მიერ დაფინანსდა. მაღაზიები და საწყობები კომერციული მიზნით დაუმატეს, მთავარი კი მაინც თეატრი იყო. აქ იმართებოდა იტა-

[2] ჯოვანი ბატისტა სკუდიერი (1816-1851) – იტალიელი არქიტექტორი. დაიბადა შვეიცარიაში (ლუგანოში). 1831 წელს ჩაირიცხა „უმაღლეს საიმპერატორო-სამეფო სასწავლებელში“. პარალელურად მუშაობდა ქ. პადუაში, ინჟინრის კანცელარიაში. 16 წლის ასაკში რუსეთში გაემგზავრა, და ოდესის სამშენებლო კომიტეტში დაიწყო მუშაობა. სკუდიერი აქ ბიძასთან, არქიტექტორ ტორიჩელისთან, ერთად მოღვაწეობდა, მათი ერთობლივი პროექტით აშენდა ქალაქის სინაგოგა, რომელზეც მუშაობა ახალგაზრდა სკუდიერიმ ბიძის გარდაცვალების შემდეგ გააგრძელა. ამ დროს ოდესაში მხარის გენერალ-გუბერნატორად მ. ვორონცოვი იყო დანიშნული. იგი კარგად იცნობდა ჯ.სკუდიერის, ამიტომ კავკასიაში მეფისნაცვლად გადაყვანის შემდეგ, ვორონცოვი თბილისში თავის გარემოცვასთან ერთად ჩამოვიდა (1845 წ.), მათ შორის იყო რუსეთში ივან ბორისოვიჩად წოდებული ჯოვანი ბატისტა სკუდიერიც. 1846 წელს ვორონცოვი მას საქალაქო არქიტექტორის თანამდებობაზე ანუ მთავარ არქიტექტორად ნიშნავს. 1846-1851 წლებში სკუდიერიმ თბილისში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა: თბილისის თეატრის შენობა ე.წ. ქარვასლის თეატრი; დღევანდელი საკრებულოს თავდაპირველი ნაგებობა, რომელიც ადრე პოლიციის შენობას წარმოადგენდა; მშრალი ხიდი (ყოფილი მიხეილის ხიდი). ეს იყო თბილისში აგებული პირველი ხიდი, რომელიც მტკვრის მარცხენა სანაპიროს ცენტრთან აკავშირებდა. სკუდიერის ეკუთვნის არაერთი საცხოვრებელი სახლი თბილისში. 1851 წელს იგი სამხედრო ტაძრის მშენებლობაზე, თაღის ჩამონგრევის გამო დაიღუპა. ჯ.სკუდიერის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები მოაგროვა თ. გერსამიამ. იხ. გაზეთი „ქნარი“, №12, 2001.

[3] იოვიძე ა., მასალები თბილისის თეატრების ისტორიისთვის, თბ., 1961, გვ. 395.

ლიური ოპერის, რუსული თეატრის და საბალეტო დასის, ასევე, პროფესიული ქართული თეატრის წარმოდგენები (სურ. 4).

თბილისის თეატრის აგებამდე სამოციოდე წლით ადრე პირველი დიდი ქვის თეატრი აშენდა სანქტ-პეტერბურგში. სწორედ ამ დროს ვრცელდება აქ ევროპიდან შემოსული იარუსული თეატრის ტიპი ოვალური გეგმის მაყურებელთა დარბაზით. მშენებლობის დასასრულს გამოდის სახელმწიფო ბრძანებულება, რომლის თანახმადაც რუსული თეატრი განკუთვნილი უნდა ყოფილიყო როგორც კომედიებისა და ტრაგედიებისთვის, ისე ოპერისთვისაც. ანუ ერთ სათეატრო სივრცეში უნდა მოქცეულიყო დრამატული და საოპერო დასები. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ საქართველოში აგებული სკუდიერისეული თეატრი ასეთივეე პრინციპით იქნება გამოყენებული. თუმცა მისი მასშტაბი უფრო მრავალმხრივი აღმოჩნდა და დრამატული თეატრის (რუსული და ქართული დასები) პარალელურად საოპერო და საბალეტო დადგმებსაც ეთმობოდა. ქარვასლის თეატრში ერთდროულად მუშაობდა განსხვავებული შინაარსისა და დანიშნულების თეატრები ანუ ის გამიჯვნა სათეატრო ხელოვნებისა, რომელიც მოგვიანებით მოხდა, აქ ჯერ არ არის გაცხადებული. ქარვასლის თეატრში მოღვაწე იტალიური ოპერა უცხოეთიდან მოწვეული მსახიობებით იყო დაკომპლექტებული. ეს აპრობირებული პრაქტიკა იყო რუსეთშიც. ასე მაგალითად, 1737 წელს რასტრელიმ ახალი ზამთრის სასახლეში ააგო „კომედიისა და ოპერის“ თეატრი, რომელშიც, ასევე, იტალიიდან მოწვეული დასი გამოდიოდა. დაახლოებით ამავე ხანებში, მოსკოვში კუნსტის გერმანული დასი მართავდა წარმოდგენებს.

საოპერო თეატრის არქიტექტურა სათეატრო არქიტექტურაში სპეციფიკური მოთხოვნებით გამოირჩევა. მისი უმთავრესი ნიშანი აკუსტიკაა, შემდეგ სცენის სიღრმე, მაყურებელთა დარბაზის ფორმა და ზომები, საორკესტრო ორმო და ა.შ. საოპერო სპექტაკლებისთვის დამახასიათებელი მასშტაბურობა, მონაწილეთა სიმრავლე, მონუმენტურობა, შესაბამის სივრცე-გარემოს ითხოვს, რომელიც დროისა და ტექნიკური პროგრესის თანმხვედრ ცვლილებებს განიცდის.

XIX საუკუნე ჯერ კიდევ „იწყნარებს“ სხვადასხვა სპეციფიკის თეატრების ერთ ნაგებობაში თანაარსებობას. XX საუკუნის დასაწყისიდან ეს უკვე გაუმართლებელი და მიუღებელია.[4]

ქარვასლის თეატრის აგებამდე სათეატრო შენობის საკითხი თბილისში ჯერ კიდევ 1844 წელს წამოიჭრა. შეიქმნა პროექტიც, რომლის ავტორი თბილისის არქიტექტორი ი. ივანოვი[5] იყო. შენობის აგებას ვარაუდობდნენ ან ნიკოლოზის მოედანზე მთავარმართებლის სასახლის პირდაპირ (დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის მიმდებარე ტერიტორია რუსთაველის გამზირზე) ან ალექსანდრეს მოედანთან (ახლანდელი 9 აპრილის ბაღის ქვედა ნაწილი). მაშინ სამშენებლო სამუშაოების დაწყება ვერ მოხერხდა და ი. ივანოვის პროექტიც განუხორციელებელი დარჩა. სანაცვლოდ გადაწყდა ქალაქის მანეჟის გადაკეთება თეატრად, რომლის პროექტიც, ასევე, ი. ივანოვმა შეასრულა.

კავკასიაში მეფისნაცვლად დანიშნული მ. ვორონცოვი თბილისში ჩამოსვლისთანავე შეუდგა რუსული თეატრის დაარსებაზე ზრუნვას. სპეციალური შენობის უქონლობის გამო მისი ბრძანებით გადააკეთეს თბილისის სამხედრო მანეჟის შენობა. ეს დროებითი თეატრი მანეჟის შენობაში 1845 წლის 20 სექტემბერს გაიხსნა. ამიერიდან თბილისში საფუძველი ჩაეყარა რუსულ პროფესიულ თეატრს, რომლის წარმოდგენებიც რეგულარულად იმართებოდა (კვირაში სამჯერ) და მალე თეატრის დირექცია მეფისნაცვალ ვორონცოვის წინაშე პეტერბურგის საიმპერატორო თეატრიდან მსახიობთა მოწვევის საკითხს დააყენებს, რასაც ვორონცოვის მხრიდან თბილისის თეატრისთვის საკუთარი სპეციალური შენობის აგების გადაწყვეტილებაც მოჰყვა.

მანეჟის შენობაში არსებული დროებითი თეატრი 340 ადგილზე იყო გათვლილი, ნახევარწრიული მაყურებელთა დარბაზით, ერთი – ორდონიანი, არატიპური იარუსით და გვერდითი ლოჟე-

---

[4] Бархин Г., Архитектура театра, Москва, Издательство академии архитектуры СССР, 1947, стр. 161.

[5] იაკობ ალექსანდრეს ძე ივანოვი თბილისში მოღვაწეობდა 1841-1846 წლებში. იყო თბილისის საქალაქო არქიტექტორი. 1846 წელს აღნიშნულ თანამდებობაზე მას ჯ.სკუდიერი შეცვლის. ი.ივანოვს დამთავრებული ჰქონდა კრემლის მშენებლობათა ექსპედიციის საარქიტექტორო სკოლა. მას შეუდგენია თბილისის თეატრის ორი პროექტი 1844 და 1845 წლებში, რომლებიც არ განხორციელებულა.

ბით (შემორჩენილია თეატრის ინტერიერის ჩანახატი და ფოტო). ე.წ. მანეჟის თეატრი თანამედროვე პარლამენტის შენობის (რუსთაველის გამზ. №8) ზედა კორპუსის ადგილზე მდებარეობდა. ქართული დრამატული თეატრის პირველი სპექტაკლის (1850 წ. 2/14 იანვარი) შემდეგ, გ. ერისთავის დასმა სწორედ ამ შენობაში ითამაშა მისივე კომედია „დავა“ (1850 წლის მაისი). წარმოდგენას თავად მეფისნაცვალი ვორონცოვიც დაესწრო. დარბაზი სავსე იყო მაყურებლით. იმდენად დიდი იყო თეატრით გატაცება, რომ მანეჟის თეატრში წარმოდგენები, ადგილობრივი კლიმატური პირობების მიუხედავად, ზაფხულის თვეებშიც იმართებოდა, გიმნაზიის სააქტო დარბაზთან შედარებით მანეჟის თეატრის მაყურებელთა დარბაზი უფრო დიდი მოცულობის იყო. ამის მიუხედავად, დრამატულმა დასმა წარმატებით ითამაშა სპექტაკლი. ამის შემდეგ ქართული წარმოდგენები რეგულარულად იმართებოდა მანეჟის თეატრში. მომდევნო სეზონი გ. ერისთავის თეატრმა უკვე პასკევიჩ-ერევანსკის მოედანზე აგებულ ახალ სათეატრო შენობაში გახსნა (სურ. 5, 6).

ქარვასლის თეატრი 1851 წლის 12 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა. ამ მოვლენის ამსახველი სტატია თანმხლები ილუსტრაციებით 1851 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა პარიზის ერთ-ერთ დიდი ფორმატის გამოცემაში - „L'Illustration Journal Universel" („ილუსტრირებული უნივერსალური ჟურნალი“). სტატიის ავტორი - თბილისში საფრანგეთის მეორე კლასის კონსული ედმონდ დე ბარერი აღფრთოვანებით წერდა: „...ეს ერთადერთი თეატრია, რომლის შიგა სამკაული მთლიანად მავრიტანული სტილითაა მორთული, უდაოდ და უეჭველად წარმოადგენს ერთ-ერთს, ყველაზე უფრო ელეგანტურ, მოხდენილ, ყველაზე უფრო წარმტაც სათეატრო ნაგებობას, რაც კი შეუძლიან წარმოიდგინოს ადამიანმა... შექმნილია თავისებური რამ... ღირსი აღტაცების გამოწვევისა და მიბაძვისა დასავლეთში; ქმნილება, რომელსაც შესწევს უნარი მიანიჭოს აღმაფრენა და ცხოველმყოფელობა აზიის ხელოვნებას. აი, ორგვარი დახმარება რაც გაუწია თავადმა გაგარინმა საერთოდ ხელოვნებას და უწინარეს ყოვლისა – მთელს აღმოსავლეთს“. ასეთი იყო თბილისში აგებული ახალი თეატრი; ასეთი

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მას მაშინდელ ვითარებაში“.[6]

ქარვასლის შენობის ცენტრალური ნაწილი სათეატრო სივრცეს – სცენასა და მაყურებელთა დარბაზს ეკავა (36X23,5 მ.). ორიარუსიანი, ნალისებური ფორმის დარბაზი რვაასამდე მაყურებელს იტევდა, პარტერის სართულზე ბენუარის ლოჟებით, ასევე, ლოჟებად დაყოფილი იარუსითა და ქანდარით. აღსანიშნავია სიღრმეში გაფართოებული და სცენისკენ შევიწროებული დარბაზის ფორმა (ე.წ. იტალიური ტიპი), რაც ბგერითი ტალღების სწორი გავრცელების შესაძლებლობას ქმნიდა.

პარტერთან შედარებით ამაღლებული იყო პირველი იარუსის ლოჟები, ერთმანეთისაგან მათ დაბალი ზღუდეები ჰყოფდა. ასევე იყო გადაწყვეტილი მეორე იარუსიც. ცენტრალურ ღერძზე სცენის პირდაპირ სამეფო ლოჟა ხაზგასმულად გამორჩეული, ხუთნაწილიანი დანაწევრებით, პარტერიდან ქანდარამდე იყო განთავსებული. მისი დაყოფა ორ იარუსად დარბაზის საერთო გადაწყვეტასაც ექვემდებარებოდა და ამასთანავე, ზომებით, ფორმით და მცირეოდენი შვერილით გამორჩეულ დატვირთვასა და მნიშვნელობას იძენდა. მაყურებელთა დარბაზის სფერულ გადახურვასთან ყველაზე ახლოს ქანდარა იყო, რომელიც ასრულებდა დარბაზის იარუსულ სტრუქტურას. კლასიკური რენესანსული ფასადების საპირისპიროდ თეატრის ინტერიერი აღმოსავლურ სტილში იყო გადაწყვეტილი. იგი გრ. გაგარინის ესკიზებით შესრულდა. მასვე ეკუთვნოდა თეატრის ფარდაც.

ალექსანდრე დიუმა, რომელმაც თბილისის თეატრი 1858 წელს მოინახულა, აღფრთოვანდა მისი სილამაზით. „გამოვტყდები, რომ ვესტიბიულიდან დაწყებული მე მოხიბლული დავრჩი ორნამენტის სისადავითა და ამავე დროს, თავისებურებით: შეიძლებოდა გეფიქრა, რომ შედიხარ პომპეის თეატრის კორიდორში. ზედა კორიდორში ორნამენტი იცვლება და ის არაბულია. ბოლოს და ბოლოს ჩვენ შევედით მაყურებელთა დარბაზში. დარბაზი ფერიათა სასახლეა არა სიმდიდრით, არამედ გემოვნებით. მასში შეიძლება 100 მანეთის მოოქროვაც კი არ იყო, მაგრამ სინდისის ქენჯნის გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის თეატრის

[6] კაშმაძე შ.,თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, 1851-1921. I. თბ., ფავორიტი სტილი. 2015, გვ. 41-43.

დარბაზი – ერთ-ერთი უმშვენიერესი დარბაზია, რომელიც მე მინახავს ჩემი ცხოვრების მანძილზე... როგორც არქიტექტურის, ისე სხვა მორთულობის მხრივ, მადლობა ღმერთს, თბილისის დარბაზს ველარაფერს უსურვებ“[7] (სურ. 7, 8).

თბილისის თეატრის თავისებურებას შეადგენდა მისი არქიტექტურული სტრუქტურა. შიდა ეზოს ნაცვლად ქარვასლის ინტერიერში სათეატრო დარბაზი განთავსდა და ერთი შინაარსის შენობა სხვა სპეციფიკის ნაგებობაში ჩაიწერა. მიუხედავად სათეატრო შენობის მრავალი ღირსებისა (იტალიური ტიპის მაყურებელთა დარბაზი, აკუსტიკა, ინტერიერის დეკორი და ა.შ.) ფუნქციის შესაბამისად ვერ მოხერხდა თეატრის შენობის სრულყოფილად აღჭურვა. ვენტილაციის უქონლობის გამო, ზაფხულში წარმოდგენები თითქმის ხუთი თვის განმავლობაში არ იმართებოდა და თეატრი სანახევროდ უმოქმედო იყო. აღნიშნული პრობლემა, იმდროინდელი ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ქარვასლის თეატრში ვერ მოგვარდა. გადაწყდა საზაფხულო თეატრის აგება.

საქართველოს ეროვნულ არქივში (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის „ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება“) დაცულია საზაფხულო თეატრის მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (სეა, უიცა, ფონდი 55, აღწერა 1, 1855-1907 - „ტფილისის სახაზინო ოპერის თეატრი“). მათ შორისაა „ტფილისის თეატრის დირექციის საქმე საინჟინრო ბაღში საზაფხულო თეატრის მშენებლობის შესახებ“ (სეა, უიცა, ფ.55. ა. 1. ს. 14 – Дело о постройке летнего театра в гор. Тифлисе. 11 окт. 1869 – февр. 1875).

1869 წლის 11 ოქტომბრით დათარიღებულ თბილისის თეატრის დირექციის პატაკში კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოსადმი, გაანალიზებულია სახაზინო (ქარვასლის) თეატრის ფინანსური მდგომარეობა წლების მიხედვით (1863-1869) და სათეატრო შენობის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემები. პირველი რიგის საკითხად მოყვანილია ქარვასლის თეატრის შენობაში ზაფხულის სიცხეების გამო წარმოდგენების

[7] .Дюма А, Кавказ, Тбилиси, Мерани, 1988 г. стр.167.

მთელი წლის განმავლობაში გამართვის შეუძლებლობა. ხუთი თვე, ივნისიდან ოქტომბრამდე, „დახუთულობის“ გამო მაყურებელი თეატრში არ დადის. მეორე – თბილისის გეოგრაფიული მდებარეობაა. „იგი დაცილებულია ყველა იმ ადგილს, სადაც შესაძლებელია აქაური თეატრისთვის მსახიობების აყვანა. დირექცია იძულებულია დასის დიდი ნაწილი შეინახოს მთელი წლის განმავლობაში. მსახიობების გაშვება დიდი მარხვის დასაწყისში და ახლების აყვანა სექტემბრისთვის ძალზედ მოუხერხებელია როგორც მოძიების, ისე ხარჯის თვალსაზრისით. რაც შეეხება ორკესტრს, მისი გაშვება და თავიდან შეკრება ასეთ მცირე დროში შეუძლებელია. ამ სავალალო მდგომარეობიდან გამოსასვლელად აუცილებელია უშემოსავლო ხუთი თვე გადავაქციოთ შემოსავლიან დროდ და ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მაყურებელს მოვიზიდავთ თეატრში, მაგრამ რამდენადაც თეატრის არსებულ შენობაში ეს შეუძლებელია სიცხეების დროს, რჩება ერთადერთი საშუალება, ავაშენოთ მსუბუქი, საზაფხულო თეატრი, ჩრდილიანი ბაღის შუაგულში, სადაც მაყურებელი სიცხისგან თავს შეაფარებს და სასიამოვნოდ გაატარებს დროს.“ საილუსტრაციოდ, დოკუმენტში რამდენიმე მაგალითითაცაა მოყვანილი: „საზაფხულო თეატრი მუშტაიდში, კონცერტები სან-სუსის, მონ პლეზირის ბაღებში, სურის ცირკი“. მიუხედავად იმისა, რომ ბაღები შორსაა, დასი და საცირკო წარმოდგენები კი არ გამოირჩევა მიმზიდველობით, ზაფხულის განმავლობაში ისინი მუდმივად სავსეა ხალხით, ამიტომ „ეჭვს გარეშეა, ბაღში კარგად მოწყობილი თეატრი, ქალაქის ცენტრში არ დარჩება ცარიელი“ (სეა, უიცა, ფ.55. ა.1. ს.14. ფურც. 2-5).

ზემოაღნიშნული არგუმენტაცია ხელისუფლებამ საფუძვლიანად მიიჩნია და თბილისში საზაფხულო თეატრის მშენებლობაზე თანხმობა განაცხადა. კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიიდან თბილისის თეატრის დირექციისადმი ზემომოყვანილ კორესპონდენციაზე პასუხის (22.X.1869) მიხედვით, თეატრის ასაგებად თანხას უკვე 1870 წლის იანვრიდან გამოყოფენ. წერილის ბოლოს მითითებულია, რომ „საზაფხულო თეატრის გეგმებს და ფასადებს, წარმოადგენენ ტექნიკურ კანცელარიაში განსახილველად და მისი საიმპერატორო უდიდებულესობისათვის

დასამტკიცებლად“ (სეა, უიცა ფ. 55. ა.1. ს.14. ფურც. 6).

საზაფხულო თეატრის პროექტის მომზადება (პროექტი არ შემორჩენილა ან ჯერაც მიუკვლეველია) დაევალა თბილისელ არქიტექტორს ალბერტ ზალცმანს (1833-1897). მან აქტიური მონაწილეობა მიიღო თეატრისთვის ადგილის შერჩევაში, მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის შედგენაში.

საზაფხულო თეატრისთვის ადგილი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, საინჟინრო უწყების ბაღში, საინჟინრო და წყალსაზიდის (დღ. სოლიკო ვირსალაძის, ლადო ალექსი-მესხიშვილის და მარი ბროსეს) ქუჩათა მონაკვეთში შეარჩიეს. XIX საუკუნის თბილისის განვითარების გეგმებზე საზაფხულო თეატრის შენობა სწორად ამ ქუჩათა რკალშია წარმოდგენილი.

საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული დოკუმენტის (სეა, უიცა, ფ.55. ა.1. ს.14. ფურც.20) თანახმად, „არქიტექტორმა ზალცმანმა, ტფილისის თეატრალური დირექციის დავალებით, შეადგინა საზაფხულო თეატრის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, საინჟინრო ბაღში და მასზეა დაკისრებული როგორც მშენებლობა, ისე თეატრის მთელი არქიტექტურული მოპირკეთება.

დირექცია მოგახსენებთ თქვენს უდიდებულესობას და გთხოვთ ნებართვას მიიჩნიოთ ეს დავალება ზალცმანის სამსახურებრივ საქმედ და იქონიოთ მხედველობაში, რომ ეს სამთავრობო ნაგებობაა და ზალცმანს ფულადი ანაზღაურება დირექციისგან არ აქვს“.

ალბერტ თევდორეს ძე ზალცმანი XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ჩამოსულ გერმანელთა შთამომავალია. სპეციალური განათლება მან პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მიიღო (სწავლობდა არქიტექტორ პროფ. ა. შტაკენშნეიდერის კლასში). აკადემია პირველი ხარისხის მედლითა და საკლასო მხატვრის („классный художник“) წოდებით დაამთავრა. მისი მოღვაწეობა საქართველოსთან, უმეტესად თბილისთანაა, დაკავშირებული. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა XIX საუკუნის 60-90-იან წლებში.[8]

[8] ალ. ზალცმანის პროექტით თბილისში არაერთი საზოგადოებრივი თუ საცხოვრებელი სახლი აშენდა: კათოლიკეთა ეკლესია ჯავახიშვილის ქუჩაზე (1870), მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის შენობა (დამთავრდა 1870 წ., საქართველოს

საზაფხულო თეატრის პროექტზე მუშაობის დროისათვის ალ. ზალცმანი ცნობილი არქიტექტორია. ჯერ კიდევ 1867 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიამ არქიტექტურის აკადემიკოსის წოდება მიანიჭა. ოპერის თეატრის არქიტექტორის, ვ. შრეტერის თანახმად თბილისში ზალცმანი დიდად სახელმოხვეჭილი იყო („пользуется в Тифлисе громким именем"). [9] თბილისის ხუროთმოძღვრების მკვლევარი, ვახტანგ ბერიძე, ალ. ზალცმანის პროექტებს შორის თბილისის საზაფხულო თეატრს არ ახსენებს; მაია მანია, რომელიც სტატიას „თბილისის ერთი უცნობი ჩანახატი" დიდწილად საზაფხულო თეატრს უძღვნის, ზალცმანის სახელს მხოლოდ თეატრის გადაკეთებას უკავშირებს. საარქივო მასალებზე დაყრდნობით, ავტორი უთითებს, რომ „1872-1876 წლებში საზაფხულო თეატრი საფუძვლიანად შეუკეთებიათ. თეატრის გადაკეთების ავტორი ცნობილი თბილისელი არქიტექტორი ალბერტ ზალცმანი ყოფილა... თავად ის ფაქტი, რომ თეატრის საფუძვლიანი გადაკეთება დაავალეს ისეთი კლასის არქიტექტორს, როგორც ალბერტ ზალცმანია, გვაფიქრებინებს, რომ თბილისის საზაფხულო თეატრი საინჟინრო უწყების ბაღში თბილისის ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საინტერესო ნიმუში უნდა ყოფილიყო".[10]

საარქივო მასალებით დასტურდება, რომ ტფილისის საზაფხულო თეატრის პროექტი, ასევე, მისი შემდგომი გადაკეთების პროექტებიც ალბერტ ზალცმანს ეკუთვნის და ის უშუალოდაა ჩართული თეატრის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესებში.

თბილისის საზაფხულო თეატრის პროექტზე მუშაობა 1869 წელს უნდა დაწყებულიყო. როგორც ჩანს, ინტენსიურად წარი-

ერონული მუზეუმის შენობის ადგილას), ქალთა გიმნაზიის შენობა (დამთავრდა 1874 წ., საქართველოს ეროვნული მუზეუმის ქვედა კორპუსი), სასტუმრო ორიანტი (ყოფილი მხატვრის სახლი); 1886-1893 წლებში ის ხელმძღვანელობს სახაზინო (ოპერის) თეატრის მშენებლობას თბილისში. იხ. ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები, ტ. II, თბ., 1963, გვ. 167-168.

[9] ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები, ტ. II, თბ., 1963, გვ. 167-168.

[10] მანია მ., თბილისის ერთი უცნობი ჩანახატი, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება", №2, თბ., 1998, გვ. 84.

მართა მისი მშენებლობაც. ასე რომ, 1870 წლის ზაფხულის დასაწყისში თბილისში, ქარვასლის თეატრთან ახლოს გაიხსნა ახალი თეატრი – თბილისის საზაფხულო თეატრი მშვენიერი ბაღით და შესაბამისად მოწყობილი ინფრასტრუქტურით. 17 ივლისს გაზეთი „დროება" წერს: „ჩვენ ქალაქში გაიმართა საზაფხულო თეატრი, რომელიც გაწყობილია „ინჟინრების ბაღში" მტკვრის პირზე, კუკიის ხიდთან. ამ ბაღში წლეულს ჩინებული სათეატრო სახლი გააშენეს, თავათ ბაღი სასეირნოთ მორთეს და გააჩაღეს, შიგ სასმელ-საჭმელათ ბუფეტი გამართეს, ისე რომ ბაღში ზაფხულის საღამოს გატარება დიდის სიამოვნებით შეიძლება. თეატრში ხშირ-ხშირად რუსული წარმოდგენაა, რომელშიაც აქაური თეატრის აქტორები თამაშობენ. მართალი რომ თქვას კაცმა, აქტიორების კრება ცუდათ არაა შემდგარი, და სხვა პროვინციალური ქალაქების შედარებით, თფილისს ჩინებული კრება ჰყავს".[11]

„დროების" ამავე ნომერში ვკითხულობთ დიდი მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის ძის თბილისში ვიზიტის შესახებაც, სადაც აღნიშნულია, რომ 9 ივლისს ის საზაფხულო თეატრსაც სტუმრობდა. „თფილისში მობრძანების შემდგომ, მეორე დღეს, მისი უმაღლესობა კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, მისი იმპერატორებითი უმაღლესობით, მიხეილ ნიკოლოზის ძით, დილის ცხრა საათზე წაბძანდა თავისი პოლკის დასათვალიერებლად, რომელიც... ს. ტაბახმელას დაბანაკეს... თფილისს დაბრუნების შემდგომ მათი უმაღლესობანი საზაფხულო თეატრში ბრძანდებოდნენ."

სამეფო ოჯახის თეატრში ვიზიტის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, თეატრში უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. გაზეთი „კავკასია" უფრო დეტალურ ინფორმაციას აქვეყნებს დიდი მთავრის საზაფხულო თეატრში სტუმრობაზე და აღნიშნავს, რომ თეატრში მიწვეული იყვნენ ქართული პოლკის ოფიცრები და „დაბალი ჩინის 80 ადამიანი, იმდენად, რომ ...თეატრის გალერეა ველარ იტევდა ხალხის რაოდენობას".[12]

ამდენად, 1870 წლის ივლისის დასაწყისში ტფილისის საზაფხულო თეატრი გახსნილია და ფუნქციონირებს. აქ მოღვაწეობს იტალიური ოპერა და რუსული დრამატული დასი. ქართული

[11] გაზ. „დროება", №28, 17(29).07.1870.
[12] გაზ. „Кавказ", № 80, 12(24).07.1870.

მუდმივმოქმედი თეატრი 1856 წლიდან აღარ არსებობს. სცენისმოყვარეთა წარმოდგენები დროგამოშვებით იდგმება გერმანელთა კლუბში, ჩითახოვის სახლებში, რამაზ ანდრონიკაშვილის სახლში და სხვ.

საზაფხულო თეატრის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს 1870 წლის „კავკასიის კალენდარიც“ („Кавказский Календарь на 1871 годъ").[13] საზოგადოებრივ დაწესებულებათა ჩამონათვალში უკვე ორი თეატრი ფიგურირებს: „ტფილისის თეატრი ერევანსკის (на Эриванской) მოედანზე თამამშევის ქარვასლის შენობაში“ და „ტფილისის საზაფხულო თეატრი, საინჟინრო ქუჩაზე, საინჟინრო ბაღში“.[14]

საზაფხულო თეატრის პროექტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ შემორჩენილა, მაგრამ ჩვენს ხელთაა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული საზაფხულო თეატრთან დაკავშირებული რამდენიმე ნახაზი (სეა, ცსა, ფ.204. ა.1. ს.798). „ახალი და სახელოსნო სამუშაოების წარმოების პროექტი საზაფხულო თეატრის შენობაზე“ (1873), „გეგმა - საზაფხულო თეატრში განხორციელებული სარემონტო სამუშაოების ანგარიშისათვის“ (1874), „ტფლისის საზაფხულო თეატრის მიერ დაკავებული ტერიტორიის გენერალური გეგმა“ (1878). ისინი შემდგომი პერიოდის ცვლილებებსა და დამატებებს ასახავენ. ამიტომ აღნიშნულ მასალას ქრონოლოგიური პრინციპით ქვემოთ განვიხილავთ. მანამდე კი საზაფხულო თეატრის არქიტექტურის შესახებ უტყუარ დოკუმენტურ მასალას – ძველი თბილისის ამსახველ საარქივო ფოტოებს მივმართავთ.

ჩვენთვის საინტერესო ფოტოდოკუმენტაციას საქართველოს ეროვნული მუზეუმის დ. ერმაკოვის ფონდში მივაკვლიეთ. ისინი XIX საუკუნის 70-იანი (№2257, №11269) და 90-იანი წლე-

---

[13] „კავკასიის კალენდარი“ („Кавказский Календарь“) ყოველწლიური გამოცემაა, რომელიც 1845–1917 წლებში გამოდიოდა და ღირებულ ცნობებს შეიცავს კავკასიის ისტორიაზე, ყოფაზე. მათ შორის, თბილისის თეატრებზეც. ამ კრებულებში იბეჭდებოდა სათეატრო დარბაზების გეგმები თანმხლები სტანდარტული ინფორმაციით: თეატრის სახელწოდება, მისამართი, ადგილების რაოდენობა, ფასები, სერვისები და ა.შ. ეს მონაცემები მნიშვნელოვანი მასალაა სათეატრო ნაგებობათა ისტორიის რეკონსტრუქციისთვის.

[14] „Кавказский Календарь на 1871 годъ“. XXVI. Тифлисъ , 1870, გვ. 170.

ბის (№6090, №3540) თბილისს უნდა ასახავდნენ. მართალია, საარქივო ფოტოებზე საზაფხულო თეატრი მხოლოდ ნაწილობრივ იკითხება, რასაც ადგილის სპეციფიკა (ხეებით დაბურული ბაღი) განაპირობებს და შენობის მხოლოდ ნაწილს ვხედავთ, მიუხედავად ამისა, ფოტომასალის არსებობა მრავალმხრივაა მნიშვნელოვანი.

პირველ ყოვლისა, ფოტოები თბილისის საზაფხულო თეატრის ზუსტ ლოკაციას გვაჩვენებს და შენობაზე განხორციელებული ცვლილებების ქრონოლოგიასაც ასახავს. ამ ფოტომასალით შეგვიძლია თვალი გავადევნოთ სათეატრო შენობის რეკონსტრუქციათა მიმდინარეობასაც კი. ინფორმატიულია საარქივო ფოტოების ავტორისეული დასათაურებებიც.

ფოტოებზე საზაფხულო თეატრში შესასვლელი საინჟინრო ქუჩიდანაა. მტკვრისპირა განაშენიანებისა და ბაღის გამო, შეზღუდული აღქმის მიუხედავად, კარგად იკითხება ნაგებობის პორტიკი. აღნიშნული მასალის შეჯერება საზაფხულო თეატრის 1874 და 1878 წლების გენერალურ გეგმებთან ამ მხრივ სარწმუნო საფუძველს გვაძლევს.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ფოტოებზე (სემ. დ. ერამკოვის ფონდი, №№ 2257, 11269) კარგად ჩანს მაყურებელთა დარბაზის მომრგვალებული მოცულობა, უკან სასცენო კოლოფის არქიტექტურულად გამოყოფილი და ფრონტონით დასრულებული ვერტიკალით, რომლის სიბრტყეც რიტმულად მონაცვლე პილასტრებითა და მათ შორის მოთავსებული ნახევარწრიული სარკმელებითაა წარმოდგენილი. ასევე, მკაფიოდ იკითხება დარბაზის იარუსის სართულზე ექსტერიერში, აივანზე, გამომავალი კარების მწკრივი და მაყურებელთა დარბაზის საერთო მოცულობიდან ამოზიდული გალერეა. ფოტოზე ასახული საზაფხულო თეატრი ქვის ნაგებობაა, რაც შემდგომი პერიოდის რეკონსტრუქციას უკავშირდება (თუმცა ჯერ კიდევ შენარჩუნებულია იარუსიდან აივანზე გამოსასვლელი კარები და თავად აივანი). თარიღის დაზუსტების საშუალებას გვაძლევს ფოტოზე ასახული მთაწმინდის მამადავითის ეკლესია, რომლის მშენებლობაც ფოტოს გადაღების მომენტისთვის ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. ეკლესია უგუმბათოდ დგას. როგორც ცნობილია, მამადავითის

ეკლესიას გუმბათი 1879 წელს დაადგეს.[15] ამდენად, ჩვენს ხელთ არსებული ფოტოები 1870 წლიდან (როცა აშენდა თეატრი) 1879 წლამდე პერიოდს (მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოლოვინის გამზირის და მიმდებარე ქუჩების განაშენიანებით, მთაწმინდით) და თბილისის საზაფხულო თეატრის არსებობის პირველ წლებს უნდა ასახავდეს. ფოტოების დასათაურება კი გვაუწყებს: „ტიფლისი, სახაზინო თეატრი, წმ. დავითი და ქალაქის ნაწილი“ (№11269), მეორეზე - „ტიფლისი, წმ. გიორგის ეკლესია, სასახლე, თავადაზნაურთა გიმნაზია, კლუბი და თეატრი“ (№2257). სურ. 9, 10.

დ. ერმაკოვის ფონდში დაცულ №6090, №3540 ფოტოებზე საზაფხულო თეატრს  დამოუკიდებელი გადახურვის მქონე მინაშენი აქვს. ფოტოები 1890-იანი წლების ვითარებას ასახავს, რაზეც გოლოვინის გამზირის განაშენიანებაში  ოპერის თეატრის მონუმენტური ნაგებობის გაჩენა მეტყველებს. მისი მშენებლობა 1896 წელს დასრულდა. ფოტოზე ვკითხულობთ: „ტიფლისი. სახაზინო თეატრი ახალი და ძველი. წმ. დავითის მთა და ეკლესია“ (№3527). სურ. 11, 12.

ბუნებრივია, ახალ სახაზინო თეატრად იწოდება ოპერის თეატრი, საზაფხულო თეატრი კი 1881 წლიდან 1895 წლის ჩათვლით – „სახაზინო საზაფხულო თეატრის“ და „ტფილისის თეატრი (სახაზინო)“-ს სახელებით გვხვდება. 1898 წლის თბილისის რუკაზე საზაფხულო თეატრი მოხსენებულია როგორც: „ძველი თეატრი (სახაზინო)“.  ოპერის თეატრი კი „დიდი თეატრი (სახაზინო)“. ამდენად, 1896 წელს, ოპერის თეატრის გახსნის შემდეგ, იგი სახაზინო (სახელმწიფო) თეატრის სტატუსს ატარებს, საზაფხულო თეატრი კი თანდათან უკანა პლანზე ინაცვლებს – ჯერ სახაზინო თეატრის პოზიციას კარგავს და, ბოლოს, ძველი თეატრის სახელით გვხვდება.

რა ვიცით საზაფხულო თეატრის შენობის არიტექტურაზე?

ტფილისის საზაფხულო თეატრის თავდაპირველი ნაგებობა ხის უნდა ყოფილიყო. შ. კაშმაძე წიგნში „თბილისის ოპერისა და

[15] აღნიშნულ გარემოებაზე ბარტოლდის ჩანახატის ანალიზისას ყურადღება გაამახვილა მ. მანიამ სტატიაში „თბილისის ერთი უცნობი ჩანახატი“. იხ. ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, №2, თბ., 1998, გვ. 88.

ბალეტის თეატრი“ საზაფხულო თეატრის შესახებ წერს: „თავისი დანიშნულების შესაბამისად, არც ეს ნახევრად ფიცრული შენობა იყო უბრალო: საკმაოდ ფართო დარბაზი პარტერს, ორ იარუსსა და ქანდარას შეიცავდა. პირველ იარუსში იყო ლიტერის ორი დიდი ლოჟა: მეორე იარუსი 23 ლოჟისგან შედგებოდა. შუაზე მდებარეობდა ,,სამეფო ლოჟა“. ორთავე იარუსს გარს ერტყა ფართო დერეფანი, სადაც გაჭრილი იყო 12 კარი. ზედა იარუსის კარები ღია აივანზე გადიოდა, ქვედასი - პირდაპირ ბაღში. ქანდარას, ბაღისგან განცალკევებული შესასვლელი ჰქონდა. თეატრის მთავარ კარებთან კიბე იწყებოდა. აქვე იყო სალარო და მომსახურე პერსონალის სადგომი. თეატრის ჭერისა და დარბაზის მოხატულობა შესრულებული იყო დეკორატორ კნოლის მიერ ,,მტკიცე სტილით, მითოლოგიური ფიგურებით, მუსიკალური ატრიბუტებითა და სამკაულით“. ლოჟების მოხდენილი განლაგება, საერთო სისადავე და უბრალოება სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. გარეგნულად შენობა არ იყო მიმზიდველი.“[16]

დეკორატორ კნოლს თეატრის ინტერიერის მოხატვასთან ერთად, უმუშავია სცენის მოწყობაზეც (იგი მოხსენებულია თბილისის საზაფხულო თეატრის შენობის აგების ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტში). ჩანაფიქრის მიხედვით, საზაფხულო თეატრის სცენა ზომით, ქარვასლის თეატრის სცენის მსგავსი უნდა ყოფილიყო. ,,ხის საზაფხულო თეატრის მშენებლობა არქიტექტორ ზალცმანის შემოთავაზებით დაჯდება დაახლოებით 12 000 მან. იმის გათვალისწინებით, რომ სცენის ზომები იგივე იქნება, რაც ახლანდელ თეატრში“. (სეა, უიცა ფ. 55. ა.1. ს.14. ფურც. 2).

საზაფხულო თეატრთან დაკავშირებული მწირი მასალის ფონზე, 1871 წლის ივნისით დათარიღებული ეს დოკუმენტი - ,,ტფილისის საზაფხულო თეატრის შენობის აგების ხარჯთაღრიცხვა“, რომელსაც თეატრის დირექტორთან ერთად ხელს აწერს არქიტექტორი ზალცმანი, ჩვენთვის მრავალმხრივ საინტერესო და ინფორმატიულია. დოკუმენტში მოცემულია სამუშაოთა ჩამონათვალი, რის მიხედვითაც შეგვიძლია დაზუსტებით ვთქვათ, რომ თბილისის საზაფხულო თეატრი ხის ნაგებობა

[16] კაშმაძე შ.,თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი,1851-1921. I. თბ., ფავორიტი სტილი. 2015, გვ. 133.

იყო. პირველ პუნქტად მითითებულია ხის სამუშაოები „თავად თეატრის ასაგებად“ („За производства всех плотничных и столярных работ по постройке самого театра, с материалами"), რაზეც ყველაზე მეტი თანხაა დახარჯული (10 ათას მანეთამდე) და, შესაბამისად, სამუშაოს მასშტაბზეც გვიქმნის წარმოდგენას. ჩამოთვლილია, აგრეთვე, სათეატრო შენობის გარშემო გამართული ინფრასტრუქტურა: თეატრის ქონების (დეკორაციების, ბუტაფორიის) შესანახი ნაგებობა, ფანჩატურები, პავილიონები, დახურული გალერეა, აუზი და შადრევანი. ცალკეა გამოყოფილი თეატრის ბაღის სამუშაოები, ხეებისა და ყვავილების შესყიდვით. ბაღის დაგეგმვა-განვითარება, ამავე დოკუმენტით, მებაღე შარერის[17] სახელს უკავშირდება. აქვე ფიგურირებს ბაღის განათების საკითხი შესაბამისი აღჭურვილობით. და, ბოლოს, თეატრის დაზღვევა, რომლის თანხაც დოკუმენტის შედგენის მომენტისთვის უკვე დაფარულია.

მოყვანილი საარქივო მასალით ცხადი ხდება, რომ, მართალია, 1870 წლის ივლისში თეატრი გახსნილი იყო და ფუნქციონირებდა, მაგრამ სამუშაოები კვლავ გაგრძელდა. „თეატრის გახსნის დღეს გაზის განათება უნდა ყოფილიყო, მაგრამ გაზომეტრის დამთავრება ვერ მოასწრეს და „მხოლოდ 1871 წლის ზაფხულში მიეცათ თბილისელებს გაზის ახალი განათების ეფექტით დატკბობის“[18] შესაძლებლობა.

გაზეთი „Кавказ“ გრიგოლ ორბელიანის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით წერს, რომ 1871 წლის 7 ივნისს თბილისის საზაფხულო თეატრის ბაღში, რომელიც საგანგებოდ იყო მორთული ამ დღისთვის, საზეიმოდ აღინიშნა გრიგოლ ორბელიანის 50 წლის იუბილე.

საზეიმო სადილის შემდეგ, რომელიც საზაფხულო თეატრის

---

[17] „მებაღე შარერის“ სახელი უკავშირდება თბილისში ალექსანდრეს ბაღის (პროექტის ავტორია ოტო სიმონსონი) გაშენებას. ჰაინრიხ კარლ ვერნერ შარერის (1828-1896) წვლილს „თბილისის ცენტრალური ნაწილის ევროპული იერის მინიჭებაში“ მკვლევარი მ. მანია საგანგებოდ აღნიშვას. იხ. მანია მ. ევროპელი არქიტექტორები თბილისში, თბ. 2006, გვ.22; მანია მ. გერმანელი არქიტექტორები თბილისში, თბ., 2018, გვ. 60.

[18] კაშმაძე შ., თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, 1851-1921. I. თბ., ფავორიტი სტილი. 2015, გვ. 133

ბაღის ფართო პავილიონში იყო გაშლილი და რომელსაც 150 მოწვეული სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის ბორჯომიდან სპეციალურად ჩამოსული მისი საიმპერატორო უდიდებულესობა, დიდი მთავარი, კავკასიის მეფისნაცვალი - მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი, საღამოს 8 საათზე მოწვეული საზოგადოება დაესწრო საზაფხულო თეატრში გამართულ რუსული დასის წარმოდგენას. ზეიმი გაგრძელდა სპექტაკლის შემდეგაც. თავად საზაფხულო თეატრის ბაღი არაჩვეულებრივად იყო ილუმინირებული.[19]

ამგვარად, XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში თბილისში ორი სათეატრო შენობაა: ქარვასლის თეატრი პასკევიჩ-ერევანსკის მოედანზე, რომელსაც საზაფხულო თეატრის აშენების შემდეგ, ქვის თეატრს და, მოგვიანებით, კი ზამთრის თეატრსაც უწოდებდნენ და ხის საზაფხულო თეატრი საინჟინრო უწყების ბაღში, კომპლექსური ინფრასტრუქტურით. სამწუხაროდ, ეს ვითარება მხოლოდ რამდენიმე წელს, 1874 წლის 11 ოქტომბრამდე, გაგრძელდა. სწორედ ამ დღეს დაიწვა ქარვასლის თეატრი, რომელიც თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში საოპერო ხელოვნების, დრამატული თეატრალური ხელოვნებისა და საბალეტო ხელოვნების განვითარების კერა იყო თბილისში. დაწვის შემდეგ თეატრი აღარ აღუდგენიათ და შენობამ მხოლოდ ქარვასლის ფუნქციით გააგრძელა არსებობა. ასეთ ვითარებაში ძირითადი დატვირთვა საზაფხულო თეატრზე გადმოვიდა. ზამთრისთვისაც რომ გამოსადეგი გამხდარიყო, შენობას რეკონსტრუქცია ჩაუტარეს: კედლები ამოაშენეს, ღუმელები გამართეს და „საზამთროდ მოაწყვეს“.

1874 წელსაა შესრულებული საზაფხულო თეატრის გეგმა, რომელსაც ხელს აწერს არქიტექტორი ალ. ზალცმანი. ნახაზზე (სეა, ცსა, ფ.204. ა. 1. ს. 798. ფურც. 24-25) „საზაფხულო თეატრში განხორციელებული სარემონტო სამუშაოების ანგარიშისათვის“ წარმოდგენილია საზაფხულო თეატრი დამხმარე ნაგებობებით და ორანჟერეით. ნახაზის მარცხენა ზედა კუთხეში ხელნაწერი ტექსტი გვაუწყებს: „არსებული ნახაზი ტექნიკურ

[19] გაზ. „Кавказ“, №81, 14.07.1871.

კანცელარიაში განხილულია და მიჩნეულია დამაკმაყოფილებლად. 1874 წლის 4 ივლისი.“ ნახაზის მარჯვენა მხარეს, ასევე, მოცემულია შეფასებითი და სარეზოლუციო ხასიათის ტექსტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წარმოდგენილი გეგმა განხილულია სამშენებლო-საგზაო კომიტეტის ტექნიკური ნაწილის წევრების მიერ 1874 წლის 16 ივლისს და დამაკმაყოფილებელია (სურ. 13).

ამდენად, საზაფხულო თეატრში სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწყობის კუთხით, თეატრის გახსნის შემდეგაც გრძელდება. ვფიქრობთ, თავდაპირველი უნდა იყოს ტერიტორიის გეგმა, რომელზედაც დატანილია მხოლოდ თეატრის შენობა, ინფრასტრუქტურის გარეშე (სეა, ცსა, ფ. 204. ა. 1. ს. 798. ფურც. 22). (სურ. 14). 1874 წლის ნახაზებზე კი თეატრის მარჯვენა მხარეს ორანჟერეა, საწყობი და მებაღის ოთახი ჩნდება. თავად თეატრის შენობის კონტური სახეცვლილია და მარჯვენა მხარეს (სასცენო კოლოფთან) მინაშენია. ქრონოლოგიურად ეს გეგმა არ უკავშირდება ქარვასლის თეატრის დაწვას, იგი ამ ტრაგიკულ მოვლენამდე რამდენიმე თვით ადრეა შესრულებული.

საზაფხულო თეატრი ბაღით და მის გარშემო განვითარებული ინფრასტრუქტურით ერთიან კომპლექსადაა წარმოდგენილი 1878 წლის 30 მაისით დათარიღებულ გენერალურ გეგმაზე (საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივი). თეატრის შენობა აქ სასცენო კოლოფის სწორკუთხა ნაწილით ბაღის სიღრმისკენაა მიმართული, ექსტერიერში გამოხატული ოვალური ფორმის მაყურებელთა დარბაზი კი (მთავარი შესასვლელით) გამოდის საინჟინრო ქუჩაზე. თეატრს ორივე მხრიდან მინაშენი აქვს. მარჯვნივ შენობის მთელ გაყოლებაზე, მეორე მხარეს კი სასცენო კოლოფთან. მინაშენის ფორმა 1874 წლის ნახაზთან შედარებით გაზრდილია და სასცენო კოლოფის ბაღისპირა ფასადზე გადადის. (სურ. 15).

თეატრის გარშემო ნაჩვენებია დეკორაციების შესანახი ნაგებობა, სახელოსნო, ფანჩატურები, გალერეა, რომელიც ბაღის სიღრმეში როტონდას უერთდება, აუზი, ორანჟერეა. დაპროექტებულია ბაღიც, რომლის დაგეგმვასა და მოწყობაზეც საგანგებოდ უზრუნიათ (სურ. 16).

აღნიშნულ გეგმასთან გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს საქართველოს კულტურის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში (ხელოვნება სასახლე) დაცული ერთი გრაფიკული ნამუშევარი, რომელიც საზაფხულო თეატრის ექსტერიერს წარმოგვიდგენს (მუყ., ქ., ფ., 45X60 სმ.), ნახატს დაკრული აქვს მოკლე ანოტაცია – „თეატრის შენობა თბილისში წყალსაზიდის ქუჩაზე 1880-იან წლებში („Здание театра в Тбилиси на Водовозной ул. в 1880 годах"). მარცხენა ქვედა კუთხეში მხატვრის ხელმოწერაა – „აკოპიან" („Акопян"). ანოტაცია მოგვიანებითაა დაკრული. სავარაუდოდ, 1936 წლის შემდეგ, როდესაც „ტფილისი" „თბილისად" გადაკეთდა. გარდა ამისა, თეატრის შესასვლელი არა წყალსაზიდის ქუჩიდან, არამედ საინჟინრო (დღ. ს. ვირსალაძე) ქუჩიდან იყო, რასაც ჩვენს ხელთ არსებული სხვადასხვა პერიოდის გეგმები და ნახაზებიც ადასტურებს (სურ. 17).

ნახატზე თეატრის შენობა მოცემულია ქუჩის მხრიდან, შენობის ნახევარწრიულ კორპუსზე კლასიცისტურ სტილში გადაწყვეტილი ფრონტონიანი პორტიკით. თეატრის გარე არქიტექტურულ გადაწყვეტაში იკითხება მაყურებელთა დარბაზის იარუსული დანაწევრება. კერძოდ, იარუსის დონე ექსტერიერიდან პილასტრებზე გადასული თაღედითაა გაფორმებული, ქანდარა კი პილასტრებით. მაყურებელთა დარბაზის ნაწილს სცენა-კოლოფისგან, შენობის საერთო მოხაზულობიდან სწორკუთხოვანი მასებით აქცენტირების გარდა, გადახურვაც გამოჰყოფს.

ამდენად, ნახატზე საზაფხულო თეატრის გადაკეთების შემდგომი სურათია ასახული: როცა ქარვასლის თეატრის დაწვის შემდეგ, ის „საზამთროდ მოაწყვეს" და კედლები ამოაშენეს.

1881 წლის „კავკასიის კალენდრის" გამოცემაში გამოქვეყნებულია საზაფხულო თეატრის მაყურებელთა დარბაზის სქემა.[20] აქ ის ფიგურირებს როგორც „სახაზინო საზაფხულო თეატრი" და არა როგორც მანამდე - „ტფილისის საზაფხულო თეატრი" (კავკასიის კალენდრის ყველა გამოცემაში 1881 წლამდე მითითებულია „ტფილისის საზაფხულო თეატრი. საინჟინრო ქუჩაზე, საინჟინრო ბაღში" (1870-1880). შემდგომ წლებში კი „სახაზინო

---

[20] „Кавказский Календарь на 1882 годъ". XXXVII. Тифлисъ, 1881, გვ.236.

საზაფხულო თეატრი“ (1881-1884) და „ტფილისის თეატრი (სახაზინო)“ (1885 - 1895).

მიუხედავად იმისა, რომ საზაფხულო თეატრი 1870 წლიდან მოქმედია, მაყურებელთა დარბაზის გეგმა პირველად სწორედ 1881 წლის „კავკასიის კალენდარშია“ დაბეჭდილი. ამ სქემის მიხედვით სათეატრო დარბაზი, ქარვასლის თეატრის მსგავსად, ნალისებური ფორმისაა (სათეატრო დარბაზების ე.წ. იტალიური ტიპი) და სავარაუდოდ 500-მდე მაყურებელს იტევს (პარტერი 300-მდე ადგილს მოიცავს. გალერეა 106, რასაც 23 ლოჟის ადგილებიც ემატება). დარბაზი სრულად შევსებულია სავარძლებით, გასასვლელების გარეშე. აქვს ლოჟებად დაყოფილი ერთი იარუსი და ხუთრიგიანი ქანდარა (სურ. 20).

საზაფხულო თეატრის დარბაზის გეგმა შეცვლილია 1885 წლის „კავკასიის კალენდარში“. წარმოდგენილი სქემის მიხედვით, მისი ფორმა ელიფსურია, ჩნდება აივანი (Балкон), დარბაზის ცენტრში მოწყობილია გასასვლელი. 600-მდეა გაზრდილი მაყურებლის რაოდენობა (პარტერში, აივანსა და გალერეაზე 496, რასაც ემატებოდა 22 ლოჟა). ბილეთის ფასთან ერთად აღნიშნულია, რომ თეატრთან ფუნქციონირებს ბაღი, რომელიც განათებულია და საღამოს 6 საათიდან ღამის 2 საათამდე მოემსახურება თეატრის პუბლიკას. საზაფხულო თეატრი აქ ფიგურირებს, როგორც „ტფილისის (სახაზინო) თეატრი საინჟინრო ქუჩაზე“.

საზაფხულო თეატრში, როგორც ჩანს, ცვლილებები 90-იან წლების დასაწყისშიც განხორციელდა. 1892 წლის „კავკასიის კალენდრის“ გამოცემაში, სადაც ის ტფილისის სახაზინო თეატრად იწოდება, დარბაზის გეგმა მაყურებელთა შემცირებულ რაოდენობაზეა (ხუთას აღემატება) მოცემული. ეს განპირობებული უნდა იყოს გაფართოებული გასასვლელის მოწყობით მთელი დარბაზის გადაკვეთაზე. უცვლელია ლოჟებისა და გალერეის სტრუქტურა (სურ. 21). ამ პერიოდში მიმდინარე სამუშაოები დასტურდება საარქივო მასალითაც (სეა, ცსა, ფ. 204. ა.1. ს.798 „ტიფლისის სახაზინო თეატრის რემონტის შესახებ“. დაიწყო 1889 წლის 23 მარტს და დასრულდა 1890 წლის 11 ნოემბერს). დოკუმენტაციაში ლაპარაკია საზაფხულო თეატრის შენობის მდგრადობაზე. თეატრის დირექტორი გუბერნატორს შენობის შესწავლის მიზ-

ნით სპეციალური კომისიის შექმნას სთხოვს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თეატრის დირექციის მხრიდან კომისიისთვის შეთავაზებული კანდიდატურა (თბილისის გუბერნატორისადმი 1889 წლის 24 მარტს გაგზავნილ ამ წერილს ხელს აწერს თეატრის დირექტორი ერნსტი (ფურც. 2, 3): „Заведующий театральными зданиями архитектор, статский советник Зальцман“ (არქიტექტორი, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე – ზალცმანი, რომელიც კურირებს თეატრალურ შენობებს). სათეატრო შენობების კურირება-ხელმძღვანელობა, ვფიქრობთ, კიდევ ერთი საყურადღებო პასაჟია, რომელიც ალ. ზალცმანის, როგორც არქიტექტორის, მრავალმხრივ მოღვაწეობას უკავშირდება.

თბილისის თეატრის დირექციასა და გუბერნატორს შორის მიმოწერა გრძელდება მომდევნო თვეებშიც. დირექცია ცდილობს დააჩქაროს კომისიის მუშაობა, რათა სარემონტო სამუშაოებმა ხელი არ შეუშალოს თეატრის ფუნქციონირებას. კერძოდ, ზამთრის სეზონისთვის მოსამზადებელ ყოველდღიურ რეპეტიციებს (1889 წლის 6 აპრილის წერილი – ფურც. 4, 5). ამიტომ ჩქარობენ, ყველაფერი 15 აგვისტომდე დასრულდეს.

მიმოწერით ირკვევა რომ თეატრის შენობის მდგომარეობის კვლევისას, რომელიც მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, დღის წესრიგშია სათეატრო შენობის ინტერიერის გაუმჯობესება, მისი უფრო კომფორტულ სივრცედ გადაქცევა (ფურც. 14), ბუფეტის გადაკეთება, შენობის სახურავის შეცვლა (ფურც. 15). გაზის მიწოდების სისტემის განახლება და სხვ. კომისიას, რომელიც ამ სამუშაოთა განსაზღვრაზე მუშაობს, ხელმძღვანელობს „სტატსკი სოვეტნიკი“ მთავარმართებლის სამშენებლო ნაწილის ტექნიკოსი, სიმონსონი (ფურც. 17, 18. 14.02.1890).

1890 წლის 4 სექტემბრის წერილით (ფურც. 26, 27, 28) თბილისის გუბერნატორისადმი ირკვევა, რომ თეატრის შენობაში დასრულდა სარემონტო სამუშაოები და მათი ჩაბარებისა და დასტურისთვის ითხოვენ საგანგებო კომისიის დანიშვნას ზალცმანის მონაწილეობით.

განხილულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ 1889-1890 წლებში საზაფხულო თეატრში ჩატარდა მთელი რიგი

სამუშაოები და ალ. ზალცმანი ამ პროცესებშიც აქტიურად მონაწილეობს.

სავარაუდოა, რომ დ. ერმაკოვის ფონდში დაცული ფოტოები (№№3540, 6090) და 1892 წლის „კავკასიის კალენდარში" დაბეჭდილი საზაფხულო თეატრის შეცვლილი გეგმარება ამ ცვლილებებზე მიუთითებდეს. საყურადღებოა, რომ საზაფხულო თეატრზე 1895 წლის „კავკასიის კალენდრის" გამოცემის შემდეგ ინფორმაცია საერთოდ აღარ გვხვდება, რაც მისი ფუნქციონირების შეწყვეტის მიზეზით უნდა იყოს განპირობებული.

ამ პერიოდის საზაფხულო თეატრის შესახებ უაღრესად საინტერესო მასალას გვაწვდის ირანელი გენერლის, ყაჯართა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის, მაჯდ-ოს-სალტანეს ნაშრომი „ქალაქ თბილისის აღწერა" (ხელნაწერი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში).

მაჯდ-ოს-სალტანე თბილისში 1894 წლის 16 აგვისტოს ჩამოსულა. „მთელი 50 დღე ვცხოვრობდი თბილისში.... რაც ამ 50 დღის განმავლობაში მოვიხილე, ამას უკლებლივ მოგახსენებთ",[21] – წერს ავტორი და იმდროინდელ თბილისზე საკუთარ შთაბეჭდილებებსა და მოსაზრებებს მართლაც დეტალურად გადმოგვცემს. სალტანეს ყურადღების მიღმა არც თბილისის თეატრები და მათ შორის არც საზაფხულო თეატრი რჩება: „...ახლენდელი თეატრი მდინარის პირასაა გაშენებული, ქალაქის ბაღის ახლოს. იგი დიდიხანი არაა, რაც გააშენეს. ორსართულიანი შენობაა. ზედა სართულზე მოთავსებულია ლოჟები, ქვევით რამდენიმე რიგად არის გაწყობილი სკამები. ისინი რაც შეიძლება მჭიდროდაა მიდგმული ერთმანეთთან. ეს ადგილები შედარებით ძვირი არის. ლოჟების ფასი კი 10-დან 20 რუსულ მანეთამდეა. უბრალო ხალხი თეატრს ისე არ ეტანება, როგორც წარჩინებულნი. მას უფრო ცირკის სანახაოებები იზიდავს. საპატიო ადგილი თეატრში ბევრია. ისეა მოწყობილი, როგორც ირანული დარბაზი. განსაკუთრებული ადგილები სცენიდან ორი ზარეს სიმაღლეზეა (დაახლოებით 2მ – ი. დ.), ლოჟები პატარ-პატარა ოთახებადაა დაყოფილი, ისე რომ შიგ ოთხი ადამიანი ეტევა. თითოეულ ლოჟას თავისი სპეციალუ-

[21] მაჯდ-ოს-სალტანე, ქალაქ თბილისის აღწერა, „მეცნიერება". თბ., 1971, გვ.15.

რი შესასვლელი აქვს. წინ გადაჭიმულია მოაჯირები, რომლებიც შუა თეატრს გადასცქერიან. თეატრის ჭაღები გაზით ინთება. წარმოდგენის დროს სინათლე ქრება დარბაზში. ჯერ ნელ-ნელა იკლებს და მერე სულ ქრება. სცენის წინ არიან მუსიკოსები... ერთი წყება მუსიკოსებისა ქამანჩებიან საკრავებზე უკრავს, მეორე ვიოლენჩელოსა და ჩასაბერ საკრავებზე და სხვა ამგვარ ინსტრუმენტებზე. სცენის მხარეს არის ძალიან ლამაზად მოხატული ფარდა. ფარდა აიწევა თუ არა, იწყება წარმოდგენა.“[22] მაჯდ-ოს-სალტანეს საზაფხულო თეატრში „ოტელო“ უნახავს. თხზულებაში ის სპექტაკლის შინაარსსაც გადმოსცემს და თეატრთან დაკავშირებულ თავს შემდეგი პასაჟით ასრულებს: „12 საათზე წარმოდგენა დამთავრდა. ამ თეატრში ხალხი უმეტესად ან ფრანგულად საუბრობდა, ან რუსულად“.[23]

სალტანეს მიხედვით: თეატრის, შენობა, რომელიც ამ დროისათვის არსებობის 24 წელს ითვლის, „დიდიხანი არაა, რაც გააშენეს“, იგი ორსართულიანია, პარტერითა და ოთხ ადამიანზე გათვლილი, დამოუკიდებელშესასვლელიანი ლოჟებით. დარბაზი მოხატულია. სცენას „ძალიან ლამაზად მოხატული ფარდა“ ამშვენებს. აღწერილობა ადასტურებს და ავსებს თეატრის ინტერიერის ჩვენს მიერ რეკონსტრუირებულ სურათს.

საზაფხულო თეატრამდე სალტანე ოპერის თეატრზეც ამახვილებს ყურადღებას: „დიდი თეატრის შენება დაიწყეს რამდენიმე წლის წინ და უკვე დიდებული სანახავია, თუმცა დამთავრებული ჯერაც არაა“.[24]

1896 წელს დასრულდა საოპერო თეატრის მშენებლობა. საზაფხულო თეატრმა თანდათან დაკარგა თავისი მნიშვნელობა. XIX საუკუნის მიწურულს ის უკვე ძველ სახაზინო თეატრად იწოდება. XX საუკუნის დასაწყისში შენდება „არტისტული საზოგადოების“ თეატრი, კ. ზუბალაშვილის სახელობის საქალაქო სახალხო სახლი, 1914 წლამდე ფუნქციონირებს სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი.

რამდენი ხანი იარსება თავად საზაფხულო თეატრმა? ჩვენ

[22] მაჯდ-ოს-სალტანე, ქალაქ თბილისის აღწერა, „მეცნიერება“, თბ., 1971, გვ. 43.
[23] იგივე, გვ. 44.
[24] იგივე, გვ. 17.

უკვე ვახსენეთ 1898 წლის თბილისის გეგმა („ქალაქ ტფილისის და მისი შემოგარენის გეგმა შესრულებული და გამოცემული ნ.ფ.კლემენტიევის მიერ 1884 წელს, შესწორებული 1898 წლის 1 იანვარს“), რომელზეც საზაფხულო თეატრზე მითითებულია: „ძველი თეატრი (სახაზინო)“ საინჟინრო ქუჩის, წყალსაზიდის ჩიხისა და წყალსაზიდის ქუჩის კუთხეში (№107). საოპერო თეატრის შენობაზე - „დიდი თეატრი (სახაზინო)“ (№104). სურ. 18.

1903-1904 წლების თბილისის გეგმაზე, რომელიც შევსებულია 1906 წელს, საზაფხულო თეატრი აღარ არის აღნიშნული. ოპერის (თეატრალური ქუჩების მონაკვეთში) და საბანკო თეატრების გვერდით კი უკვე „არტისტული საზოგადოების“ თეატრიცაა წარმოდგენილი. ამდენად, თბილისის საზაფხულო თეატრის შენობამ სავარუდოდ 1906 წლამდე იარსება (სურ. 19).

ტფილისის საზაფხულო თეატრმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XIX საუკუნის სათეატრო ცხოვრებაში. მის სცენაზე გამოდიოდნენ მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსები, მომღერლები, დირიჟორები, ოპერისა და დრამის მსახიობები. ამ სცენაზე დაიწყო თავისი კარიერა თ. შალიაპინმა, პ. ჩაიკოვსკის თანდასწრებით დაიდგა მისი ოპერა „მაზეპა“, კონცერტი გამართა ცნობილმა მუსიკოსმა და კომპოზიტორმა ა. რუბინშტეინმა, ამ თეატრთანაა დაკავშირებული კომპოზიტორ მ. იპოლიტოვ-ივანოვის მოღვაწეობა. საზაფხულო თეატრის სცენაზე აღიზარდნენ ქართული თეატრის ვარსკვლავები: ვ. აბაშიძე, ლ. ალექსი-მესხიშვილი, კ. მარჯანიშვილი და სხვა. პირველად სწორედ აქ დაიდგა დ. ერისთავის „სამშობლო“.

ტფილისის საზაფხულო თეატრის მნიშვნელობა იმდროინდელ სათეატრო ცხოვრებაში იმითაცაა განსაკუთრებული, რომ სწორედ საზაფხულო თეატრში გაიმართა განახლებული და მუდმივ დასად ჩამოყალიბებული ქართული თეატრის პირველი წარმოდგენა (1879 წლის 5 სექტემბერს) — ბ. ჯორჯაძის კომედია „რას ვეძებდი და რა ვჰპოვე“ და რ. ერისთავის გადმოკეთებული ვოდევილი „იჭვიანი“. „ქართული სპექტაკლების გასამართად მუდმივი შენობის უქონლობა გადამწყვეტი თუ არა, მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი მიზეზი მაინც იყო პროფესიული თეა-

ტრის აღდგენის საქმეში. სათეატრო შენობის საკითხი და სხვა საკითხები, რომლებიც მუდმივი თეატრის შექმნასთან იყო დაკავშირებული, დეტალურად იქნა განხილული 1870 წლის დამლევს ნიკო ავალიშვილის მიერ მოწვეულ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ფართო თათბირზე. თათბირს ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე. შედეგად არჩეულ იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გამოენახა საშუალებანი მუდმივი პროფესიული თეატრის აღსადგენად".[25] ილიასა და აკაკის უშუალო ძალისხმევით 1879 წელს აღდგა პროფესიული ქართული თეატრი, რომლის დებიუტიც საზაფხულო თეატრში შედგა და აქედან მოყოლებული მისი ისტორია უწყვეტია. „...საინჟინრო უწყების ბაღში მდებარე თეატრმა ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მისია. ამ უპრეტენზიო კედლებში გატარებული წლები თბილისის ოპერის თეატრის შემდგომი განვითარების ბრწყინვალე პერიოდი იყო. აქ განმტკიცდა რუსული ოპერა და მუდმივი ქართული დრამატული დასი". [26]

მუდმივი ქართული დრამატული დასის ანუ პროფესიული ქართული თეატრის ისტორიის შემდეგი ეტაპი უკვე სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრს უკავშირდება. საზაფხულო თეატრის მსგავსად, არც ამ სათეატრო ნაგებობას მოუღწევია ჩვენამდე.

---

[25] ბუხნიკაშვილი გ., ქართული თეატრი ასი წლის მანძილზე, თბ., სახელგამი, 1950, გვ. 28.

[26] კაშმაძე შ., თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, 1851-1921. I. თბ., ფავორიტი სტილი, 2015, გვ. 215.




თბილისის და მისი შემოგარენის რუკა, 1887, ფრაგმენტი. ოპერის თეატრზე მითითებულია ,,მშენებარე დიდი თეატრი‘‘, მონიშნულია ,,საზაფხულო თეატრი‘‘.




1. სასახლის ქუჩა, პასკევიჩ-ერევანსკის მოედანი, ქარვასლა (სკმდეს)



2. პასკევიჩ-ერევანსკის მოედანი, მარჯვნივ თამამშევის ქარვასლა (სკმდეს)



3. გოლოვინის პროსპექტი (სკმდეს)



4. ქარვასლის თეატრი, არქ. ჯ. სკუდიერი, 1847-1851



5. მანეჟის თეატრის დარბაზი, მხატ. აკოფიანი, ქ. ფ. 55,5X37 სმ. (სკისმ)



6. მანეჟის თეატრის დარბაზი, XIX ს. II ნახევრის ფოტო



7. ქარვასლის თეატრის ინტერიერი. გრ. გაგარინი, ლითოგრაფია, 1851



8. ქარვასლის თეატრის ინტერიერი. გრ. გაგარინი, ლითოგრაფია, 1851



9. „ტიფლისი, წმ. გიორგის ეკლესია, სასახლე, თავადაზნაურთა გიმნაზია, კლუბი და თეატრი“ (№2257), XIX ს. 70-იანი წლები (სემ /დ. ერმაკოვის ფონდი)



10. „ტიფლისი, სახაზინო თეატრი, წმ. დავითი და ქალაქის ნაწილი“ (№11269), XIX ს. 70-იანი წლები (სემ /დ. ერმაკოვის ფონდი)



11. „ტიფლისი. სახაზინო თეატრი ახალი და ძველი. წმ. დავითის მთა და ეკლესია“ (№3527), XIX ს. 90-იანი წლები (სემ /ერმაკოვის ფონდი)



12. სახაზინო თეატრი (ოპერა), საზაფხულო თეატრი აღარ არის (11462) (სემ / დ. ერმაკოვის ფონდი)




13. საზაფხულო თეატრის გეგმა, 1874 (სეა)




14. საზაფხულო თეატრი, გენერალური გეგმა (სეა)




15. საზაფხულო თეატრი, გენერალური გეგმა, 1878 (სეა)







16. დეკორაციების შესანახი ნაგებობის პროექტი, არქ. ალ. ზალცმანი (სეა)




17. „თეატრის შენობა თბილისში წყალსაზიდის ქუჩაზე“,
1880-იან წლები, მუყ., ქ., ფ., 45X60 სმ. (სკისმ)




18. „ქალაქ თბილისის და მისი შემოგარენის გეგმა შესრულებული და გამოცემული ნ.ფ.კლემენტიევის მიერ 1884 წელს, შესწორებული 1898 წლის 1 იანვარს“, ფრაგმენტი, №107 – თბილისის საზაფხულო თეატრი




19. თბილისის გეგმა, ფრაგმენტი, 1906




20. თბილისის საზაფხულო თეატრის დარბაზის გეგმა, „კავკასიის კალენდარი“, 1881




21. თბილისის საზაფხულო თეატრის დარბაზის გეგმა, „კავკასიის კალენდარი“, 1892

II ნარკვევი

# სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი

სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი დღევანდელი ალ. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის ადგილას (რუსთაველის გამზირი, №2/4) იდგა. ამ მონაკვეთს თავისუფლების მოედნიდან მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლემდე, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან სასახლის ქუჩა ერქვა (სურ. 22). თეატრი ქარვასლის შენობაში იყო ჩართული და დროთა განმავლობაში არაერთი რეკონსტრუქცია განიცადა. სკუდიერისეული ქარვასლის თეატრის შემდეგ, სათავადაზნაურო ბანკის თეატრი, ქარვასლისა და თეატრის ერთ შენობაში გაერთიანების მეორე შემთხვევაა თბილისის და, ზოგადად, საქართველოს სათეატრო არქიტექტურის ისტორიაში. ორი ქარვასლა-თეატრის არსებობა XIX საუკუნის II ნახევრის თბილისში მართლაც არ არის შემთხვევითი მოვლენა და ამ ტენდენციის საფუძველი, სავარაუდოდ, ადგილობრივ ტრადიციებშია საძიებელი.

ქარვასლები გავრცელებული იყო შუა საუკუნეების საქართველოს საერო არქიტექტურაში. ეს სასტუმრო და სავაჭრო დანიშნულების ნაგებობები, იგივე „ფუნდუკები“, „უკვე IX-XII სს. წერილობით ძეგლებში ხშირად იხსენიება... გვიანფეოდალურ ხანაში სახელწოდება ფუნდუკს ირანიდან შემოსული ქარავანსარაი, შემდეგ კი ქარვასლა ცვლის... XVII-XVIII საუკუნეებში თბილისში რამდენიმე ქარვასლა ჩანს - შარდენის (1671 წ.) თანახმად „თბილისში არის საუცხოო საზოგადოებრივი შენობები; ბაზრები, ე.ი. სავაჭრო ადგილები, აგებულია ქვისგან და ფრიად მოვლილი, იგივე შეიძლება ითქვას ქარვასლებზე, იმ სადგომებზე, რომლებშიც უცხოელები ჩერდებიან... 1836 წელს თბილისში უკვე 7 ქარვასლა იყო, 50-იანი წლების დასაწყისში კი 13 (ყველა კერძო პირს ეკუთვნოდა)... ახალი ქარვასლების მშენებლობა გრძელდებოდა საუკუნის მეორე ნახევარშიც“.[27]

[27] ბერიძე, ვ. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები. II. თბ., საბჭოთა საქართველო. 1963, გვ.10-12.

1847 წელს გაზეთი „Кавказ“ აქვეყნებს ამიერკავკასიის სავაჭრო დეპოს მთავარი კანტორისა და მანუფაქტურული საქონლის მაღაზიის მოკლე განცხადებას, რითაც ატყობინებს თბილისის საზოგადოებას, რომ 31 ივლისს გოლოვინის პროსპექტზე არწრუნის სახლში იხსნება მაღაზია.[28] 1850-იან წლებში შენობა ფართოვდება, ემატება გვერდითი ფლიგელები (არქიტექტორი გრ. ივანოვი) და დიდ სავაჭრო კომპლექსად ყალიბდება (სურ. 24). „ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნიმუში „პასაჟის“ ტიპის სავაჭრო ნაგებობისა არა მარტო თბილისში, არამედ მთელი რუსეთის იმპერიაში“. არწრუნისეულ ქარვასლას მოგვიანებით მიუშენეს ეზოს კორპუსი, რითაც ცენტრალური სივრცის (ეზოს) გარშემო სწორკუთხედი შეიკრა[29] (სურ. 25). სწორედ ამ ნაგებობაში, მისი ინტერიერის სათეატრო სივრცედ გადაკეთების შემდეგ, თბილისში თეატრალური ხელოვნების ახალი კერა ჩნდება და აქედან მოყოლებული გრ. არწრუნის ქარვასლასთანაა დაკავშირებული სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის ისტორიაც (1878-1914).[30]

როგორც აღვნიშნეთ, ქარვასლის თეატრის დაწვის (1874) შემდეგ, ის მხოლოდ ქარვასლად  თეატრის გარეშე აღადგინეს. გ. ერისთავის თეატრი იმ დროისთვის უკვე აღარ არსებობს. ქართული დასი ჯერ კიდევ 1854 წელს გამოდევნეს ქარვასლის თეატრიდან. „გენერალმა მურავიოვმა ყველა საშუალება გამოიყენა, რომ უხმაუროდ მომხდარიყო ქართული თეატრის დახურვა. საბაბად ნიკოლოზ პირველის გარდაცვალება გამოიყენეს. ექვსი თვით გამოცხადდა გლოვა. შეწყდა სანახაობითი დაწესებულებე-

---

[28] „Кавказ“ №31. 02.08.1847.

[29] ბერიძე ვ. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები. II. თბ.. საბჭოთა საქართველო. 1963, გვ. 20.

[30] გრიგორ არწრუნი (1845-1892) - საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი. თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოსკოვისა და პეტერბურგის, მოგვიანებით  ციურიხის, ჟენევისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში სწავლობდა. ჰაიდელბერგში მიიღო ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის დოქტორის ხარისხი. პუბლიცისტური მოღვაწეობა 1865 დაიწყო. 1872 წელს თბილისში დააარსა სომხურენოვანი ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი „მშაკ“ („მუშა“), რომელიც 1920 წლამდე გამოდიოდა
http://nateba.websail.net/biographies/249-arcrun.

ბის საქმიანობა... შემდეგ მეფის ბრძანებით გლოვის დღეები შემცირდა, მაგრამ თბილისში თეატრები დახურული დარჩა... მურავიოვმა მხოლოდ რუსული თეატრი აღადგინა. ოპერისა და ბალეტის თეატრის აღდგენაზეც თავი შეიკავა, რათა უფრო მწვავედ არ წარმოჩენილიყო ქართული თეატრის დახურვა... 1854-1855 წლების სეზონიდან გიორგი ერისთავი თეატრიდან წავიდა... თეატრს სათავეში ჩაუდგა გ. ერისთავის თეატრის რეჟისორი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე ივანე კერესელიძე. სწორედ მას მოუწია თეატრის არსებობისთვის ბრძოლა. ქართულ დასს თეატრის შენობაში აღარ უშვებდნენ... ივ. კერესელიძემ დაიქირავა ერეკლე მეორის დროს აშენებული დარბაზი, ისესხა ფული ორასი თუმანი, გაუკეთა იარუსები, ლოჟები, დადგა სკამები, მოაწყო სცენა, დაახატვინა დეკორაციები“.[31]

ამგვარად, თბილისის თეატრში მხოლოდ რუსული დასი დარჩა, ქარვასლის თეატრის შენობის დაწვის შემდეგ საზაფხულო თეატრშიც მხოლოდ რუსული დასი გადავიდა. ამ უკანასკნელმაც არ გაამართლა და თბილისში კვლავ დადგა სპეციალური სათეატრო შენობის საჭიროება.

1856 წელს გ. ერისთავის თეატრის დახურვის შემდეგ სათეატრო ცხოვრება თანდათან მინელდა. ათიოდე წლის განმავლობაში თბილისში სულ რაღაც 15 წარმოდგენა გამართულა, მაგრამ 70-იან წლებში ნ. ავალიშვილის მცდელობით სცენისმოყვარეთა დასი თანდათან მუდმივმოქმედი გახდა. წარმოდგენები იმართებოდა კერძო სახლებში, გერმანელთა კლუბში, სამუსიკო დარბაზში, ზოგჯერ საზაფხულო თეატრში და საკმაოდ იშვიათად ქარვასლის თეატრში. ასე მაგალითად, 1873 წლის თებერვალში სცენისმოყვარეთა წრემ ნიკო ავალიშვილის თაოსნობით მოახერხა თბილისის დიდ თეატრში ეჩვენებინა ზ. ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“. სპექტაკლს დიდძალი მაყურებელი დასწრებია. ქართველ სცენისმოყვარეთა რეგულარული წარმოდგენები რეალურ საფუძველს ქმნიდა პროფესიული თეატრის აღსადგენად.

„1878 წელში სრულიად დამწიფდა სამუდამო სცენის დაარსების სურვილ-წყურვილი, რის გამოც სცენის მოყვარულთა

[31] კიკნაძე ვ., ქართული დრამატული თეატრის ისტორია, I ტ., თბ.. 2001, გვ. 167-168.

ამორჩევით შესდგა თეატრალური ამხანაგობა (კომიტეტი)... აი, ამ კომიტეტს ეკუთვნის ყოველი ცდა, ყოველგვარი დაბრკოლების თავიდან აცილება და სამუდამო სცენის აღორძინება. ...კომიტეტი იმის ცდაში იყო, რომ, უწინარეს ყოვლისა, შეეძინა ცოტ-ცოტათი სათეატრო ტანისამოსი, შეედგინა რიგიანი რეპერტუარი, ეშოვა ფული, წაეხალისებინა დრამატიული მწერლობა ჯილდოს დანიშვნით საუკეთესო პიესების დაწერისათვის და სხვა ამგვარები. ამ კომიტეტისავე თაოსნობით შესდგა სამუდამო დასი....“,[32] – წერს იმდროინდელი მოვლენების აქტიური მონაწილე, დრამატურგი და მსახიობი ავქსენტი ცაგარელი.

სცენისმოყვარეთაგან მუდმივმოქმედ დასში გაერთიანდნენ: ბაბო ავალიშვილი, ბაბო კორინთელი, მაკო საფაროვა, ნატო გაბუნია, მარიამ ყიფიანი, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ზაალ მაჩაბელი, ავქსენტი ცაგარელი და სხვ.

მუდმივმოქმედ თეატრს, პირველ ყოვლისა, საკუთარი ჭერი და სივრცე სჭირდებოდა. 1874 წელს გაჩენილი ხანძრის გამო ქარვასლის თეატრი აღარ ფუნქციონირებს. საზაფხულო თეატრმა, გადაკეთებათა მიუხედავად, ვერ გაამართლა, თეატრის იერსახეც დაკარგა და ყველა სეზონისთვის ვარგის სათეატრო შენობადაც ვერ იქცა. საჭირო იყო ახალი გზების ძიება, ახლის აშენება, რის საშუალებაც იმ დროისათვის არ არსებობდა, ან რომელიმე ნაგებობის თეატრად გადაკეთება. ასეთი შენობაც მოიძებნა - სასახლის ქუჩაზე მდებარე გრ. არწრუნის ქარვასლა, რომელიც სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკმა შეიძინა. იმის გამო, რომ შენობა თავიდანვე არ იყო სათეატრო ნაგებობად ჩაფიქრებული, მისი თეატრად რეკონსტრუქცია-ადაპტაციის პროცესი ათწლეულების განმავლობაში გაგრძელდა. სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის პროექტირებას თბილისში მოღვაწე არაერთი ცნობილი არქიტექტორისა და თეატრალური მოღვაწის სახელი უკავშირდება. ოთხი ათეული წლის განმავლობაში თეატრი ოთხჯერ გადააკეთეს, ოთხჯერ შეიცვალა მისი არქიტექტურული სახე, მაყურებელთა დარბაზის სტრუქტურა, ტევადობა და ა. შ. XIX საუკუნის II ნახევარში დაწყებული

[32] ცაგარელი ა., მოგონებანი (მუდმივი ქართულ დრამატული სცენის დაარსებიდან), 1900, http://www.allgeo.org/index.php/ka/2179-2020-01-25-08-28-16

პროცესი XX საუკუნეში გადმოდის და ბოლო რეკონსტრუქცია სწორედ გასული საუკუნის დასაწყისში განხორციელდა. სამ-წუხაროდ, სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრმა თბილისის ქარვასლის თეატრის ბედი გაიზიარა. იგი ის 1914 წელს დაიწვა.

სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის ისტორია 1878 წელს იწყება, როდესაც არქიტექტორ ა. ფონ სკოიანის პროექტით ქარვასლის ერთი ნაწილი სათეატრო დარბაზად გად-ააკეთეს და მასში პირველი კერძო თეატრი გახსნეს (1879). შენობა სათავადაზნაურო ბანკმა შეიძინა, რის გამოც მას „სა-ბანკო თეატრსაც" უწოდებდნენ. აქედან მოყოლებული შეგვი-ძლია თვალი გავადევნოთ სათეატრო შენობის ისტორიასაც, რის შესახებაც იმდროინდელი პრესა თუ სხვადასხვა საცნობარო ხას-იათის პერიოდული გამოცემა მნიშვნელოვან ფაქტობრივ მასალას გვაწვდის 1879 წელს გამოცემულ კრებულში „კავკასიის კალენ-დარი" („Кавказский Календарь на 1880 годъ"), საზოგადოებრივ დაწესებულებათა ჩამონათვალში საზაფხულო თეატრთან ერთად („ტფილისის საზაფხულო თეატრი, საინჟინრო ქუჩაზე, საინ-ჟინრო ბაღში") ფიგურირებს: „არწრუნის თეატრი მოყვარულთა წარმოდგ.(სთვის) სასახლის ქუჩაზე").[33] ეს ა. ფონ სკოიანის პროექტით გადაკეთებული სათეატრო სივრცეა, რომელიც 1879 წელს („კავკასიის კალენდრის" გამოცემის დროისათვის) უკვე ნამდვილად ფუნქციონირებს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში დაცულია არწრუნის ქარვასლის ეტაპობრივი მშენ-ებლობის ამსახველი პროექტები (1854, 1855, 1858, 1876, 1878). (სურ. 24, 25, 26). მათ შორისაა ა. ფონ სკოიანის მიერ შეს-რულებული „მეცნიერებათა დოქტორის გრიგორი ერემიას ძე არ-წრუნის კუთვნილ ქარვასლაში სათეატრო დარბაზად გადაკეთების პროექტი" (ი-237). მარცხენა მხარეს საინფორმაციო მინაწერში მითითებულია, რომ პროექტი მოწონებულია 1878 წლის 16 ნოემ-ბერს. ერთ ფურცელზე წარმოდგენილია: სათეატრო დარბაზის მეორე სართულის გეგმა, ორი ჭრილი (სიგრძივი და განივი),

[33] „Кавказский Календарь на 1880 годъ". XXXV. Тифлисъ. 1879, გვ. 161.

შენობის გენერალური გეგმა. ქვემოთ, ცენტრალურ ადგილას არქიტექტორის – ა. ფონ სკოიანის ხელმოწერით. აღნიშნული დოკუმენტი სრული პროექტის მხოლოდ ნაწილია. (სურ. 26)

მაყურებელთა დარბაზის მეორე სართულის გეგმაზე მოცემულია პარტერი, 15 რიგით, 12 ლოჟა, სცენა და საორკესტრო ორმო. მაყურებელთა დარბაზის სიგრძე ორჯერ აღემატება სცენის სიღრმეს. დარბაზში რამდენიმე შესასვლელია – სიგრძივ კედლებში ორ-ორი და ლოჟების ნაწილში (სურ. 27).

სიგრძივ ჭრილზე წარმოდგენილია თეატრის ინტერიერის სამდონიანი სტრუქტურა – პარტერი, ლოჟები და ქანდარა. ვიტრაჟითაა შემკული გრძივი კედლის სცენის მომიჯნავე საკმაოდ დიდი მონაკვეთი. გეომეტრიული დეკორითაა გაფორმებული ამ კედლისა და ლოჟების მოაჯირი. მეორე სართულის დონეზე კი თაღოვანი სარკმლების რიგი ვარდულის ფორმის სამი სარკმლით სრულდება. ამ მოტივს განათების ფუნქციის გარდა მხატვრულ-დეკორატიული დატვითვა გააჩნდა (სურ. 29).

განივ ჭრილზე ვხედავთ სცენის სწორკუთხა ღიობს, დეკორატიული მოტივებით შემკული შუბლით, ასევე, ლოჟებისა და ქანდარის ერთიან მოაჯირებს. სცენის ვერტიკალზე კი სართულებად განვითარებულ ლოჟებს სამ-სამი ფიგურით. ზემოთ მოცემულია ქარვასლის შენობის გენერალური გეგმა – სასახლის ქუჩასა და არწრუნის ბაღს შორის. მასზე დატანილია თეატრის გეგმაც (სურ. 28).

ადოლფ ფონ სკოიანის პროექტით თეატრი მოიცავდა ორდონიან, ნახევარწრიული ფორმის თეატრალურ დარბაზს, 250 ადგილზე გათვლილი პარტერით, იარუსის ლოჟებით (12 ლოჟა) და 100 ადგილიანი ქანდარით. ასე გამოიყურება მაყურებელთა დარბაზი 1881 წლის „კავკასიის კალენდრის“ ფურცლებზე (სურ. 30). დარბაზის გეგმასთან ერთად მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: „თეატრი სხვადასხვა ფასად ქირავდება სპექტაკლებისთვის, კონცერტებისთვის, საჯარო ლექციებისთვის. ადგილების ფასები ცვალებადია და დამოკიდებულია დამქირავებელზე“.[34] 1885 და 1886 წლების „კავკასიის კალენდრის“ გამოცემებში დარბაზის გეგმაზე თანდართული ინფორმაცია იცვლება: „არწრუნის ყო-

[34] „Кавказский Календарь на 1882 годъ“. XXXVII. Тифлисъ. 1881, გვ. 237.

ფილი თეატრი, რომელსაც აქირავებს სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი“.[35] აქედან გამომდინარე, უკვე გასაგებია თუ რატომ მიმართა 1880 წელს დასახმარებლად უბინაოდ დარჩენილმა ქართულმა დრამატულმა დასმა ქარვასლის მეპატრონე გრ. არწრუნს.

საინტერესოა, რომ მომდევნო წლების „კავკასიის კალენდრის“ გამოცემებში ინფორმაცია თეატრების შესახებ, წინარე კრებულების მსგავსად, კვლავ სტანდარტულია, მაგრამ მაყურებელთა დარბაზის გეგმა მხოლოდ საზაფხულო თეატრისაა წარმოდგენილი. ეს ვითარება არ არის შემთხვევითი და მიგვანიშნებს სათავადაზნაურო ბანკის თეატრის ახალ ეტაპზე, რომელიც დაკავშირებულია არქიტექტორ პაულ შტერნთან და ანტრეპრენიორ ვიქტორ ფორკატთან.

1887 წელს სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი პ. შტერნს უკვეთავს თეატრის ახალ პროექტს. ამ პროცესში ჩართულია ვ. ფორკატი (ანტრეპრენიორი, რეჟისორი, ადმინისტრატორი, მსახიობი. გარდაიცვალა 1906 წელს), რომელმაც დაიქირავა არწრუნისეული თეატრი. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში იგი აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოში და განსაკუთრებით, თბილისში. წარმართავდა თბილისის სხვადასხვა თეატრის საქმიანობას, იწვევდა დასებს, ცნობილ შემსრულებლებს, იჯარით იღებდა სათეატრო შენობებს, უტარებდა რეკონსტრუქციებს. მას „პროვინციის გრძნეულ ჯადოქრად“ მოიხსენიებენ და თავისი დროის ერთ-ერთ შესანიშნავ ანტრეპრენიორად მიიჩნევენ.[36] 1895 წელს ვ. ფორკატმა მონაწილეობა მიიღო ბორჯომის საზაფხულო თეატრის მშენებლობაში, რომლის პროექტიც, ასევე, პაულ შტერნთანაა დაკავშირებული.

არქიტექტორი პ. შტერნი, როგორც თბილისის სახაზინო (ოპერის) თეატრის არქიტექტორის – ვიქტორ შრეტერის თანაშემწე და საქმეთა მწარმოებელი XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს პეტერბურგიდან თბილისში ჩამოდის. მოგვიანებით პ. შტერნი

[35] „Кавказский Календарь на 1886 годъ“. XLI. Тифлисъ. 1885 გვ. 197.

[36] კაშმაძე შ., თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, 1851-1921. I. თბ., ფავორიტი სტილი. 2015, გვ. 219.

ოპერის თეატრის მშენებლობას კურირებს (1882 წლამდე).[37] მის მიერაა ხელმოწერილი ოპერის თეატრის საბოლოო გენგეგმაც (ოპერის თეატრის პროექტი რამდენჯერმე შეიცვალა).[38] ცნობილია პ. შტერნის ავტორობით შესრულებული თეატრის კიდევ ერთი პროექტი - ბორჯომის საზაფხულო თეატრი, რომლიც მან დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის დაკვეთით 1895 წელს დააპროექტა. XIX საუკუნის მიწურულს თბილისში „არტისტული საზოგადოების" თეატრის პროექტის ავტორებს შორის ფიგურირებს შტერნის სახელიც. 1898 წლის 31 ივლისს „ივერია" წერდა: „ტფილისის არტისტთა საზოგადოების" საბჭოს განსახილველად წარედგინა სამი პროექტი იმ შენობისა, რომელიც უნდა აგებულ იქმნას გენერალ-მაიორისგან ნ. ი. რეიტერისაგან შეძენილ მამულზედ. პროექტი წარდგენილია ბ-ნთ შიმკევიჩისა, შტერნისა და ტატიშჩევის მიერ. საუკეთესო პროექტის შემდგენელს ჯილდოთ მიეცემა 1000 მან".[39] მიუხედავად იმისა, რომ „არტისტული საზოგადოების თეატრი" (რუსთაველის თეატრი) 1898-1901 წლებში ალ. შიმკევიჩის და კ. ტატიშევის პროექტით განხორციელდა, პ. შტერნის მიერ ამ პროექტზე მუშაობის ფაქტი მნიშვნელოვანია, რამდენადაც მის სახელს საქართველოში რამდენიმე თეატრის დაპროექტება-მშენებლობა უკავშირდება. ამ თვალსაზრისით, ის გამორჩეულია საქართველოს სათეატრო არქიტექტურის ისტორიაში (ოპერა – 1880-1882 წწ., სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი – 1887-1888 წწ., ბორჯომის თეატრი – 1895 წ. „არტისტული საზოგადოების თეატრი" – 1898 წ.).

1887-1888 წლების სეზონში ვ. ფორკატი თავისი დასით გასტროლებზე ჩამოვიდა თბილისში და დაიქირავა „არწრუნისეული თეატრი". პ. შტერნის პროექტით შენობა სრულად გადაკეთდა: პირველ ყოვლისა, გაიზარდა ტევადობა და 400 მაყურებელზე გათვლილი დარბაზი თითქმის 800 ადგილიან სათეატრო

[37] ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები. II. თბ., საბჭოთა საქართველო. 1963, გვ. 183.

[38] დოლიძე ი., სათეატრო არქიტექტურა საქართველოში. თბ., პოლიგრაფი. 2005, გვ. 188.

[39] გაზ. „ივერია", №163, 31.07.1898.

სივრცედ გარდაიქმნა. მაყურებელთა დარბაზის ნახევარწრიული ფორმა შეიცვალა წაგრძელებული სწორკუთხა ფორმის დარბაზით, გაკეთდა მანამდე არარსებული გრძივი გასასვლელები, თეატრალურ დარბაზში გაჩნდა ბენუარის ლოჟები, ბელეტაჟის ლოჟები. პარტერის გარდა, ის მოიცავდა ამფითეატრულად გადაწყვეტილ გალერეასაც. რეკონსტრუქცია შეეხო ექსტერიერსაც და შენობამ სათეატრო ნაგებობისთვის დამახასიათებელი გამორჩეული იერსახე მიიღო (სურ. 31, 32, 33, 34).

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია პ. შტერნის მიერ 1887 წლის 31 მაისით დათარიღებული და ხელმოწერილი სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის პროექტი (გენერალური გეგმა, სიგრძივი ჭრილი, ფასადები. პარტერის, ბელეტაჟის, გალერეის გეგმები). თეატრის პ. შტერნისეული პროექტი თბილისის გუბერნატორმა მალევე, 1887 წლის 4 ივნისს, დაამტკიცა. „პროექტის მიხედვით, ქარვასლა-თეატრმა სასახლის და ერეკლე მეორის (შემდგომ ფრეილინის, დღევანდელი სულხან-საბა ორბელიანის) ქუჩებს შორის მოქცეული ვეებერთელა კვარტალი დაიკავა და იგი საზაფხულო თეატრსაც მოიცავდა... პ. შტერნის პროექტის მიხედვით, თეატრის არქიტექტურა ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სტილის ნაზავია... მთავარი ფასადის მკაცრ კლასიცისტურ ფორმებს... საზაფხულო თეატრისკენ მიქცეული ბაღისპირა, ფასადის როპეტის სტილის შეულესავი ფასადი ენაცვლება... სხვადასხვა სტილით ნასაზრდოები ორივე ფასადი თითქოს ამზადებს მნახველს შენობის ინტერიერის აღსაქმელად, სადაც ისლამურ ყაიდაზე დეკორირებული ფოიე... ფარანით დაგვირგვინებული დარბაზის ბაროკულ ინტერიერს ენაცვლება. შტერნისეული თეატრის შენობის სტილისტური მრავალფეროვნების ნაწილია ინტერიერში ვესტიბიულის განაპირა მხარეების კედლების ძველი ქართული ხუროთმოძღვრული დეკორით ინსპირირებული ნაძერწობა... გრეხილი ლილვებით და ნაძერწი გირჩებით არის მორთულ-მოჩარჩოებული სცენაც“.[40]

მაჯდ-ოს-სალტანე, რომელიც თბილისში 1894 წელს ჩამოვიდა, თავის თხზულებაში „ქალაქ თბილისის აღწერა“ საბანკო

[40] მანია მ, არქიტექტორი პაულ შტერნი და XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის თბილისი. ჟურნ. ხელოვნება დღეს. №8.. 2017, გვ. 5-7.

თეატრზე წერს: „...შუა ქალაქში რამდენიმე ბულვარია, სადაც მდებარეობს სახელმწიფო დაწესებულებათა უმრავლესობა, სამხედრო მუზეუმი, ქალაქის მუზეუმი, სასტუმროები, მაღალი ეკლესიები, თეატრები, ცირკი, სპეციალური და სამხედრო მაღაზიები და კლუბი. მაღაზიები და შენობების უმრავლესობა ბულვარზე განათებულია ლამპიონებით... არწრუნის სახელობის მცირე თეატრიც ამ ბულვარზე მდებარეობს. თეატრის შენობა შარშან დაზიანებულა ხანძრის დროს, მაგრამ წელს შესანიშნავად აღუდგენიათ. ლამპიონები თეატრში გამუდმებით ანთია. ეს თეატრი უპირატესად ქართულ ენაზე დგამდა სპექტაკლებს. თეატრის წინ იყო ქარვასლა, სადაც მოთავსებული იყო საუკეთესო მაღაზიები და სახელმწიფო ბანკი“.[41]

სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის შენობაში სპექტაკლების გარდა იმართებოდა სხვადასხვა სახის საღამოღონისძიებებიც. 1890 წელს სწორედ აქ ჩატარდა ედისონის ფონოგრაფის მოსმენის პირველი საჯარო სეანსი. იმ დღეებში გაზეთი „Кавказ“ წერდა: „გუშინ, 28 ივნისს, სასტუმრო „ლონდონში“ მხოლოდ პრესის წარმომადგენლებისთვის შედგა ცნობილი ედისონის ფონოგრაფის სეანსი... პირველი საჯარო სეანსი დანიშნულია დღეს საადგილმამულო ბანკის თეატრში“.[42]

1897 წელს სათავადაზნაურო ბანკის თეატრში მოეწყო ლუმიერის სინემატოგრაფის პირველი დემონსტრაციაც (ძმებმა ოგიუსტ და ლუი ლუმიერებმა პირველი კინოსეანსი 1895 წლის 28 დეკემბერს პარიზში, გრანდ კაფეში, გამართეს). სამეფო ოჯახის ამსახველ ეპიზოდებთან ერთად პროგრამაში წარმოდგენილი იყო სცენები სამხედროთა ყოფიდან, ბავშვების ცხოვრებიდან, შავი ზღვის ხედები და სხვ. უზარმაზარი რეზონანსი მოჰყა „მოძრავი ცოცხალი ფოტოგრაფიის“ ხილვას საზოგადოებაში, ამიტომაც წერს კორესპონდენტი: „როგორც ჩანს მთელი თბილისი სინემატოგრაფის სეანსებზეა და არც ნანობს ამას“ („Кавказ“, №85, 31.03.1897).

„საბანკო თეატრის“ ნაგებობის სახეცვლის პარალელურად იცვლება მისი სახელწოდებაც: 1879-1883 წწ. – „არწრუნის

[41] მაჯდ-ოს-სალტანე, ქალაქ თბილისის აღწერა, „მეცნიერება“, თბ., 1971, გვ. 17.
[42] გაზ. „Кавказ“, №169, 29.06.1890.

თეატრი მოყვარულთა წარმოდგ. (სთვის) სასახლის ქუჩაზე“; 1884-1886 წწ. – „ყოფილი არწრუნის თეატრი“; 1887 წლიდან – „თეატრი სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზე“. 1893 წლიდან – „სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი“.

„სათავადაზნაურო ბანკის თეატრის შენობაც, რომელშიც დროებით დაიდო ბინა ქართულმა დრამამ, რამდენჯერმე დახურვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. კომისიამ, რომელიც სათეატრო შენობას განაგებდა, 1901 წელს შეიტანა წინადადება, რათა თეატრის შენობა მომგებიან დუქნებად გადაეკეთებინათ. მხოლოდ ქართველი საზოგადოებრიობის კატეგორიულმა პროტესტმა და ილია ჭავჭავაძის პირადმა გამოსარჩლებამ გადაარჩინა ქართული თეატრის შენობა და ქართული თეატრი გაუქმებას, რადგან წარმოდგენებისათვის თბილისში სხვა შენობა არ იყო“.[43]

მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი გასული საუკუნის დასაწყისშიც (1901). „კავკასიის კალენდრის“ 1901 წლის გამოცემაში თეატრის მაყურებელთა დარბაზის გეგმა და სტრუქტურა შეცვლილია.[44] კუთხეებწაკვეთილი წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის მაყურებელთა დარბაზი კვადრატს მიახლებულ ფორმას იძენს. პარტერში სავარძლების განლაგება უფრო მეტადაა დანაწევრებული, მათ შორის, გასასვლელების ხარჯზეც, რაც ევაკუაციის მხრივ უფრო მოქნილ სქემას იძლევა. შემცირებულია მაყურებელთა რაოდენობაც. 1898 წლის „კავკასიის კალენდრის“ მიხედვით თეატრში 800-მდე ადგილია, თეატრის მაყურებელთა დარბაზის ეს გეგმარება უნდა ასახავდეს შტერნისეულ სათეატრო სივრცეს,[45] მაგრამ მისი პროექტით, სათვადაზნაურო ბანკის თეატრის ტევადობა ბევრად ნაკლებია, რაც მიუთითებს, რომ ცვლილებები თეატრში მუდმივად მიმდინარეობდა. 1901 წლის „კავკასიის კალენდრის“ გამოცემაში გამოქვეყნებული თეა-

---

[43] ყაჯრიშვილი გ,. საქართველოს თეატრალურ ნაგებობათა ისტორიისთვის. თეატრალური მოამბე. №6. 1987, გვ. 63.

[44] „Кавказский Календарь на 1902 годъ“. LVII. Тифлисъ, 1901. გვ. 661

[45] „Кавказский Календарь на 1899 годъ“. LIV. Тифлисъ, 1898. გვ. 611 .

ტრალური დარბაზის გეგმით თუ ვიმსჯელებთ, მაყურებელთა რაოდენობა უკვე 700-მდეა. ცხადია, ეს ცვლილებები არ იფარგლება მხოლოდ მაყურებელთა განსხვავებული რაოდენობით. გეგმარებითი სქემა შემდეგია: თეატრის მაყურებელთა დარბაზი სწორკუთხედის ფორმისაა, ნაწევრდება პარტერის, ბელეტაჟისა და გალერეის სართულებად. უფრო დეტალურად კი: შტერნის პროექტით (1887) პარტერი დანაწევრებულია 17, უწყვეტი თხუთმეტსკამიანი რიგით, გასასვლელები ბენუარის ლოჟების გასწვრივაა მოწყობილი. ბენუარის სამ-სამი, ბელეტაჟის 18 და ლიტერის ოთხი ლოჟით, გალერეაში ამფითეატრულად განლაგებული ექვსი რიგით (სცენის მოპირდაპირე მხარეს) და ორ-ორი რიგით გვერდებში.

,,კავკასიის კალენდრის" გამოცემებში გამოქვეყნებული მაყურებელთა დარბაზის გეგმების მიხედვით (1892-1899 წლების ყველა გამოცემაში გეგმა უცვლელია) პარტერი დაყოფილია 20 უწყვეტი, თხუთმეტსკამიანი რიგით, გასასვლელები კი ბენუარის ლოჟების გასწვრივაა; ბენუარის სამ-სამი, ბელეტაჟის 18 და ლიტერის ოთხი ლოჟა გალერეაში ამფითეატრულად განლაგებულია ცხრა რიგად (სცენის მოპირდაპირე მხარეს) და სამ-სამ რიგად გვერდებში (სურ. 35).

სურათი იცვლება 1901 წლიდან, კერძოდ, იმ წლის „კავკასიის კალენდრში" გამოქვეყნებული გეგმის თანახმად, მაყურებელთა დარბაზი კუთხეებმომრგვალებული სწორკუთხედის ფორმისაა. პარტერში 17 რიგია (განსხვავებული სიგრძისა და სკამების რაოდენობით), გვერდითი გასასვლელების გარდა, ბენუარის ლოჟების გასწვრივ, ორი გასასვლელია დარბაზის რიგებს შორის. დარბაზში ბენუარის ოთხ-ოთხი, ბელეტაჟის 18 და ლიტერის ორი ლოჟაა. გალერეაში ამფითეატრულად განლაგებულ, 180 ადგილზე გათვლილი, ცხრა რიგით (სცენის მოპირდაპირე მხარეს), ასევე ორ-ორი (ოთხადგილიანი) და სამ-სამი (ჯამში 72 ადგილი) რიგით გვერდებში (სურ. 36).

სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის რეკონსტრუქციათა ქრონოლოგია „კავკასიის კალენდრის" მიხედვით ასე გამოიყურება:

1881 წლიდან – ა. ფონ სკოიანის პროექტით, ნახევარწრიული ფორმის მაყურებელთა დარბაზი (400 მაყურებელი);

1892 წლიდან – პ. შტერნის პროექტით, კუთხეებწაკვეთილი სწორკუთხედის ფორმის მაყურებელთა დარბაზი (800-მდე მაყურებელი);

1901 წლიდან – კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედის ფორმის მაყურებელთა დარბაზი (700-მდე მაყურებელი);

1908 წლიდან – ქრ. ტერ-სარქისოვ-სატუნცის პროექტით, ელიფსის ფორმის მაყურებელთა დარბაზი (700-ზე მეტი მაყურებელი).

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ პ. შტერნის პროექტით განხორციელებული რეკონსტრუქციის შემდეგ თეატრის მაყურებელთა დარბაზის ტევადობა მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანია (არაუმეტეს 700 ადგილისა).

სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს 1906-1908 წლებშიც, ეს უკვე ამპირის სტილში გადაწყვეტილი სათეატრო ნაგებობაა.

ჩვენს ხელთ არსებული სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის ამსახველი საარქივო ფოტომასალა სწორედ ამ ბოლო ცვლილებებს ასახავს. შენობის კლასიცისტური ფასადები, ნახევარწრიული ფორმის დარბაზი, ორნამენტით მოხატული კედლებით - ამ ცვლილებების ამსახველი პირველი შტრიხებია (სურ. 37, 38).

სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის რეკონსტრუქციის ავტორთან დაკავშირებით იმდროინდელი პრესა არაერთგვაროვან ინფორმაციას გვაწვდის. როგორც ჩანს, თეატრის პროექტზე სხვადასხვა არქიტექტორი მუშაობდა. მათი პროექტები თავადაზნაურთა კრებებზე იყო წარმოდგენილი და მათზე აქტიურად მსჯელობდნენ. ამას ნათელყოფს პრესაში გამოქვეყნებული არაერთი პუბლიკაცია. მაგალითად, 1906 წლის 4 თებერვლის გაზეთ ,,Кавказ"- ის მიხედვით ,,ქართველ თავადაზნაურთა თეატრის რეკონსტრუქცია გადადებულია ამა წლის გაზაფხულამდე. არქიტექტორ კლდიაშვილისთვის შეთავაზებულია დეტალურად დაამუშაოს სათეატრო ნაგებობის რეკონსტრუქციის პროექტი სათ-

ავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის უფლებამოსილ პირთათვის საგაზაფხულო შეკრებაზე წარმოსადგენად. თავდაპირველი გათვლით ამ შენობის გადაკეთება ჯდებოდა 57 000 რუბლი.[46] აქედან გამომდინარე, 1905 წელს დაიწყო თეატრის რეკონსტრუქციის პროექტზე მუშაობა, რომლის ავტორიც ს. კლდიაშვილია. 1906 წლის თებერვალის დასაწყისში პროექტი შემდგომ დამუშავებას საჭიროებს და პირველადი ხარჯთაღრიცხვაც მზადაა. პირველი აკადემური განათლების მქონე ქართველი არქიტექტორის – სიმონ კლდიაშვილის – სახელი, პირველად ჩნდება სათეატრო არქიტექტურასთან კავშირში. როგორც ჩანს, პროექტზე მუშაობა ს. კლდიაშვილს აღარ გაუგრძელებია.

პარალელურად იკვეთება თეატრის პროექტის მოსამზადებლად საერთაშორისო კონკურსის გამოცხადების იდეა. აქ კვლავ თავს იჩენს თეატრის ქარვასლის შენობაში ინტეგრირების სირთულე. თუკი მანამდე მხოლოდ თეატრის რეკონსტრუქცია იდგა დღის წესრიგში, საერთაშორისო კონკურსის საგანი უკვე მთლიანად ქარვასლის შენობის პროექტის მომზადებაა და თეატრი, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, ამ ერთიან პროექტშია მოაზრებული. მიუხედავად ამისა, ინტენსიურად განიხილება თეატრის გადაკეთების პროექტები. ზემომოყვანილი კორესპონდენციიდან 4 თვის თავზე საკითხი კვლავ ღია დისკუსიის რეჟიმშია. ამის დასტურად გვევლინება 1906 წლის 4 ივნისის გაზეთ „Кавказ“ -ში გამოქვეყნებული სტატია სათაურით „თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მორიგი თავყრილობა“, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი არქიტექტორ სარქისოვის მიერ წარმოდგენილი სათავადაზნაურო ბანკის გადაკეთების პროექტის განხილვა. „3 ივნისის კრება გადადის ქართველ თავადაზნაურთა თეატრის გადაკეთების პროექტის საკითხზე, რომელიც წარმოადგინა არქიტექტორმა სარქისოვმა. ი.ზ. ანდრონიკოვი კრებას მოახსენებს, რომ ის გაეცნო გადაკეთების პროექტს და თვლის, რომ შედგენილია საკმაოდ კარგად - გონივრულადაა გამოყენებული არსებული თეატრალური ნაგებობის ადგილი სრულად, მაგრამ რასაც მანამდე ამბობდა და ეხლაც იმავე აზრისაა, რომ უნდა დაინგრეს არა მარტო თეატრის ნაწილი, არამედ მთლიანად შენობა და

[46] გაზ. „Кавказ”, №128, 04.06.1906.

შედგეს ერთი კაპიტალური ნაგებობის პროექტი. ის ვარაუდობს გამოცხადდეს საერთაშორისო კონკურსი ერთიან პროექტზე, მანამდე კი ხელი მიჰყონ შენობის ერთი ნაწილის, კერძოდ, თეატრის რეკონსტრუქციას. ეს იმისთვის, რომ პირველ რიგში შედგეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტი, რითაც ეშველება უბინაოდ დარჩენილ ქართულ დრამატულ დასს. შემდეგ გაზარდონ შენობის შემოსავლიანობა, რომელიც ყოველწლიურად, მისი გათვლით, 8 ათასი მანეთის ზარალს ნახულობს. რეკონსტრქციის ხარჯთააღრიცხვა შედგენილია 80 ათას მანეთზე და შეიძლება ამ ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება.

*თავ. ამირეჯიბი.* ამ თეატრის გადაკეთება არაერთხელ მომხდარა. არც თუ ისე დიდი ხნის წინ გადაგდებულია 30 ათასამდე მანეთი რაღაც უაზრო მინაშენისთვის, რომელიც ახალი პროექტის მიხედვით მთლიანად უნდა აიღონ. თავ. ანდრონიკოვი საკითხს, პირველ ყოვლისა, საზოგადოებრივი თვალსაზრისით მიუდგა. ის აცხადებს, რომ ქართულ დასს არ აქვს თავშესაფარი. თუკი ამ გარემოებიდან გამოვალთ, იქნებ უფრო სასარგებლო რამ მოვიფიქროთ, ვიდრე შენობის ერთი ნაწილის გადაკეთება, რომელიც შემდგომ შეიძლება არც შევიდეს ერთიანი კაპიტალური შენობის საერთო საკონკურსო გეგმაში და ამგვარად, ჩვენი 80 000 მანეთი ქუჩაში იქნება გადაყრილი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქმის კომერციულ მხარეს, მე შევთავაზებდი თავადაზნაურობას პატარა სახალხო თეატრის ასიგნებას 200 ათასი მანეთით, მაგრამ ეს არ მოგვცემს დიდ შემოსავალს, სამაგიეროდ ექნება დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. მინდა შევნიშნო, რომ არ მესმის რატომ უნდა დაიხარჯოს გადაკეთებაზე 80 ათასი და არა 180 ათასი მანეთი...

ბევრი ორატორი გამოდის კონკურსის გამოცხადების მომხრედ და მხარს უჭერს არწრუნის ყოფილი ქარვასლის მთლიანი შენობის თანდათან გადაკეთებას ამა თუ იმ არქიტექტორის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით.

*ვ. ჯავროვი.* ამ წელს მხიარულად ვატარებთ დროს თავადაზნაურთა შეკრებებზე... თავადაზნაურობა ბუკვალურად შიმშილობს, არ აქვს არც სახლი და არც სახურავი. რათ მინდა

თეატრი და სხვა თავშესაქცევი, თუკი შიმშილს ვგრძნობ. არა ბატონებო, თავდაპირველად დაგვაპურეთ და შემდეგ წაგვიყვანეთ თეატრში.

დისკუსია გრძელდება, და თეატრის გადაკეთების საკითხი კი კვლავ ღიად რჩება“.[47]

განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, რამდენიმე თვეში სათავადაზნაურო ბანკის თეატრის პროექტი დამტკიცდა და მშენებლობაც დაიწყო. გაზეთი „Кавказ“ საზოგადოებას აუწყებდა: „კვირას, 18 თებერვალს, გაიმართა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო შეკრება გუბერნიის თავადაზნაურთა თავკაცის თავად ბაგრატიონ-დავიდოვის თავმჯდომარეობით. პირველ დღეს განიხილეს ქართველ თავადაზნაურთა თეატრის რეკონსტრუქციისთვის 11 000 რუბლით დამატებითი დაფინანსების საკითხი. მოხსენებამ მიმდინარე სამუშაოებზე დიდი გამოცოცხლება და კამათი გამოიწვია, რამდენადაც გაირკვა რომ თეატრის ახლადამოშენებულ კედლებს უკვე ბზარები გაუჩნდა. გადადო რა დაფინანსების საკითხი, სამშენებლო კომიტეტს და დეპუტატთა საკრებულოს, სპეციალისტებთან ერთად, დაევალათ თეატრის ფუნდამენტის და როგორც ახალამოყვანილი, ისე ძველი კედლების შემოწმება“.[48] როგორც ჩანს, სამშენებლო სამუშაოებთან ერთად, პროექტი ცვლილებებს განიცდიდა, ამიტომაც ქართული სათავადაზნაურო ბანკის თეატრის ცვლილებების პროექტი საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტაციის საფუძველზე 1907 წლის 21 ივნისს მტკიცდება, თეატრის ელექტროგანათების პროექტი კი 1908 წლის 11/22 აგვისტოს.

ქრისტოფორე ბოგდანის ძე ტერ-სარქისოვ-სატუნცი (1875-1917) – სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის მომდევნო რეკონსტრუქციის ავტორია. უმაღლესი საინჟინრო-არქიტექტურული განათლება მან რუსეთში მიიღო. მისი პროექტით თბილისში არაერთი საცხოვრებელი და შემოსავლიანი სახლი აიგო. სათავადაზნაურო ბანკის თეატრი კი სატუნცის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პირველი სერიოზული პროექტი იყო.

---

[47] გაზ. „Кавказ“ №128, 04.06.1906.

[48] გაზ. „Кавказ“, №31, 21.02.1907.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის შენობის 1907 წლით დათარიღებული პროექტის რამდენიმე ფურცელი: ნაგებობის სიგრძივი ჭრილი და გალერეის გეგმა. ეს ნახაზები ინახება 1908 წლის პროექტთან ერთად, რომელიც თეატრის შენობის ელექტროგანათებისთვის განხორციელდა (სეა, ცსა, ფ. 204 ა.1 ს. 4188). განსხვავებული მიზნის მიუხედავად, მასზე კარგად იკითხება ნაგებობის არქიტექტურული გადაწყვეტა. აქ წარმოდგენილია სარდაფის სართული, პარტერის, ბელეტაჟის და გალერეის სართულები, ასევე, სიგრძივი ჭრილი. ეს პროექტი ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ის განსხვავდება 1907 წლის ნახაზებისაგან და სათეატრო შენობის შეცვლილ ინტერიერს გვიჩვენებს. 1914 წლის ხანძრამდე გადაღებული ფოტომასალა ზემოაღნიშნულ საპროექტო ნახაზებთან ერთად, სასახლის ქუჩაზე მდებარე ქართული სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის შენობის მეტ-ნაკლებად სრულ სურათს წარმოაჩენს. შენობამ ფოტოზე ასახული სახე სწორედ 1906-1908 წლების რეკონსტრუქციის შემდეგ მიიღო. ახალი თეატრი 1908 წლის 27 (14) დეკემბერს აკურთხეს.

„ამპირის" სტილის სათეატრო ნაგებობა რთული დანაწევრების ორსართულიანი შენობაა. მისი პირველი სართული შედარებით დაბალი და რუსტირებულია, მეორე კი შებათქაშებული, ამით პირველი სართული მხატვრული თვალსაზრისით მეორისთვის ერთგვარი პოსტამენტის მნიშვნელობას იძენს. თეატრის ეზოსკენ მიმართული ფასადი პორტიკითაა აქცენტირებული. ის ნაგებობის ყველაზე მეტად გამორჩეული და დეკორატიულად შემკული ნაწილია. მეორე სართულზე დიდი მოცულობის თაღისებრი ფორმის სამი სარკმელი ერთმანეთს კორინთული ორდერის ოთხი სვეტით ემიჯნება. სარკმელთა თავზე კარნიზით დასრულებული კედელი ატიკით გრძელდება, ოდნავ სიღრმეში იწევს და ოთხი სკულპტურული ფიგურითაა დამშვენებული. პორტიკის უკან ფრონტონით დასრულებული, აზიდული და ასევე გამოყოფილი საფასადო კედელი მორთულია ფრონტონის კიდეებზე სიმეტრიულად განლაგებული გრიფონების გამოსახულებებით. ამპირის სტილისთვის დამახასიათებელი მითოლოგიური, ასევე,

ანტიკური ხელოვნების რეპერტუარიდან აღებული მხატვრული სახეები სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის შენობის ფასადზე უხვადაა წარმოდგენილი. ფასადის მარჯვენა და მარცხენა ნაწილები მოკლებულია შემკულობას, სადაა და ვერტიკალურ ხაზებთან მკვეთრად დაპირისპირებული ჰორიზონტალებითაა (ატიკები, კარნიზები, მოაჯირები) დამუშავებული. საზოგადოდ, მკაცრად გაწონასწორებულ საფასადო სისტემაში განსხვავებულადაა მოცემული საკუთრივ ფასადის კედლები და მათი სიმაღლე. ასე, რომ თავშეკავებული მკაცრი კომპოზიცია არ გადადის სტატიკაში და დეკორატიული სამკაულის გარდა, თავად კედლის სიბრტყეთა დანაწევრებითა და მათი დონეების სხვადასხვაგვარობით უფრო აქტიური და ცოცხალია, ვიდრე კლასიციზმის ტიპური ფასადები.

სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი მაყურებელთა დარბაზის ორიარუსიანი (პარტერი, ბელეტაჟი და ქანდარა) სტრუქტურითა და ღრმა სცენა-კოლოფით XIX საუკუნის იარუსული თეატრების გავრცელებული ნიმუშია. ის შემდეგ პრინციპზეა აგებული: ელიფსის ფორმის თეატრალურ დარბაზში პარტერის სართულზე ორსავ მხარეს ბენუარის ლოჟებია, ბელეტაჟის სართულზე ლოჟებია დარბაზის მთელ პერიმეტრზე. ქანდარის სართულზე, სცენის პირდაპირ, ამფითეატრულად გადაწყვეტილი გალერეაა. სცენის მომიჯნავე ნაწილებში სამიარუსად წარმოდგენილია ლოჟები. სცენასა და მაყურებელთა სივრცეს შორის კი არცთუ მცირე მოცულობის საორკესტრო ორმოა (სურ. 39, 40).

მაყურებელთა დარბაზი სათეატრო ნაგებობის მეორე სართულზეა წარმოდგენილი. მთავარი შესასვლელი თეატრში საზეიმოდ მორთული პორტიკიდანაა, საიდანაც მაყურებელი ვესტიბიულში ხვდება. ვესტიბიულის უკან გარდერობი და მუსიკოსებისთვის განკუთვნილი ოთახებია, მის გვერდით მთავარი კიბე, რომლითაც თეატრალური დარბაზის სართულზე ავდივართ.

მთავარი შესასვლელის თავზე (პორტიკის ნაწილში) მეორე სართულის დონეზე გამართულია ვრცელი ფოიე, რომლიდანაც შეიძლება უკვე მაყურებელთა დარბაზში მოხვედრა. ეს ე.წ. პარტერის სართულია. გეგმაზე მის ორივე მხარეს სიმეტრიულად

განლაგებული ლოჟებია. დარბაზის მარჯვნივ სასადილო, ბუფე-ტი და სცენის მხარეს სიღრმეში საბუტაფორიო განყოფილებაა, მარცხენა ფრთაში კი - მოსაწევი ოთახი და მსახიობთათვის განკუთვნილი სივრცეები.

ბელეტაჟის სართულზე ყურდღებას იპყრობს დარბაზის მთელ პერიმეტრზე თითქმის ერთნაირი ზომის ლოჟები (22 ლოჟა), სცენის გვერდით სადეკორაციო განყოფილებაა, ხოლო მეორე მხარეს - მსახიობთა საპირფარეშოებია. გალერეის სართულზე საკუთრივ გალერეის ბუფეტი, გარდერობი და სხვა დამხმარე სათავსოებია განლაგებული.

განსაკუთრებით საინტერესოა ინტერიერის სიგრძივი ჭრილი. მასზე კარგად იკითხება სათეატრო სივრცის მთლიანი სტრუქ-ტურა, მაგრამ აქ ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ 1907 და 1908 წლების პროექტები.

განსხვავებულადაა წარმოდგენილი მაყურებელთა დარბაზის გადახურვა. 1907 წლის ნახაზში ის სამკუთხა სეგმენტებით შეკრული ფორმისაა. ცენტრში ჭაღით. 1908 წლის პროექტში ოვალური ე.წ. გუმბათისებრი. 1907 წლის ნახაზზე მაყურებელთა დარბაზში საერთოდ არ არის ნაჩვენები სვეტები. 1908 წლის პროექტში კი ისინი პარტერის და ბელეტაჟის სართულებზეა და არ არის მხოლოდ გალერეაში. 1907 წლის ნახაზზე გალერეის ცენტრალური ნაწილის ამფითეატრი შვიდრიგიანია, 1908 წლის პროექტში კი ცხრა. თუ 1907 წლის ნახაზში გალერეის ამ ნაწილს აქვს სწორკუთხოვანი ბრტყელი გადახურვა, 1908 წლის პროექტში იგი ოვალურია და ამფითეატრის ზრდის შესაბამისად გაზრდილია მისი სიმაღლეც (სურ. 41).

1907 წლის ნახაზზე პარტერის სართულში ოთხ-ოთხი ლოჟაა, 1908 წლის პროექტში - უკვე ხუთ-ხუთი. ასევე, საინ-ტერესოა, 1907 წლის ნახაზზე ფოიეში ნაჩვენები იონური ორდ-ერის სვეტები, ფასადზე კი კორინთული. 1908 წლის პროექტში ფასადის კორინთული სვეტებია მოცემული, მაგრამ სრულებით სადაა ფოიეს ინტერიერი. ეს გეგმები ვფიქრობთ ასახავს პროექ-ტზე მუშაობის პროცესს, მის სხვადასხვა ვერსიას, საბოლოო ვარიანტად კი უნდა მივიჩნიოთ „სათავადაზნაურო ბანკის თე-ატრის ელექტროობის პროექტი“ და „კავკასიის კალენდარში“

გამოქვეყნებული მაყურებელთა დარბაზის გეგმა[49] (სურ. 42, 43).

როგორც ვხედავთ, თეატრის რეკონსტრუქციის პროექტი ცვლილებებს განიცდიდა და მუშავდებოდა. დოკუმენტურად დასტურდება, რომ ქართული სათავადაზნაურო თეატრის შენობის გადაკეთების და მასთან საკლუბო შენობის პროექტები განხილეს და დაამტკიცეს 1906 წლის 5 აგვისტოს, მაგრამ თითქმის ერთი წლის შემდეგ (1907 წლის 21 ივნისს), შეტანილი ცვლილებების გამო, მტკიცდება ქართული სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის კორექტირებული პროექტი.

საქართველოს ეროვნულ არქივში სათავადაზნაურო თეატრთან დაკავშირებით დაცული საქმეების (სეა, სცა, ფ. 204 ა1, ს.1473, ფ. 204 ა.1 ს.1488) მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის გადაკეთების პროექტი მომზადდა 1906-1908 წლებში. კერძოდ.;

– 1906 წლის 5 აგვისტო – დამტკიცდა ქართული სათავადაზნაურო თეატრის შენობის გადაკეთების და მასთან საკლუბო შენობის პროექტები;
– 1907 წლის 21 ივნისი – ტფილისის საგუბერნიო მმართველობის ტექნიკოსებმა განიხილეს ქართული სათავადაზნაურო თეატრის ცვლილებების პროექტი და დაამტკიცეს;
– 1908 წლის 11/22 აგვისტო – თეატრის ელექტროგანათების პროექტი განხილულია და მოწონებულია თბილისის საგუბერნიო მმართველობის სამშენებლო განყოფილების მიერ;
– 1908 წლის 25 ნოემბერი – თეატრის რეკონსტრუქცია დასრულებულია და ტექნიკურ შემოწმებას ითხოვენ;
– 1908 წლის 14 დეკემბერი – დაგეგმილია თეატრის გახსნა.

საქართველოს კულტურის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის (ხელოვნების სასახლე) სახვითი ხელოვნების ფონდში დაცულია თეატრის მაყურებელთა დარბაზის ამსახველი გრაფიკული ნამუშევარი (მუყ.,ქ.,ფ., ნახ., 40X50 სმ). ნახატზე არ არის ავტორის ხელმოწერა, თარიღი ან სხვა წარწერა, რომელიც გარკვეულ ინფორმაციას ან მინიშნებას მოგვცემდა გამოსახულ სათეატრო დარბაზზე (სურ. 44).

[49] „Кавказский Календарь на 1909 годъ“, LXIV. Тифлисъ, 1908, გვ. 197.

სურათზე, მაყურებლიდან ფრონტალურად, ნაჩვენებია ორიარუსიანი, სწორკუთხა ფორმის თეატრალური დარბაზი პარტერით, ბენუარის, ბელეტაჟის ლოჟებითა და ამფითეატრულად გადაწყვეტილი ქანდარით. ნაწილობრივ ჩანს სცენა, საორკესტრო ორმო და დარბაზის სამკუთხა სეგმენტებიანი ჭერი, ცენტრში ჭაღით. სეგმენტთა სიბრტყეებზე მედალიონებში ჩასმული გამოსახულებებია, რომელთა შორის იკითხება XVII საუკუნის მინიატურის მიხედვით შესრულებული შოთა რუსთაველის პორტრეტი.

ამდენად, ნახატზე ასახულია ევროპული ტიპის დახურული თეატრის მაყურებელთა დარბაზი, ტიპური სტრუქტურით - პერსპექტიული სცენა-კოლოფითა და იარუსული დარბაზით. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს სათავადაზნაურო ბანკის თეატრის მაყურებელთა დარბაზი, მისი არსებობის ერთ კონკრეტულ პერიოდში. ამ მოსაზრებას ამყარებს საბანკო თეატრთან დაკავშირებულ ცვლილებათა ზემოთ განხილული ქრონოლოგია.

კერძოდ, როგორც უკვე ვნახეთ, სათავადაზნაურო ბანკის თეატრის რეკონსტრუქცია არაერთგზის განხორციელდა. 1878 წელს ა. ფონ სკოიანის თავდაპირველი გადაკეთების შემდეგ თეატრალური დარბაზი ნახევარწრიული ფორმის ორიარუსიანი არქიტექტურული სივრცეა. პირველი იარუსი ლოჟებად იყოფა, მეორე კი ასადგილიანი ქანდარაა. ასე გამოიყურება თეატრალური დარბაზი 1881 წლის „კავკასიის კალენდრის“ ფურცლებზე[50] და „არწრუნის თეატრად“ იწოდება, რომელიც მისსავე სახლში, სასახლის ქუჩაზეა განთავსებული. რადიკალურად იცვლება სურათი 1892-1898 წლების „კავკასიის კალენდრის“ გამოცემებში. აქ უკვე პაულ შტერნის პროექტით (1887-1888) სახეცვლილი თეატრის გეგმაა წარმოდგენილი, „სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრად“ (Театр Дворянскаго Земельнаго Банка) იწოდება და აქვს კუთხეებწაკვეთილი მართკუთხედის ფორმის დარბაზი. გაზრდილია მაყურებელთა რაოდენობაც (რვაასამდე). თეატრალური დარბაზი, პარტერის გარდა, მოიცავს ბენუარის, ბელეტაჟის ლოჟებს და ამფითეატრულად გადაწყვეტილ ქანდარას. ცვლილებები თეატრში 1901 და 1906-1908 წლებშიც განხ-

[50] „Кавказский Календарь на 1882 годъ“. XXXVII. Тифлисъ. 1881. გვ. 237.

ორციელდა. 1901 წელს კუთხეებმომრგვალებული სწორკუთხა ფორმის მაყურებელთა დარბაზი შემდგომი რეკონსტრუქციის დროს ოვალურ, ელიფსის ფორმის დარბაზად ტრანსფორმირდა.

ხელოვნების სასახლეში თეატრალური დარბაზის ამსახველ ნახატზე წარმოდგენილი მაყურებელთა დარბაზი გასული საუკუნის დასაწყისის სათავადაზნაურო ბანკის თეატრის ინტერიერს ასახავს - სწორკუთხა ფორმის დარბაზით, სამკუთხა სეგმენტებით შეკრული გადახურვით. ბოლო რეკონსტრუქციის დროს, 1908 წლის პროექტით, კი გადახურვა სფერულია. დარბაზის ფორმა – ოვალური. იგივე დასტურდება საარქივო ფოტომასალითაც, რომელიც თეატრის ბოლო გადაკეთებათა შემდეგ არსებულ სურათს ასახავს. ამდენად, მუზეუმში დაცულ ნახატზე ასახული მაყურებელთა დარბაზი სათავადაზნაურო ბანკის თეატრის დარბაზია და, სავარაუდოდ, 1901 წლიდან 1908 წლამდე ანუ თეატრის ბოლო რეკონსტრუქციამდე (პროექტი 1906-1908 წწ.) პერიოდს ასახავს. იმავე ხანებშია შესრულებული თავად ნახატიც.

როგორც აღვნიშნეთ, სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი მაყურებელთა დარბაზის ორიარუსიანი სტრუქტურითა და ღრმა სცენა-კოლოფით XIX საუკუნის რანგული თეატრების გავრცელებული ნიმუშია. პარტერის სართულზე ორსავ მხარეს განლაგებული ბენუარის ლოჟებით, ასევე, ლოჟებად დაყოფილი ბელეტაჟით დარბაზის მთელ შემოყოლებაზე, ამფითეატრულად გადაწყვეტილი გალერეით და სცენასა და მაყურებელთა სივრცეს შორის ღრმა საორკესტრო ორმოთი, რაც რეალისტურადაა გადმოცემული ხელოვნების სასახლეში დაცულ ნახატზე.

სათავდაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის შემორჩენილი ფოტომასალა წარმოდგენას გვიქმნის თეატრის ექსტერიერზე. ერთი შეხედვით, ის პეტერბურგის ალექსანდრეს თეატრის ფასადებს მოგვაგონებს. რუსტირებული, შედარებით დაბალი პირველი სართულით, კორინთული სვეტებით, პორტიკის ქანდაკებებით შემკული ცენტრალური ფრონტონით. კ. როსის მიერ XIX საუკუნის 30-იან წლებში ამპირის სტილში გადაწყვეტილი ფასადები მკაცრი და ლაკონურია. იგი მთლიანად თავისი ეპოქის სტილითაა გაჯერებული. სათავადაზნაურო თეატრის ფასადი XX საუკუნის დასაწყისშია გადაკეთებული, ამიტომ

კლასიციზმის სახასიათო ნიშნების გვერდით აქ ახალი, მოდერნის სტილისთვის ნიშანდობლივი ელემენტებიც ჩნდება: სარკმელთა გაღუნული ოვალები, კედლის სიბრტყეთა დანაწევრებული ჰორიზონტები და ა.შ. საუკუნის წინანდელი სტილისტიკის გახსენება უფრო ალექსანდრეს თეატრის ფასადებით უნდა იყოს შთაგონებული, ვიდრე ეპოქის ეკლექტიკურ ტენდენციათა პოპულარობით. „შენობის ფუნქციასთან უშუალო კავშირში იყო სკულპტურული შემკულობა. მისი ცენტრალური პორტიკის თავზე ოთხი ალეგორიული ფიგურა, რომელთა ატრიბუტები – ნიღაბი, ქნარი, დაფნის გვირგვინი – სათეატრო ხელოვნებაზე მიგვანიშნებენ. უფრო ზემოთ, შენობის შემაღლებული ნაწილის ფრონტონში მოთავსებული იყო უილიამ შექსპირის რელიეფური პორტრეტი, ხოლო მის აქეთ-იქით – გრიფონთა ქანდაკებები.“[51] რაც შეეხება ინტერიერის საერთო-მხატვრულ გააზრებას და მის კავშირს ფასადებთან, ამ მხრივ, ინტერიერ-ექსტერიერის სტილური ერთიანობისკენ ლტოლვა სათეატრო ნაგებობის არქიტექტურაში აშკარადაა გამოხატული.

1908 წლის 14 დეკემბერს სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი საზეიმოდ აკურთხეს. „...დღეს, დღის 1 საათზე შედგება კურთხევა, საღამოს კი ქართული სპექტაკლების სეზონის გახსნა. ამ გახსნისთვის დადგამენ დრამას „სამშობლო“, თარგმანი თავად დ. ერისთავის. თეატრი გათვლილია 700 ადგილზე“.[52]

თეატრის გახსნა დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო და მას ფართო რეზონანსი მოჰყვა. იმდროინდელი პრესა დიდ ადგილს უთმობდა სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის საზეიმო გახსნის ღონისძიებათა აღწერას და საკმაოდ დეტალურად ასახავდა მას. თბილისის მაღალი საზოგადოების გარდა „თეატრის კურთხევას ესწრებოდნენ: მისი უდიდებულესობა კავკასიის მეფისნაცვლის მეუღლე სტატს-დამა გრაფინია ე.ა. ვორონცოვა-დაშკოვა, მეფისნაცვლის თანაშემწეები ...ინფანტერიის გენერალი ნ.ნ. შატილოვი და ...ლ.დ. მიცკევიჩი, მეფისნაცვლის საბჭოს წევრები, მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი გოფმეისტ-

---

[51] საფასადო ქანდაკება თბილისში, XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი, თბ. 2008, გვ. 17-18.
[52] გაზ. „Кавказ“, №286, 14.12.1908.

ერის თანამდებობაზე ნ.ლ. პეტერსონი, მეფისნაცვლის ამალა, გენერალიტეტი, კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი გ.ე. ბერხმანი, ტფილისის გუბერნატორი მ.ა. ლოზინა-ლოზინსკი, კომენდანტი გენერალ-მაიორი ჩირკოვი, მაღალი საზოგადოების ქალბატონები და დიდი რაოდენობა მოწვეულების. ხალხით გადავსებული თეატრის კურთხევის შემდეგ, ქართული დრამატული დასის რეჟისორმა ა.ი. ყანჩელმა მოხსენება წაიკითხა რუსულად თბილისში ქართული თეატრის აღმოცენების ისტორიაზე. მცირე ანტრაქტის შემდეგ ქართულ ენაზე წარმოადგინეს ქართული დასის მიერ გათამაშებული, ცაგარელის ერთაქტიანი პიესა „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“.

პიესის დასრულების შემდეგ, მოწვეულ სტუმრებს შესთავაზეს ჩაი, შემდეგ ქართული ფილარმონიული საზოგადოების გუნდის მიერ შესრულდა რამდენიმე ვოკალური ნომერი. დასკვნით ნაწილში კი იყო ქართული თეატრისადმი მიძღვნილი აპოთეოზი კანტანტის შესრულებით. თეატრი არ არის დიდი, მაგრამ ძალიან მყუდრო და დახვეწილია, გათვლილია 700 ადამიანზე. მაყურებლისა და არტისტების კომფორტისთვის ბევრია გაკეთებული“.[53]

თეატრის გახსნას არაერთი პერიოდული გამოცემა გამოეხმაურა. „დროის დიდი შუალედის შემდეგ, თავიდან მოპირკეთებული და რეკონსტრუირებული ქართველ თავადაზნაურთა თეატრი დღეს იხსნება. გახსნისთვის ქართული დასი დგამს პიესას „სამშობლო“.

თეატრის რეკონსტრუქციისთვის თავადაზნაურობამ მსხვილი თანხა გაიღო. ძველი, მოუხერხებელი, ოთხკუთხა მაყურებელთა დარბაზი გადაიქცა თეთრად შეფერილ დახვეწილ ნახევარწრედ. ლოჟებში მოწყობილია დრაპირება მუქი მწვანე ხავერდისგან, ამავე ქსოვილითაა პარტერის მთელი ავეჯიც. სავარძლები ისეთია როგორც სახაზინო თეატრში ასაწევი დასაჯდომებით.

დარბაზის იატაკს დიდი დახრა აქვს, რომელიც უფრო ძლიერდება უკანა რიგებში. არაპროპორციულად დიდია საორკესტრო ორმო, რომელსაც დარბაზის თითქმის მესამედი უკავია... სამაგი-

[53] გაზ. „Кавказ“, №287, 16.12.1908.

ეროდ დადებით მხარეებს უნდა განეკუთვნოს დიდი, თავისუფალი დერეფნები და ორი ნათელი, ტევადი ფოიე შემკული დახვეწილი ავეჯით. ერთი ფოიე პირდაპირ უერთდება დარბაზს.

გაუმჯობესებულია თეატრის სცენაც... ვუსურვოთ ხელოვნების განახლებულ ტაძარს წარმატებები თავის სამხატვრო ასპარეზზე“, – წერდა გაზეთი „Тифлиский Листок“ (№263, 14.12.1908).

თეატრის გახსნის საზეიმო ღონისძიებებს გაზეთი მომდევნო ნომერში კვლავ უბრუნდება. სტატიიდან, „ქართული სპექტაკლების გახსნა“, თვალსაჩინოდ იკვეთება თეატრის გახსნის მნიშვნელობა, საზოგადოების დიდი ინტერესი და თავად გახსნის ცერემონიის მასშტაბი. ცერემონია მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და ორ – დილის და საღამოს ნაწილად იყოფოდა. „კვირას შედგა ქართველ თავადაზნაურთა თეატრის შენობის გახსნა. საგანგებო მოსაწვევი ბილეთებით მოწვეულმა პუბლიკამ... იმდენად დიდი რაოდენობით მოიყარა თავი, რომ თეატრი ძლივს იტევდა საზეიმო გახსნაზე დასწრების ყველა მსურველს. ლოცვის შემდეგ, რომელიც დახვეწილ ფოიეში შედგა, სცენაზე გამოვიდა ქართული დრამატული დასის რეჟისორი ალ. ყანჩელი და მშრალად ანგარიში ჩააბარა საზოგადოებას ქართული სცენის ისტორიაზე. ამ მოხსენებიდან ჩვენ გაოცებულნი დავრჩით თუ რაოდენ თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართული თეატრის ისტორიაში ფოტოგრაფმა როინაშვილმა, რომ დ. ერისთავის, ა. ცაგარელის გვერდით, რომელთაც გაამდიდრეს რეპერტუარი, არის ვალ. გუნიაც. კითხვის პროცესს თან სდევდა თეატრის პირველ მოღვაწეთა ცოცხალი პორტრეტების დემონსტრირება. ილია ჭავჭავაძემ რატომღაც გადაწყვიტა კოლია ერისთავის გრიმი გაეკეთებინა, რაც მას კარგად გამოუვიდა. რუსული და სომხური პუბლიკისთვის ჩვენი რეპერტუარისა და ცხოვრების გაცნობის მიზნით, წარმოადგინეს ნაწყვეტი ცაგარელის პიესიდან „რაც გინახავს ველარ ნახავ“, რომელშიც გადმოცემულია ტფილისელი კინტოების ცხოვრება... ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაიწყო საკონცერტო განყოფილება რამდენიმე დახვეწილი ნომრით, რომელიც შესანიშნავად შეასრულა ფილარმონიული საზოგადოების გუნდმა...

II. საღამოს მიდიოდა „სამშობლო“. ახალი დეკორაციებითა და ახალი კოსტიუმებით... ლევ. ხიმშიაშვილის როლში პირველად გამოვიდა გ. იშხნელი... თეატრალური დარბაზი მაისივით ნათელი და სიხარულით სავსეა. ნაძერწი მორთულობის მომცინარე ამურებს კი სიხარული შემოქვთ გულში“.[54]

როგორც ვხედავთ, განახლებული სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის ამოქმედება დიდ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. გასათვალისწინებელია, რომ იმ დროისათვის თბილისში ფუნქციონირებს „არტისტული საზოგადოების თეატრი“, „სახაზინო თეატრი“ (ოპერა), ზუბალაშვილების სახელობის საქალაქო სახალხო სახლი. თბილისის ამ თეატრების რიგში დგება სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრიც. მათგან განსხვავებით, საბანკო თეატრმა მხოლოდ 1914 წლამდე იარსება (სურ. 45).

სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრმა ქარვასლის თეატრის ტრაგიკული ბედი გაიზიარა. 1914 წლის 25 სექტემბერს „დღის 5 საათზე, ქართველ თავადაზნაურთა ქარვასლაში სასახლის ქუჩაზე, გაჩნდა ხანძარი. როგორც ამბობენ, ცეცხლი თავდაპირველად გამოჩნდა შენობის სამხრეთ ფრთის (ერთი მხრიდან ემიჯნება ქართულ თეატრს) მეორე სართულის სახელოსნოებიდან, მეორე ვერსიით, ხანძარი გაჩნდა ქარვასლის ეზოში ქვედა სართულზე მდებარე რესტორან „კაფე პარიზის“ სამზარეულოდან. ცეცხლმა მოიცვა სახურავი და სწრაფად გავრცელდა გალერეის გადახურვაზე... სულ რაღაც 10-15 წუთში სამხრეთ კორპუსის თითქმის მთელი სახურავი, რამდენიმე მაღაზია, საწყობები, დუქნები და სახელოსნოები გალერეის სამხრეთ მხრიდან როგორც პირველ, ისე მეორე სართულზე გახვეული იყო ალში. მალე ხანძარმა მოიცვა „ახალი კლუბის“ ბანქოს პავილიონი მის საზაფხულო შენობაში, მსახიობთა საგრიმიოროები და თეატრის გარდერობი. საღამოს 7 საათზე ცეცხლმა მთელი თეატრი და „ახალი კლუბის“ შენობა მოიცვა... ქარვასლის უზარმაზარ შენობაში პანიკა გაჩნდა. ძლივს მოასწრეს შენობიდან ქონების გამოტანა რომ თეატრის სახურავი ჩამოიქცა.

[54] გაზ. „Тифлиский Листок“, №264, 16.12.1908.

ცოტა ხანში კი სამხრეთ ფლიგელის სახურავი. „ახალი კლუბის“ ბაღი ფრეილინის ქუჩის მხრიდან და ქარვასლის ეზო სავსე იყო თეატრალური ავეჯით, დეკორაციებით, კლუბის ქონებით, რესტორნის ბილიარდებით, სხვადასხვა საქონლითა და ა.შ.

საღამოს 8 საათზე ხანძარი ჯერ კიდევ მძვინვარებდა. ხანძარზე მოვიდა მეფისნაცვლის თანაშემწე სამხედრო ნაწილში ინფანტერიის გენერალი ა.ზ. მიშლაევსკი, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, ვიცე-გუბერნატორი, პოლიცმეისტერი და სხვ. სასახლის ქუჩის მიმდებარედ და ერივანსკის მოედანი გადავსებული იყო ხალხის მასით. მაყურებელთაგან მრავალი, სახანძრო რაზმთან და გამოძახებულ სამხედრო ჯგუფებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხანძრის ჩაქრობასა და ცეცხლმოკიდებული შენობიდან ნივთების გამოტანაში. ყველგან სანიმუშო წესრიგი იყო“,[55] – წერს 1914 წლის 26 სექტემბრის გაზეთი „Кавказ“ და იმავე ნომერში ბოდიშს უხდის მკითხველს, ვინაიდან „ქართველ თავადაზნაურთა ქარვასლაში გაჩენილმა ხანძრმა გამოიწვია დანადგარების გაჩერება, რომლებიც ენერგიას თავადაზნაურთა სადგურიდან იღებდნენ, ამიტომ „კავკასიის“ ეს ნომერი გამოვიდა ბოლო კორექტურის გარეშე“. თეატრთან ერთად განადგურდა მთელი მისი ქონება, არქივი და ბიბლიოთეკა.

35 წლის განმავლობაში სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის შენობა წარმოადგენდა ქართული დრამატული დასის მუდმივ კერას. თეატრისა, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა XIX-XX საუკუნეების თბილისისა და, ზოგადად, ქართული კულტურის ისტორიაში.

XX საუკუნის 30-იან წლებში „საბანკო თეატრის“ შენობის რეაბილიტაციის (არქიტექტორები: ნ. ნეპრინცევი, მ. პოპოვი) შემდეგ, სათეატრო ცხოვრება კვლავ გაგრძელდა. შენობაში რუსული დრამატული თეატრი გადმოვიდა. 1930-იანი წლებიდან მოყოლებული, სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის ისტორიული შენობა ა.ს. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის სივრცეა. გასული საუკუნის 60-იან წლებში სათეატრო ნაგებობა დაანგრიეს და მის ადგილას ახალი

---

[55] გაზ. „Кавказ“, №218, 26.09.1914.

ააშენეს (არქიტექტორები: დ. მორბედაძე, ლ. მეძმარიაშვილი). 1977 წელს გახსნილ ახალ სათეატრო ნაგებობაში კვლავ რუსული დრამატული თეატრი დაბრუნდა და დღემდე ის თბილისის ა.ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრის მუდმივი სამყოფელია.




22. სასახლის ქუჩა




23. პასკევიჩ-ერევანსკის მოედანი და ქარვასლის თეატრი (სეა)





24. არწრუნის მაღაზიები, არქ. გრ. ივანოვი, 1854, 1855 (სემ/თიმ)




25. არწრუნის ქარვასლა, არქ. სიგუნოვი, 1858 (სემ/თიმ)



26. „მეცნიერებათა დოქტორის გრიგორი ერემიას ძე არწრუნის კუთვნილ ქარვასლაში სათეატრო დარბაზად გადაკეთების პროექტი“, არქ. ა. ფონ სკოიანი, 1878 (სემ/თიმ)



27. მაყურებელთა დარბაზი, II სართულის გეგმა, არწრუნის ქარვასლაში თეატრის მოწყობის პროექტი, ფრაგმენტი




28. თეატრის ინტერიერი, განივი ჭრილი და გენერალური გეგმა, არწრუნის ქარვასლაში თეატრის მოწყობის პროექტი, ფრაგმენტი




29. სიგრძივი ჭრილი, არწრუნის ქარვასლაში თეატრის მოწყობის პროექტი, ფრაგმენტი




30. არწრუნის თეატრის დარბაზი, „კავკასიის კალენდარი“, 1881







31. სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის პროექტი (გენერალური გეგმა, სიგრძივი ჭრილი), არქ. პ. შტერნი, 1887 (სეა)







32. სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის პროექტი (ფასადები), არქ. პ. შტერნი, 1887 (სეა)




33. სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის პროექტი (პარტერის გეგმა), არქ. პ. შტერნი, 1887 (სეა)




34. სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის პროექტი (ბელეტაჟის და გალერეის გეგმები), არქ. პ. შტერნი, 1887 (სეა)




35. სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის დარბაზი, „კავკასიის კალენდარი“, 1898




36. სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის დარბაზი, „კავკასიის კალენდარი“, 1901



37. სათავადაზნაური საადგილმამულო ბანკის თეატრი




38. „ტიფლისი, საბანკო თეატრი, ფასადი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან“
(სემ/დ. ერმაკოვის ფონდი)



39. „ტიფლისი, საბანკო თეატრი“ მაყურებელთა დარბაზი
(სემ /დ. ერმაკოვის ფონდი)





40. ,,ტიფლისი, საბანკო თეატრი‘‘ (სემ /დ. ერმაკოვის ფონდი)






41. სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი, 1907 (სეა)










42. ,,სათავადაზნაურო ბანკის თეატრის ელექტროობის პროექტი‘‘ (სეა)




43. სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის დარბაზი, ,,კავკასიის კალენდარი“, 1908



44. სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის დარბაზი, მუყ., ქ., ფ., ნახ., 40X50 სმ (სკისმ)




45. სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი (სკმდეს)



III ნარკვევი

# ბორჯომის საზაფხულო თეატრი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის (სემ/ხმ) ძველი ქართული ხელოვნების ხუროთმოძღვრული ძეგლების ნახაზებისა და ანაზომების ფონდში დაცულია ბორჯომის საზაფხულო თეატრის პროექტი, ხელმოწერილი არქიტექტორ პაულ შტერნის მიერ და დათარიღებული 1895 წლით. მუზეუმში პროექტი შესულია საქართველოს საკურორტო სამმართველოდან 1950 წლის 31 ოქტომბერს (აქტი №30. გატარებულია ხელოვნების მუზეუმ „მეტეხი"-ს №1 საინვენტარო წიგნში). თანადროულია ნახაზების ჩასადები ყავისფერი ბუდე-საქაღალდეც, რომელზედაც ბეჭდურად დატანილია წარწერა: „*ПРОЕКТЪ ЛЕТНЕГО ТЕАТРА В ИМЕНИИ ЕГО ИМПЕРАТОРСКОГО ВИСОЧЕСТВА ВЕЛИКОГО КНЯЗЯ МИХАИЛА НИКОЛАЕВИЧА `БОРЖОМЪ*" („საზაფხულო თეატრის პროექტი მისი საიმპერატორო უდიდებულესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მამულში „ბორჯომი"); მარჯვენა ქვედა კუთხეში – „В. ФОРКАТТИ" (ვ. ფორკატი). სურ. 46.

საქაღალდეში ფანქრით, აკვარელით, ტუშით და კალმით შესრულებული შვიდი ნახაზი და ესკიზია. ესენია:

1) გენერალური გეგმა („*Генеральный план*");
2) პარტერის გეგმა („*Партеръ*");
3) ლოჟებისა და გალერეის გეგმა („*Ложии и галерея*"),
4) გრძივი ჭრილი („*Продольный разрез*");
5) მთავარი ფასადი („*Главный фасадь*");
6) თეატრის ფასადი, ვარიანტი;
7) თეატრის ფასადი, ვარიანტი.

პირველი ხუთი ნახაზისგან განსხვავებით, რომელთაც არქიტექტორის ხელმოწერა ახლავს, მე-6 და მე-7 ესკიზებს დართული აქვს პროექტის დამტკიცების ამსახველი რეზოლუცია მშენებლობის ადგილის მითითებით.

ამდენად, 1895 წელს მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის დაკვეთით შესრულებულია ბორჯომის საზაფხულო თეატრის

პროექტი, რომლის ავტორიც იმ დროისათვის ცნობილი გერმანელი არქიტექტორი და თბილისში არაერთი საზოგადოებრივი ნაგებობისა თუ საცხოვრებელი სახლის (თბილისის საკრებულოს შენობა თავისუფლების მოედანზე, საცხოვრებელი და შემოსავლიანი სახლები აღმაშენებლის გამზირზე, ხელოვნების სასახლის შენობა ი. კარგარეთელის ქუჩაზე და სხვ.) ავტორი – პაულ შტერნია (1847-1924?). პროექტში ჩართულია ანტრეპრენიორი ვ. ფორკატი.

სათეატრო არქიტექტურასთან პ. შტერნის კავშირი, როგორც უკვე ვნახეთ, მხოლოდ ოპერის თეატრით არ ამოიწურება და მისი შესრულებულია სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრის პროექტი. რამდენიმე წელიწადში კი შტერნის და ფორკატის თანამშრომლობა უკვე ახალ პროექტს უკავშირდება და ეს, ბორჯომის საზაფხულო თეატრია.

ვიქტორ ფორკატი, რომლის სახელი პროექტის ბუდეზე-საქაღალდეზეა დაბეჭდილი და რომელიც შტერნთან ერთად მონაწილეობს სათავადაზნაურო ბანკის თეატრის რეკონსტრუქციაში, ცნობილი ფიგურაა რუსეთის იმპერიის თეატრალურ წრეებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIX საუკუნის მიწურულს იგი აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოში.

ვ. ფორკატი წარმოდგენებს (საოპერო და დრამატული, ოპერეტა, ბალეტი) მართავდა არა მარტო თბილისის თეატრებში, არამედ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში – კისლოვოდსკში, ოდესაში... მან არქიტექტორ მასის პროექტით ააშენა საზაფხულო თეატრი ოდესაში და, ფაქტია, მონაწილეობა მიიღო ბორჯომის საზაფხულო თეატრის მშენებლობაში.

სად მდებარეობდა საზაფხულო თეატრი? განხორციელდა თუ არა მისი მშენებლობა ჩვენს ხელთ არსებული პროექტით ან განხორციელდა კი საერთოდ?

არქივებსა და მუზეუმებში დაცული XIX საუკუნის ბორჯომის ამსახველი ფოტო თუ დოკუმენტური მასალა საკმაოდ დეტალურ წარმოდგენას გვიქმნის ბორჯომის ისტორიაზე, მის განაშენიანებაზე, არქიტექტურაზე, ყოფაზე. თეატრის შესახებ კი ინფორმაცია მწირია. იმდენად, რომ სათეატრო ნაგებობის ამსახველი

ფოტოც კი აქამდე ვერ იქნა მოძიებული,[56] ამიტომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცული ბორჯომის საზაფხულო თეატრის პროექტის მნიშვნელობა განუზომლად დიდია.

პროექტთან ერთად განვიხილავთ, ასევე, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ ბორჯომის მინერალური წყლის პარკის გეგმებს, რომლებზედაც დატანილია თეატრის შენობა. ამ მასალების შეჯერების საფუძველზე ვფიქრობთ, შესაძლებელია ბორჯომის საზაფხულო თეატრის ადგილმდებარეობის დადგენა და მისი არქიტექტურული იერსახის რეკონსტრუქცია.

გრაფიკული მასალების პარალელურად, ქრონოლოგიური პრინციპით წარმოვადგენთ ბორჯომის თეატრის შესახებ მოძიებულ საარქივო და დოკუმენტურ მასალას. მათ შორისაა, XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის ბორჯომის გზამკვლევები, პერიოდული პრესა, ოფიციალური დოკუმენტაცია, თანამედროვეთა მოგონებები.

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცული ბორჯომის საზაფხულო თეატრის პროექტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შვიდი ფურცლისგან შედგება. პირობითად იგი ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ:

– მუყაოზე დაკრული ნახაზები №№ 1, 2, 3, 4, 5 (ქაღალდი (43X31 სმ.), მუყაო (48X40 სმ.) არქიტექტორის ხელმოწერით და თარიღით - 1895 წ. გამონაკლისია №4.

– ესკიზები №6 და №7 (48X64 სმ.) – მშენებლობის ნებართვის რეზოლუციით, მშენებლობის ადგილის და თარიღის (1895) მითითებით.

ნახაზი №1 – გენერალური გეგმა („Генеральный планъ". ქაღალდი (43X31 სმ.) დაკრული მუყაოზე (48X40 სმ.), აკვარელი, ტუში), მარჯვენა ქვედა კუთხეში არქიტექტორის ხელმოწერით და თარიღით: *„Архитектор П. Штернъ. 23 Авг. 1895 г."* *(„არქიტექტორი პ. შტერნი. 23 აგვ. 1895 წ.")*.

---

[56] ბორჯომთან დაკავშირებული საარქივო მასალა დამუშავებულია საქართველოს ეროვნულ არქივში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დოკუმენტთა საცავში, სანკტ-პეტერბურგის საისტორიო არქივში.

გენერალური გეგმის მიხედვით თეატრის საერთო ფართობი 272,27 კვადრატული საჟენია (14,33X19,0), რაც ოდნავ აჭარბებს 580 კვ.მ-ს (1 საჟენი = 213,16 სმ.). გეგმაზე წარმოდგენილია სწორკუთხა ფორმის სათეატრო ნაგებობა შვერილი პორტიკითა და კიბეებით (სურ. 47).

ნახაზი №2 – პარტერი („Партеръ“) ანუ თეატრის პირველი სართულის გეგმა (ქაღალდი (43X31 სმ.), დაკრული მუყაოზე (48X40 სმ.), აკვარელი, ტუში, კალამი), მარჯვენა ქვედა კუთხეში არქიტექტორის ხელმოწერით და თარიღით. *„Архитектор П. Штернъ. 23 Авг. 1895 г.“ („არქიტექტორი პ. შტერნი. 23 აგვ. 1895 წ.“).*

გეგმაზე ნაჩვენებია წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის სათეატრო ნაგებობის პირველი სართული. იგი სამ ზონად იყოფა: I. შესასვლელი – ფოიე; II. მაყურებელთა დარბაზი სამეფო ლოჟებით (გეგმაზე ისინი სამეფო გვირგვინებითაა აღნიშნული) და გალერეებით; III. სცენა კულისებით და გალერეებით. დარბაზისა და სცენის სიღრმე თითქმის თანაბარი ზომისაა. პარტერი გათვლილია 269 მაყურებელზე, რასაც ემატება სამეფო ლოჟებში, სავარაუდოდ, ოთხიდან რვა სავარძლამდე. ჯამში, თეატრის პარტერი, სამეფო ლოჟებით, 280-მდე მაყურებელს იტევს (სურ. 48).

თეატრში მთავარი შესასვლელი ორსვეტიანი საზეიმო პორტიკითაა გაფორმებული, საიდანაც მაყურებელი ინტერიერში, კერძოდ, ვესტიბიულში (*„вестибюль“*) ხვდება და ორი მიმართულებით ნაწილდება: პარტერში - სკამების ცენტრალურ და გვერდის რიგებს შორის და ვესტიბიულის ორსავ მხარეს განთავსებული კიბეებით იარუსისკენ. აღნიშნულის გარდა, პარტერში შესასვლელებია გრძივ ფასადებზე მოწყობილი გალერეებიდან. დამოუკიდებელი შესასვლელები აქვს სამეფო ლოჟებსა და სცენას. ვესტიბიულის კიდეებში განთავსებულია სველი წერტილები.

სცენის ორივე მხარეს სამნაწილიანი საგრიმიორო ოთახებია („Уборныи“). დამოუკიდებელი შესასვლელებით გალერეებიდან. სცენაზე, ცენტრში, მოცემულია ნახევარწრიული ფორმის სუფლიორის ჯიხური – იმდროინდელი სათეატრო პრაქტიკის აუცილებელი კომპონენტი.

პირველი სართულის გეგმით შეიძლება წარმოდგენა შევიქმნათ ექსტერიერზეც. კერძოდ, შენობის სწორკუთხა აბრისიდან შვერილი პორტიკის გარდა (ნაგებობის მთავარი ფასადი), სათეატრო შენობის გრძივი ფასადები გადაწყვეტილია ღია, სვეტებიანი გალერეების სახით, მაყურებელთა დარბაზის და სცენის გაყოლებაზე, რაც მთლიანობაში ნაგებობას სიმსუბუქესა და დეკორატიულ ელფერს შესძენდა.

ნახაზი №3 – „ლოჟები და გალერეა" („Ложии и галерея") - მეორე სართულის გეგმა (ქაღალდი (43X31 სმ.), დაკრული მუყაოზე (48X40 სმ.), ფანქარი, აკვარელი, ტუში, კალამი) მარჯვენა ქვედა კუთხეში არქიტექტორის ხელმოწერით და თარიღით. *„Архитектор П. Штернъ. 23 Авг. 1895 г." („არქიტექტორი პ. შტერნი. 23 აგვ. 1895 წ.").*

სათეატრო ნაგებობის სამნაწილიანი სტრუქტურა მკაფიოდ იკითხება მეორე სართულის გეგმაზე. კერძოდ, სცენა, მაყურებელთა დარბაზის ოთხკუთხა აბრისს შემოყოლებული ბელეტაჟის ლოჟები (17 ლოჟა) და იარუსის დარბაზი ვესტიბიულის თავზე (სურ. 49).

ლოჟების ტევადობა გათვლილია 74 მაყურებელზე. ყველა მათგანს დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს მეორე სართულის ღია გალერეებიდან, სადაც მოხვედრა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვესტიბიულიდანაა შესაძლებელი. აქედან შევდივართ იარუსის დარბაზშიც, რომელიც ათსკამიანი 11 რიგით 110 მაყურებელს იტევს. ამდენად, ბორჯომის საზაფხულო თეატრი 460 მაყურებელზეა გათვლილი.

ნახაზი №4 – გრძივი ჭრილი („Продольный разрез". 40X48 სმ. ქაღალდი, ფანქარი, აკვარელი, ტუში). ნახაზს არ ახლავს არქიტექტორის ხელმოწერა და თარიღი, რაც გენერალურ, I და II სართულების გეგმებზეა მოცემული. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული პროექტისადმი მისი კუთვნილება ეჭვს არ იწვევს.

თეატრის გრძივ ჭრილში კარგად იკითხება ნაგებობის სტრუქტურა: შესასვლელი, ვესტიბიული, მაყურებელთა დარბაზი, სასცენო კოლოფი. ორსართულიანი ვესტიბიული სფერული გუმბათითაა გადახურული. მეორე სართულის იარუსზე სკამების 11 რიგია.

მაყურებელთა დარბაზი სამ დონეს მოიცავს: პარტერი - სკამების 15 რიგით და საგანგებოდ გაფორმებული სამეფო ლოჟით, მეორე სართულზე – ბელეტაჟის ლოჟები, პილასტრებით გაფორმებული და მოხატული მოაჯირით და მესამე დონე – სვეტებიანი ქანდარა (ან მაყურებელთა დარბაზის დამასრულებელი - პილასტრებით შემკული კედელი) (სურ. 50).

მაყურებელთა დარბაზის მთელ სიმაღლეზე გახსნილია სასცენო კოლოფი ოთხფერდა გადახურვით. სცენის ხილვადობის საილუსტრაციოდ (სასცენო კოლოფის სავარაუდო სიმაღლე დაახლოებით 10 მ.), გრაფიკულადაა ნაჩვენები დარბაზის უკიდურესი, ზედა (იარუსის ბოლო რიგი) და ქვედა (პარტერის ბოლო რიგი) დონეებიდან სცენაზე მდგარი მსახიობის ვიზუალური აღქმის შესაძლებლობა, რაც სათეატრო ნაგებობისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს.

ნახაზი №5 – მთავარი ფასადი („Главный фасадъ“. ქაღალდი დაკრული მუყაოზე (40X48 სმ., ფანქარი, აკვარელი, ტუში) მარჯვენა ქვედა კუთხეში არქიტექტორის ხელმოწერით და თარიღით. *„Архитектор П. Штернъ. 23 Авг. 1895 г.“ („არქიტექტორი პ. შტერნი. 23 აგვ. 1895 წ.“).*

ფასადი საზეიმო ხასიათისაა. სამდონიანი ჰორიზონტალური დანაწევრებით და ცენტრში, ვერტიკალურ ღერძზე განვითარებული, შვერილი პორტიკით. ეს თეატრის ძირითადი შესასვლელია. პორტიკის თავზე ხის მოაჯირშემოვლებული აივნით, კედლის ორსავ მხარეს თითო კარით და ცენტრში ქნარის სკულპტურული გამოსახულებით. მესამე სართულზე მიჯრით განლაგებული და სადად მოჩარჩოებული ხუთი ვერტიკალური სარკმელია, ორნამენტული ფართო კარნიზით და გადახურვით (სურ. 51).

პროექტის მიხედვით, თეატრი ხისაა. მთავარი ფასადი უხვადაა დეკორირებული. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ხის ჭვირული მოაჯირები და შეისრული თაღებით გახსნილი გალერეა, თავსართებით შემკული სწორკუთხა სარკმელები, დეკორატიული კარნიზები, ლილვებიანი სვეტები, ცალკე გადახურვის მქონე კუთხის ფლიგელები და ცენტრში, ვერტიკალური ღერძის დამასრულებელი ხახვისებრი ფორმის გუმბათი. ღია გალერეებში, პორტიკის ორსავ მხარეს, წრიული ფორმის გრძელი ჭაღებია.

მსგავსი გალერეები გრძელდება თეატრის სიგრძივ ფასადებზეც. როგორც პროექტიდან ჩანს, თეატრი ყავარით („дрань") უნდა ყოფილიყო გადახურული

ბორჯომის საზაფხულო თეატრის პროექტში ცალკე გამოვყოფთ აკვარელში შესრულებულ ორ ესკიზს:

ესკიზი №6 - თეატრის ფასადი, ვარიანტი (ქაღალდი, ფანქარი, აკვარელი 48X64 სმ.). ზემოთ განხილული ნახაზების მსგავსად, მას არ ახლავს არქიტექტორის ხელმოწერა. მარჯვენა ზედა კუთხეში ხელით შესრულებული წარწერაა რუსულად: *„На возведении по означенному плану постройки театра въ И. Боржоми вдоль реки Куры, близ Олгинского моста съ соизволения Его Императорского высочества Михаила Николаевича – утверждено 28 ноября 1895 года. Управляющий Двором Генерал-Майор Озеровъ"* („მისი საიმპერატორო უდიდებულესობის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ნებართვით, წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, ბორჯომის მამულში მდ. მტკვრის გასწვრივ, ოლგას ხიდთან, სათეატრო ნაგებობის მშენებლობისთვის ვამტკიცებ. 1895 წლის 28 ნოემბერი. სასახლის მმართველი, გენერალ-მაიორი ოზეროვი".[57]

პროექტის მიხედვით თეატრი სამსართულიანი ქვის ნაგებობაა ნახევარწრიული თაღებით გახსნილი გალერეებით პირველ და მეორე სართულებზე. გამოყენებულია დორიული (I სართული) და კორინთული (II სართული) სვეტები. პირველი სართულის მასიური, ოთხკუთხა ბოძები სადადაა პროფილირებული. მეორე სართულის მრგვალი სვეტნარი კორინთული კაპიტელებით უფრო მსუბუქ და ჰაეროვან შთაბეჭდილებას ქმნის. რიკულებიანი მოაჯირი მეორე სართულის გალერეას მთლიანად მიუყვება. ფასადის ცენტრალური ნაწილი ფრონტონით სრულდება და ქნარის რელიეფური გამოსახულებითაა შემკული. ღია გალერეები შენობას, სავარაუდოდ, ოთხივე მხრიდან შემოუყვება. მაყურებელთა დარბაზი ნახევარწრიული ფორმისაა, ამას მოწმობს ნაგებობის საერთო კორპუსიდან მესამე სართულის დონეზე ამოზიდული

[57] ალექსანდრე (ან ანდრეი?) სერგეის ძე ოზეროვი (1845-1897) - გენერალ-მაიორი, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სასახლის მმართველი. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში. იყო კავკასიის მთავარსარდლის ადიუტანტი.

ნახევარწრიული მოცულობა, რომელშიც სარკმლებია გაჭრილი (ალბათ ქანდარა). იგი უშუალოდ ეკვრის შენობის სწორკუთხა კორპუსს, სადაც სცენაა განთავსებული (სურ. 52).

თეატრის მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტა რენესანსული სტილიზაციის მაგალითია. მაშინ როცა მთავარი ფასადი (№5) – როპეტის, „ფსევდო-რუსული სტილის“ გამომხატველია.[58]

ბორჯომის საზაფხულო თეატრი (ესკიზი №6) გარკვეულ მსგავსებას ავლენს თბილისის საზაფხულო თეატრის არქიტექტურასთან. ამის საფუძველს გვაძლევს საქართველოს კულტურის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში დაცული აკოფიანის ჩანახატი, რომელიც თბილისის საზაფხულო თეატრის რეკონსტრუქციის შემდეგდროინდელ სურათს ასახავს. ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ბორჯომისა და თბილისის საზაფხულო თეატრებს ორი ათეული წელი აშორებს. მიუხედავად ამისა, მსგავსება ცხადია. ბორჯომის საზაფხულო თეატრის ესკიზი საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ თბილისის საზაფხულო თეატრის რეკონსტრუქციამდელი იერსახე.

ესკიზი №7 – თეატრის ფასადი, ვარიანტი (48X64 სმ., ქაღალდი, ფანქარი, აკვარელი). თეატრის ფასადის წინა ვარიანტის (№6) მსგავსად, არ ახლავს არქიტექტორის ხელმოწერა და თარიღი. მარჯვენა ზედა კუთხეში იდენტური მინაწერია: „На возведении по означенному плану постройки театра въ И. Боржоми в доль реки Куры, близ Олгинского моста съ соизволения Его Императорского высочества Михаила Николаевича – утверждено 28 ноября 1895 года. Управляющий Двором Генерал-Майор Озеровъ“ („მისი საიმპერატორო უდიდებულესობის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ნებართვით, წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, ბორჯომის მამულში, მდ. მტკვრის გასწვრივ, ოლგას ხიდთან, სათეატრო ნაგებობის მშენებლობისთვის ვამტკი-

58 „როპეტის სტილი“ დაკავშირებულია ივან პეტროვის (1845-1908) სახელთან, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ე.წ. ფსევდო-რუსული სტილის ჩამოყალიბებაზე არქიტექტურაში. როპეტი მისი გვარის ანაგრამაა. იხ. მანია მ. არქიტექტორი პაულ შტერნი XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის თბილისი, ჟურნ. „ძველი ხელოვნება დღეს“, 2017, №8, გვ. 4.

ცებ. 1895 წლის 28 ნოემბერი. სასახლის მმართველი, გენერალ-მაიორი ოზეროვი“).

ესკიზზე ასახულია სათეატრო შენობის ფასადი. ცენტრში აქცენტირებული საზეიმო შესასვლელით. კერძოდ, ფართო კიბე დიდი ზომის თაღით, რომლის თავზეც ქნარის სიმბოლური გამოსახულებაა, მეორე სართულის უფრო მაღალ, შეწყვილებულ თაღედში გადადის. გალერეები ორივე სართულზე თაღნარითაა გახსნილი. ფასადი ფრონტონით სრულდება. იგი ხისაა და ორნამენტული სამკაულითაა შემკული (სურ. 53).

მეორე სართულის სვეტებზე ქანდაკებებია (8 ფიგურა), მათ თავზე ამდენივე ნიჟარისებრ საყრდენზე განთავსებული ყვავილით. მცენარეები სუროსავით აუყვება პირველი სართულის სვეტებსაც. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ მცენარეებს და, კონკრეტულად, ვაზს ხშირად ვხვდებით ამ პერიოდის სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა პროექტებში, მათ შორის მიხეილ რომანოვის სასახლეზე ბორჯომში.

ესკიზზე წარმოდგენილი ფასადი ქვისა და ხის არქიტექტურის ნაზავია. პილასტრებით და სადად პროფილირებული (მეორე სართულზე რამდენიმე საფეხურიანი) კაპიტელებით შემკული სვეტები ხის, მცენარეული დეკორით გაფორმებული ფრონტონითაა დასრულებული. განსხვავებულია ორივე სართულის გალერეათა მოაჯირებიც (I – ბადისებრი, II – რიკულებიანი). როპეტის სტილის ელემენტებით გაჯერებული ეს ფასადი, წინა ვარიანტისგან სრულიად საპირისპირო არქიტექტურულ გადაწყვეტას გვთავაზობს. შესაძლოა. ეს ესკიზები (№6, №7) ერთი სათეატრო ნაგებობის ერთი და იმავე ფასადის ვარიანტებია ან ერთი თეატრის ორი, სხვადასხვა ფასადი.

ამგვარად, პროექტის განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფორკატის ალბომში ბორჯომის თეატრის ორი პროექტია.

პირველი პროექტი – ხუთი ნახაზისგან (№ 1, 2, 3, 4, 5) შედგება, ერთნაირია მათი ზომებიც, მეორე – ორი ესკიზისგან (№6, 7). თარიღი პირველ შემთხვევაში 1895 წლის აგვისტოა, მეორეში – 1895 წლის 28 ნოემბერი.

პირველი თეატრი ხისაა – რუსულ სტილში გადაწყვეტილი

ფასადით, მეორე (ქვის) კლასიკური რენესანსული მოტივებით, ხის ელემენტებით.

პირველი თავისი გეგმით, სწორკუთხა ფორმის იარუსიანი მაყურებელთა დარბაზით, მცირე თეატრების კატეგორიას განეკუთვნება – 500-მდე მაყურებელს იტევს, მეორე - ნახევარწრიული ან ნალისებური ფორმის სათეატრო დარბაზს მოიცავს.

თუ პირველი პროექტი არქიტექტორის - პაულ შტერნის - მიერაა ხელმოწერილი, მეორე – საიმპერატორო ოჯახის წევრის, დიდი მთავრის, მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ნებართვითაა დამტკიცებული.

პირველი თეატრის მშენებლობისთვის განკუთვნილი ადგილი პროექტში არ ჩანს, მეორე კი *„ბორჯომის მამულში, მდ. მტკვრის გასწვრივ, ოლგას ხიდთან“* უნდა აშენდეს (სურ. 54, 55).

ამდენად, სახეზეა თითქმის ერთდროულად შესრულებული ბორჯომის საზაფხულო თეატრის ორი პროექტი. საინტერესოა რომელი მათგანი განხორციელდა? ზოგადად, რა პერიოდიდან და სად იმართებოდა წარმოდგენები ბორჯომში?

პრესაში ინფორმაცია ბორჯომში სპექტაკლების გამართვის შესახებ 1890 წლიდან ჩნდება. გაზეთ „ივერიის“ ამავე წლის 19 ივლისის ნომერში (№153), ახალი ამბების რუბრიკაში, ვეცნობით სტატიას სცენისმოყვარეთა მიერ „ტფილისის საერო სამკითხველოს“ სასარგებლოდ გამართული რუსული წარმოდგენის შესახებ.

„ბორჯომი: 16 ამ თვისას აქ რუსული წარმოდგენა იყო გამართული სცენის მოყვარულთა მიერ. წარმოდგენიდგან შემოსული ფული დანიშნულია „ტფილისის საერო წიგნთსაკითხავის“ გასამართად. წარმოდგენილი იყო ერთ-მოქმედებიანი სადრამო ეტიუდი ვარნეევისა „ერიდეთ ცეცხლსა“ და ერთმოქმედებიანივე ვოდევილი „დავიდარაბა ოჯახში“, ფედოროვისა. დივერტისმენტიც იყო, რომელშიაც სხვათა შორის, მონაწილეობას იღებდა ქ-ნი რუდანოვსკაია. ქ-ნ რუდანოვსკაიამ თავისი გალობით დიდად ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება. წარმოდგენის დარბაზი მაყურებლებით აივსო, ასე რომ ტევა აღარ იყო...“

ჩვენ არ ვიცით, სტატიაში ნახსენები *„წარმოდგენის დარბაზი“* სათეატრო ნაგებობაა თუ ამ მიზნით გამოყენებული სხვა სივრცე.

ცნობილია, რომ სცენისმოყვარეთა სპექტაკლები იმ დროისათვის სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებშიც ეწყობოდა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანია და თუ სათეატრო ნაგებობის არსებობას ცალსახად ვერ ადასტურებს, უდავოდ მიუთითებს გააქტიურებულ სათეატრო ცხოვრებაზე. ხუთიოდე წლის შემდეგ, 1895 წლის 18 ივლისის გაზეთი „ივერია“ (№151) ახალი ამბების რუბრიკაში უკვე არაორაზროვნად გვატყობინებს:

„როგორც გვაუწყებენ ბ-ნს არსკის იჯარით აუღია ბორჯომის თეატრი მთელის ზაფხულით. ამ თეატრში 18 ამა ივლისიდან წარმოდგენები დაიწყება ხარკოვის დრამატიულის დასისა ბ.მ. პეტიპას მონაწილეობით. ბ-ნ პეტიპას დასი სულ ხუთიოდ-ექვსიოდე წარმოდგენას გამართავს და ამ დროსვე იქ მივა ქართული დასი ქ-ნ საფაროვის მეთაურობით და დაიწყებს წარმოდგენების მართვას. მანამდე ქართველი არტისტები წარმოდგენებს გაჰმართავენ სურამსა, ახალქალაქსა და ახალციხეში და შემდეგ ისე გადავლენ ბორჯომში. აქ ქართულ წარმოდგენებში მონაწილეობას მიიღებენ ბ-ნნი აბაშიძე და ბიაზი, რომელიც რუსულ წარმოდგენებს ითამაშებს. ქართული დასი ბორჯომში სეზონის გასვლამდე დარჩება, რადგან ბ-ნს არსკის ბორჯომის თეატრი მთელის სეზონით აქვს იჯარით აღებული“.

როგორც სტატიიდან ირკვევა, 1895 წლის ივლისში ბორჯომში თეატრი ნამდვილად არსებობს, ფუნქციონირებს. სპექტაკლებს მართავენ როგორც ქართული, ასევე საგასტროლოდ ჩამოსული რუსული დასები. თეატრის შენობა სეზონის განმავლობაში იჯარითაცაა აღებული. გაზეთი „ივერია“ ჩატარებულ სპექტაკლებსაც ეხმაურება: „ქ-ნ საფაროვ-აბაშიძისას და ვ. აბაშიძეს სამი წარმოდგენა გაუმართავთ ბორჯომში. ერთს წარმოდგენას ხალხი ძალიან ბევრი დასწრებია და წარმოდგენასაც კარგად ჩაუვლია. კორესპონდენტის სიტყვით, ნახევარი შემოსავალი სტუდენტების სასარგებლოდ გადაუდვიათ. საზოგადოდ, ბორჯომში წელს მეტად არეული მეაგარაკენი არიანო. ქართველი საზოგადოებაც ყველაზედ ნაკლებად მოგროვილა. ამისთვის არტისტები ნუ დაგვემდურებიან, თუ წარმოდგენებზედ ხალხიც ნაკლებად იყოო“ (გაზეთი „ივერია“, 1895 წლის 5 აგვისტო, №166).

თუკი ბორჯომში 1895 წლის ივლისში თეატრი არსებობს,

რომელ თეატრს ასახავს 1895 წლის 23 აგვისტოთი დათარიღებული პ. შტერნის პროექტი?

ჩვენს ხელთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით 1895 წელს ბორჯომში რამდენადმე წინააღმდეგობრივი სურათი იხატება. კერძოდ:

- პრესის ინფორმაციით, 1895 წლის ივლისში ბორჯომში უკვე ფუნქციონირებს თეატრი;
- გვაქვს ბორჯომის საზაფხულო თეატრის პროექტი (არქ. პ. შტერნი) დათარიღებული 1895 წლის 23 აგვისტოთი;
- ბორჯომის მეორე თეატრის ესკიზები, დამტკიცებული 1895 წლის 28 ნოემბერს, რომლის აშენების ადგილადაც მითითებულია ბორჯომში, ოლგას ხიდის მიმდებარე ტერიტორია (ადოლფ რემერტის პარკთან).

ზემოაღნიშნული მასალებიდან არ ჩანს, სად მდებარეობს არსკის მიერ იჯარით აღებული თეატრი და არც შტერნის პროექტით დაპროექტებული სათეატრო ნაგებობის ლოკაცია. ამ მხრივ, დიდ მნიშვნელობას იძენს ბორჯომის შესახებ თანამედროვეთა ჩანაწერები, ბორჯომის გზამკვლევები, ოფიციალური დოკუმენტაცია.

ბორჯომის ხეობა რუსული ადმინისტრაციის დაინტერესების საგანი XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ხდება. ეს განპირობებული იყო, პირველ რიგში, მინერალური წყლებით და მეორე - მდიდარი სატყეო რესურსით. 1871 წელს ბორჯომის მამული გადაეცა დიდ მთავარს – მიხეილ ნიკოლოზის ძეს. მანამდე, 20 წლის განმავლობაში იგი ხაზინის კუთვნილებაში იყო, მას შემდეგ, რაც ავალიშვილებთან ვორონცოვის გარიგებამ შედეგი რუსეთის სასარგებლოდ გამოიღო.[59]

XIX საუკუნის შუა ხანებიდან ბორჯომში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა: მინერალური წყლის წარმოების განვითარება, რკინიგზის გაყვანა, დიდი მთავრის, მიხეილ რომანოვის, სასახლის მშენებლობა. მიმდინარეობს ბორჯომის ინტენსიური განაშენიანება და კეთილმოწყობა – ეს ეხება პარკებს, ქუჩებს, ხიდებს, საკურორტო ინფრასტრუქტუ-

[59] Джаншіев Гр. Перль Кавказа. Боржомь и его окрестности, Москва, типография А. Мамонтова и К. Леонтьева, 1886, с.10-12.

რას. ბორჯომი 1871 წლიდან რუსეთის საიმპერატორო ოჯახის მამულია. „იმპერატორ ალექსანდრე I-ის განკარგულებით, ბორჯომის მამული მიხეილ რომანოვს მაიორატულ მფლობელობაში გადაეცა და სახელდებული იყო როგორც „*Боржомское заповедное (майоратное) имение*“, სენატის დადგენილებით მიხეილ რომანოვის მფლობელობაში გადადის ბორჯომის მინერალური წყლებიც“.[60]

1874 წელს მ. ვლადიკინის ავტორობით მოსკოვში გამოცემულ გზამკვლევში: „Путеводитель и собеседник в путешествии по Кавказу“ („გზამკვლევი და თანამოსაუბრე კავკასიაში მოგზაურობისას“) აღწერილია ბორჯომი და იქ არსებული ვითარება: „კავკასიის მეფისნაცვლების საზაფხულო რეზიდენციად ბორჯომი პირველად გენერალ გოლოვინის დროს, 1840-იანი წლების დასაწყისში, იქცა. თავადმა ვორონცოვმა წარმატებით განავითარა ეს საქმე. მის სახელს ატარებს შავ კონცხზე მდებარე შესანიშნავი ბუნებრივი მინერალური პარკი.

თავად ბარიატინსკის დროს ბორჯომი განაგრძობს განვითარებას. 1865 წლიდან, როცა დამთავრდა მიხეილ ნიკოლოზის ძის სასახლის მშენებლობა, ბორჯომი დიდი მთავრის მუდმივი სამყოფელი ხდება. მისი უდიდებულესობა აქ მაისიდან ოქტომბრამდე რჩება, ზოგჯერ უფრო ხანგრძლივადაც... მთავრის სასახლე ყველაზე ლამაზი შენობაა ქალაქში. აგებულია ხისგან მავრიტანულ სტილში, ორსართულიანია, უამრავი აივნითა და გალერეით. ფრონტონები, მოაჯირის კოლონები, კარნიზები და კედლებიც კი გარედან ჭვირულია. ამბობენ, რომ მარტო სასახლის მშენებლობა 200 ათასამდე რუბლი დაჯდა (სურ. 56).

ბოლო პერიოდში ბორჯომმა სწრაფად განვითარება და გალამაზება დაიწყო. ...უკვე გასული წლიდან გახსნილია რკინიგზა ფოთიდან თბილისამდე და 27 ვერსის სიჩქარით მიაქროლებს მგზავრებს ბორჯომიდან.... 1870 წელს ხელისუფლებამ სპეციალურად გამოყო 24 ათასი ქალაქის კეთილმოწყობისთვის. მინერალური წყლების ახალმა მმართველობამ ერთ წელიწადში მოახერხა ახალი ქუჩების დაგება, პარკების გაშენება, ხიდების, მშვენიერი სააბაზანო ნაგებობების მშენებლობა და, რაც მთავარია,

[60] კაჭარავა ე., ბორჯომი, თბ., 2015, გვ. 34.

დაასრულა მინერალური წყლის კეთილმოწყობილი, ავადმყოფთა საჭიროებებზე გათვლილი სამკურნალო დაწესებულება“.[61] (სურ. 57, 58, 59).

ამდენად, XIX საუკუნის 70-იან წლებში ინტენსიურად და სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს ბორჯომის განვითარება. ქალაქის მნიშვნელოვან ნაგებობებს შორის, როგორც ვხედავთ, თეატრი არ ფიგურირებს.

XIX საუკუნის 80-იანი წლების ბორჯომისადმი მიძღვნილ გამოცემებში ქალაქის ღირსშესანიშნაობათა ჩამონათვალი უფრო ვრცელია და დამსვენებელთათვის სასარგებლო ინფორმაციასა და რჩევებს შეიცავს. გრ. ჯანშიევი გზამკვლევში „კავკასიის მარგალიტი – ბორჯომი და მისი შემოგარენი“ (Гр. Джаншiев, Перль Кавказа - Боржомь и его окрестности, Москва, 1886) წერს: „სეირნობისთვის ყველაზე პოპულარული ადგილი ბორჯომში მინერალური წყლის პარკია. მიზეზი ამისთვის ბევრია. პირველ რიგში უშუალოდ ეკვრის აგარაკებს, მეორე – აქ არის მინერალური წყლები, აბაზანები, გიმნასტიკა, კეგლი, ბიბლიოთეკა, საცეკვაო დარბაზი, უკრავს მუსიკა, თამაშობენ კარტს... ყველაზე ახალგაზრდა პარკი – რემერტის პარკია – მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, დიდი მთავრის სასახლის მოპირდაპირე მხარეს. მისი გეგმარება სწორია და ჩვეულებრივ რუსულ პარკებს მოგვაგონებს.... თავად პარკში ძალიან ლამაზი სახლებია (придворные дома) გოთურ სტილში და შემოსილია ველური ვაზით. ცალკე, მეორე მხარეს, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სასახლე და პარკია... მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, შუა საუკუნეების სიმაგრეს რომ მოგვაგონებს, მსროლელთა ბატალიონის ლამაზი ყაზარმაა, ასევე, მარმარილოს ძეგლი ბოლო ომში დაღუპულ მსროლელთა სასაფლაოზე. ამით ამოიწურება ბორჯომის ღირსშესანიშნაობები ზედაპირული დათვალიერებით“.[62]

გრ. ჯანშიევის ინფორმაციით, მინერალური წყლის პარკში მუსიკა ჟღერს: ტრადიციული ინსტრუმენტებით შესრულებული

---

[61] Вдадыкин М. Путеводитель и собеседник в путешествии по Кавказу, Москва, типография И. Родзевича и В. Исленьева, 1874, с. 410-413.

[62] Джаншiев Гр. Перль Кавказа. Боржомь и его окрестности, Москва, типография А. Мамонтова и К. Леонтьева, 1886, с.19-24.

ქართული და კავკასიური მელოდიები, რომელთა ავტორიც ნიჭიერი კავკასიელი კომპოზიტორი ყორღანოვია. ასევე, უკრავენ კლასიკურ მუსიკას. „სეირნებობისას ქვედა პარკიდან მოისმოდა „ფაუსტის“ უვერტიურა“, – წერს ჯანშიევი[63].

ბორჯომში თეატრის არსებობის შესახებ ინფორმაცია არც XIX საუკუნის 80-იანი წლებში იკვეთება. სურათი იცვლება 90-იანი წლების გზამკვლევებსა და ბორჯომზე გამოსულ პუბლიკაციებში. ამ მხრივ, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის გრიგოლ მოსკვიჩის „კავკასიის ილუსტრირებული პრაქტიკული გზამკვლევი“ (Григорій Москвичь. „Илюстрированный практическій путеводитель по Кавказу“), რომლის ოცზე მეტი გამოცემაა გამოსული 1888-1925 წლებში. გამოცემათა თარიღების მიხედვით, იცვლება გზამკვლევებში ასახული ინფორმაციაც, რაც ავტორის მიერ, დამატებებისა და ახალი მასალების საფუძველზე, ინფორმაციის შევსებასა და სრულყოფას გულისხმობს. გრ. მოსკვიჩის გზამკვლევის IV გამოცემაში (Одесса, 1899 г.) დეტალურადაა აღწერილი ქალაქი, ამიტომ გზამკვლევიდან ვრცელ ამონარიდს მოვიყვანთ:

„პარკის შესასვლელში (საუბარია ბორჯომის მინერალური წყლის პარკზე – ი.დ.), კარებიდან მარჯვნივ, დგას 1897 წელს აშენებული არც თუ დიდი, მაგრამ ძალზედ დახვეწილი, რუსულ სტილში აგებული თეატრი, რომელსაც ცნობილი ანტრეპრენიორი ვ.ლ. ფორკატი მართავს (содержит). მოშორებით, ბორჯომულას ნაპირას განლაგებულია ევგენის წყაროს სააბაზანო ნაგებობა, რამდენიმე ნაბიჯში, საბაზანო შენობის წინ, განთავსებულია თავად წყაროს ბიუვეტი, რომელიც ჩართულია მრგვალ, მინით გადახურულ ბასეინში. შესასვლელიდან მარცხნივ ბორჯომის წყლის ჩამოსასხმელი ახალი შენობაა. ...საბაზანო ნაგებობებთან კარგი საკურორტო დარბაზია (курзал), რომელშიც განთავსებულია კურორტის კანტორა, კარტის სათამაშო ოთახი და ბიბლიოთეკა სამკითხველოთი, რომელიც ფლობს 3 ათასამდე ტომს და იწერს 25-მდე ჟურნალსა და გაზეთს.... „მინერალური წყლის“ პარკში მოწყობილია კეგლი და კროკეტი... დღეში ორ-

[63] Джаншіев Гр. Перль Кавказа. Боржомь и его окрестности, Москва, типография А. Мамонтова и К. Леонтьева, 1886, с. 26-27.

ჯერ მუსიკას უკრავს სამხედრო ორკესტრი. საკურორტო დარბა-ზში ეწყობა ცეკვის საღამოები და კონცერტები. მკურნალობისთ-ვის ჩამოსული პუბლიკის გარდა, ზაფხულში ბორჯომში ჩამოდის ბევრი მაცხოვრებელი თბილისიდან, ბაქოდან, ბათუმიდან და სხვა ქალაქებიდან.[64]

გრ. მოსკვიჩის „კავკასიის ილუსტრირებული პრაქტიკული გზამკვლევი"-ს IV გამოცემა უახლეს ინფორმაციაზეა აგებული. სხვაგვარად 1899 წლის გზამკვლევში ვერ აისახებოდა 1897 წლის მოვლენები. გამოცემაში, კონკრეტულადაა მითითებული თეატრის ადგილმდებარეობა ბორჯომში, ასევე დეტალურადაა აღწერილი მის გარშემო არსებული განაშენიანება.

გზამკვლევის მიხედვით, ბორჯომის თეატრი ხისაა, აგებულია 1897 წელს, რუსულ სტილში. მდებარეობს ბორჯომის მინერ-ალური წყლის პარკის შესასვლელში. თეატრს მართავს „პრო-ვინციის გრძნეულ ჯადოქრად" წოდებული და პროფესიული საქმიანობისთვის არაერთი ჯილდოს მფლობელი ვ. ფორკატი. 1897 წელს მას უკვე მიღებული აქვს „...ორდენი წმ. სტანის-ლავისა - მესამე ხარისხისა - ქ. მოსკოვში გვირგვინის კურთხ-ევის დროს სახალხო სეირნობის გამართვისათვის" (გაზ. „ცნობის ფურცელი", 1897 წლის 21 თებერვალი, №12).

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცუ-ლი ბორჯომის საზაფხულო თეატრის პროექტი შესრულებულია 1895 წელს, პ. შტერნის მიერ. თეატრის მთავარი ფასადისა და გრძივი ჭრილის მიხედვით თეატრი ხისაა. რუსული არქიტექ-ტურისთვის დამახასიათებელი დეკორით, ხახვისებრი ფორმის გუმბათით. თავად პროექტის ბუდე-საქაღალდეს კი მითითებული აქვს ვ. ფორკატის სახელი, რომელსაც არაერთი თეატრის მშენ-ებლობასა თუ რეკონსტრუქციაში აქვს მონაწილეობა მიღებული. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ 1899 წლის გზამკვლევში აღწერილი საზაფხულო თეატრი შტერნის მიერ შესრულებული პროექტით უნდა იყოს აგებული. ანტრეპრე-ნიორი ვ. ფორკატი კი, რომელიც მართავს თეატრს, სავარაუდოდ

[64] Москвичь Гр. Илюстрированный практическiй путеводитель по Кавказу, Одесса, тип. Г,М. Левинсона, Издание четвертое, 1899, с. 409-415.

მის პროექტირება-მშენებლობაშიც იღებს მონაწილეობას.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ბმმ) დაცულია ბორჯომის მინერალური წყლის პარკის გეგმა („*Планъ парка Боржомскихъ минеральныхъ водъ*"), რომელიც XIX საუკუნის ბოლო წლების სურათს უნდა ასახავდეს (სურ. 60). აღნიშნული გეგმა ზედმიწევნით იმეორებს, ემთხვევა გრ. მოსკვიჩის აღწერილობას. მინერალური წყლის პარკის შესასვლელთან, მარჯვნივ, თეატრის სწორკუთხა ნაგებობაა, რომელიც იმეორებს შტერნისეული თეატრის გეგმის ფორმას. „მოშორებით, ბორჯომულას ნაპირას განლაგებულია ევგენის წყაროს სააბაზანო ნაგებობა, რამდენიმე ნაბიჯში, სააბაზანო შენობის წინ, განთავსებულია თავად წყაროს ბიუვეტი, რომელიც ჩართულია მრგვალ, მინით გადახურულ ბასეინში. შესასვლელიდან მარცხნივ ბორჯომის წყლის ჩამოსასხმელი ახალი შენობაა".[65]

მინწყლის პარკის გეგმაზე, ევგენის წყაროს გაყოლებაზე, ეკატერინეს წყაროს წაგრძელებული შენობაა, მის წინ სწორკუთხა გეგმის მქონე ერთიან სივრცეში გაერთიანებულია დიდი საკურორტო დარბაზი და სააბაზანო განყოფილება, რომელშიც მოსკვიჩის ინფორმაციით „განთავსებულია კურორტის კანტორა, კარტის სათამაშო ოთახი და ბიბლიოთეკა სამკითხველოთი".[66] ეკატერინეს წყაროს პირდაპირ მუსიკისთვის განკუთვნილი წრიული ფორმის ესტრადაა. ბორჯომულას მეორე მხარეს კი მცირე ზომის ნაგებობებს შორის ექიმის მისაღები. პარკის გეგმაზე შენობებს ახლავს განმარტებითი წარწერები რუსულ და ფრანგულ ენებზე. მოცულობის მიხედვით, პარკის გეგმაზე ასახულ ნაგებობებს შორის ყველაზე დიდია ბორჯომის წყლის ჩამოსასხმელი შენობა იგივე საექსპორტო განყოფილება, შემდეგ საკურორტო დარბაზი და თეატრი. დანარჩენი ნაგებობები მათთან შედარებით ბევრად მცირე ზომისაა.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მინერალური წყლის პარკის გეგმას თარიღი არ ახლავს. მიუხედავად ამისა, ჩვენს ხელთ არსებული მასალების შეჯერების საფუძველზე

---

[65] Москвичь Гр. Илюстрированный практическій путевадитель по Кавказу, Одесса, тип. Г,М. Левинсона Издание четвертое, 1899, с. 409.

[66] იგივე, გვ. 410.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის 1899 წლამდეა შესრულებული. გრ. მოსკვიჩის ამავე წელს გამოცემული გზამკვლევის მიხედვით „შესასვლელიდან მარცხნივ ბორჯომის წყლის ჩამოსასხმელი ახალი შენობაა“. ვინაიდან თავდაპირველი შენობა ვერ აკმაყოფილდება ჩამოსხმისა და ექსპორტის ტექნიკურ მოთხოვნებს, ფ. მოლდენჰაუერის პროექტით აიგო ახალი, რომლის მშენებლობაც 1896 წელს დასრულდა.[67] ამდენად, მინერალური წყლის პარკის გეგმა შესრულებული უნდა იყოს არაუადრეს 1895 წლისა (ეს თარიღი ახლავს საზაფხულო თეატრის პროექტს) და არაუგვიანეს 1896 წლისა, როცა დამთავრდა საექსპორტო განყოფილების მშენებლობა.

პეტერბურგის საისტორიო არქივში დაცული ერთ-ერთი დოკუმენტის – „ბორჯომის მამულის შენობები“ („Постройки имения в Боржоми“. ფ.547, აღწ. 3, საქმე №3963, გვ.33-34) მიხედვით, რომელიც 1898 წლით თარიღდება, ჩამონათვალში მითითებულია „თეატრი ხის, გადახურული ყავარით („Здание театра деревян. Критый дранью“) თავდაპირველი ღირებულება 1767“. მიხეილ რომანოვის ბორჯომის მამულის 1901 წლის ქონების აღწერაში, რომელიც სადაზღვევო კომპანიისთვისაა შედგენილი, სხვა შენობა-ნაგებობებთან ერთად, კვლავ გვხვდება – ხის თეატრი. ამჯერად ის უკვე 1500 რუბლადაა შეფასებული (პეტერბურგის საისტორიო არქივი, ფ.547, აღწ. 3, საქმე №3241).

ყავარით გადახურულია თეატრი პ. შტერნის პროექტითაც. ეს მკაფიოდ იკითხება მთავარი ფასადის გეგმაზე. ყავარით („Дрань“) ნაგებობების გადახურვა იმ დროისათვის მშენებლობაში გავრცელებული პრაქტიკაა. მას საგანგებოდ ამზადებდნენ ნაძვისა და სოჭის გიგანტური ხეებისგან.[68] ყავარს სამშენებლო მასალად იყენებდნენ

---

[67] Боржомь. Справачная книжка. Издание Дирекцій Боржомскихь Минеральводь. 1903, с. 173.

[68] ყავარის დამზადების ტექნოლოგია დეტალურადაა აღწერილი ბორჯომის მამულის მმართველის ი. ვასილევის 1889 წელს თბილისში გამოცემულ ნარკვევში ბორჯომის საიმპერატორო მამულის შესახებ (Современный Очерк Хозяйства Въ Боржомскомъ ЕГО ИМПЕРАТОРСКОГО ВЫСОЧЕСТВА государя великого князя Михаила Николаевича заповедникомъ именіи, составиль Як. Васильевь, Управляющий Боржомским имениемь. Тифлись, 1889,с.18-20). ზომის მიხედვით გამოარჩევდნენ ორ სახეობას. ე.წ. „კანტორის“ და ქართულს. ეს უკანასკნელი

არა მარტო ბორჯომში, არამედ გაჰქონდათ ექსპორტზეც.

ამგვარად, XIX საუკუნის ბოლოს ბორჯომის მინერალური წყლის პარკში რუსულ სტილში აგებული ხის თეატრია. ჩვენს ხელთ არსებული მასალის შეჯერება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ შენობა პ. შტერნის პროექტით აიგო. გრ. მოსკვიჩის 1899 წლის გზამკვლევის მიხედვით, თეატრის მშენებლობა 1897 წელს დასრულებულა.[69]

თუ როგორი იყო ბორჯომის მინერალური წყლის პარკის თეატრის ინტერიერი, ზოგადად, მისი არქიტექტურა, ამაზე წარმოდგენას გვიქმნის ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მემუარული ხასიათის მასალა - ბორჯომის თეატრის მსახიობის, დ. სოსანიძე-ვაშაკიძის მოგონებები (ბმმ N 6385-3). ავტორი თხრობას ბავშვობის პერიოდიდან იწყებს. 1898 წლის დასაწყისში იგი დედასთან ერთად ბორჯომში ჩასულა, სადაც მამა საზეინკლო სახელოსნოში მუშაობდა. მალე მამის თხოვნა ოჯახისთვის უფასო ბინის გამოყოფაზე ხელმძღვანელობას დაუკმაყოფილებია და მიუცია ბინა „პარკში, სადაც ამჟამად მინერალური წყლებია. მაშინ მინწყლების ჩამომსხმელ ქარხანას ძალიან პრიმიტიული სანახაობა ჰქონდა. ცირკს უფრო ჰგავდა თავისი დიდი და მრავალი ნაგებობით. ყველა ჩამოსულს პარკი განსაკუთრებით იტაცებდა. შიგ აუარებელი გასართობი იყო. შესასვლელ კარებთან ჩამწკრივებული იყო ორმოცამდე „ფაიტონი"... პარკში ჩვენს ბინასთან ახლოს საზაფხულო თეატრი იყო. შენობა თუმცა ხისაგან იყო აშენებული მაგრამ ტევადობა დიდი ჰქონდა. დიდი და ღრმა სცენა. მაღალი რამპებით ხუთი ჩასაცმელი და საგრიმიორო ოთახი. მუქი წითელი ხავერდის ლოჟები რბილი საჯდომებით. იყო ამფითეატრი. სცენას ამშვენებდა დრაპირებული ხავერდის ფარდა. ოქროსფრად მბზინავი ფოჩებით. ორი

---

უფრო დიდი ზომისაა და, შესაბამისად, უფრო ძვირიც. იმ გიგანტური ხეების რაოდენობა, საიდანაც ამზადებენ გადახურვისთვის საჭირო ყავარს („Дрань") 1878 წლის ტაქსაციის მიხედვით 108,250 ერთეულია. შედარებით წვრილები გამოიყენება მორებად, უფრო მსხვილებისგან კი, რომლებიც მიუვალ ადგილებში იზრდება, საშუალოდ 2000 ცალი მზადდება. მისი ნახევარი გადის ბორჯომს გარეთ, ნახევარი კი გამოიყენება ბორჯომში. ასეთი სახურავი 10-12 წელიწადს ძლებს.

[69] Москвичь Гр., Илюстрированный практическiй путеводитель по Кавказу, Одесса, тип. Г,М. Левинсона Издание четвертое, 1899, с. 409-415.

ლოჟა კი განსაკუთრებით განირჩეოდა, ერთი ლოჟა ეკუთვნოდა მთავარ მიხეილ რომანოვს, ,,კაზიონი მიხაკოს“ - ასე ჰქონდათ შერქმეული გლეხებს, მეორე კი მის შვილს ნიკოლოზს, რადგან ნიკოლოზი ბორჯომში მეტ დროს ატარებდა.

ბორჯომში იმ დროს საგასტროლოდ ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ მსახიობები, იდგმებოდა ოპერეტები. დრამები, ჩვენი ქართველი მსახიობებიც ხშირი სტუმრები იყვნენ. იქ სადაც ჩვენ გვქონდა ბინა. იმ შენობას უკან ქვითკირის დიდი დარბაზი ჰქონდა, ამ დარბაზს ,,კურზალს“ ეძახდნენ. იქ არისტოკრატია თამაშობდა ბანქოს, იმართებოდა ცეკვები. კონცერტები. რასაკვირველია დარბაზს მცველები ედგა. მე არ ვისვენებდი, ხან ფანჯრიდან, ხან კარებიდან შემოუვლიდი და მცველებს ვეხვეწებოდი შევეშვი შიგ, მაგრამ დედა არ მაძლევდა ნებას. თითქმის ფეხდაფეხ დამყვებოდა და მეხვეწებოდა, მაგრამ მე ფეხს არ ვიცვლიდი ვიდრე დიდი მთავარი ბრწყინვალე ამალით არ გამოვიდოდა“.[70]

ჩვენ მიერ ზემოთ განხილული პ. შტერნისეული პროექტით ბორჯომის საზაფხულო თეატრი ხისაა, გათვლილია 460 მაყურებელზე. სცენის სიღრმე თითქმის უტოლდება დარბაზისას. პარტერი ამფითეატრის პრინციპითაა ამაღლებული. დარბაზში ორი სამეფო ლოჟაა. ამ მონაცემებით, ვფიქრობთ, რომ მინერალური წყლის პარკში არსებული თეატრი, რომელსაც მსახიობი თავის მოგონებებში აღწერს, პაულ შტერნის მიერ დაპროექტებული თეატრია. ინტერიერის აღწერილობა კი ერთგავარად ავსებს თეატრზე ჩვენს წარმოდგენას.

XX საუკუნის დასაწყისის ბორჯომისადმი მიძღვნილ გამოცემებში ინფორმაცია თეატრის შესახებ უფრო ვრცელია და დეტალური. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა 1903 წელს გამოცემული საცნობარო წიგნი ბორჯომის შესახებ (Боржомь. Справачная книжка. Издание Дирекцій Боржомскихь Минеральводь. 1903), რომელიც მინერალური წყლების დირექციის მიერაა მომზადებული.

გამოცემის IV თავი ,,ბორჯომი დღეს“ შედგება რამდენიმე ქვეთავისგან, რომელთაგან პირველია: ,,გამორჩეული ნაგებობები და საზოგადოებრივი დაწესებულებები“ (Выдаюшіяся постройки

[70] სოსანიძე-ვაშაკიძე დ., მოგონებები, ბმმ, საინ. № 6385-3, გვ. 2-4.

и общественные заведения). ბორჯომის გამორჩეული ნაგებობების აღწერისას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მინერალური წყლის პარკს, ზოგადად, და აქ მდგარ შენობებს. ,,ბორჯომის ღირსშესანიშნაობებიდან პირველი ადგილი, რა თქმა უნდა, მინერალურ წყაროებს უკავია, რომლებიც მდინარე ბორჯომულას ვიწრო ხეობაშია. მთავარ ,,ეკატერინეს" წყაროზე მოწყობილია დახურული გალერეა, რომლის ახლოსაც ბაღია გაშენებული. ამ პარკში თამოყრილია ყველა საკურორტო დაწესებულება. როგორიცაა საცეკვაო და საკონცერტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, ეკატერინეს წყაროს სააბაზანო ნაგებობა რვა აბაზანით. ასევე ,,ევგენის" წყაროს ოთხაბაზანიანი შენობა, ესტრადა მუსიკოსებისთვის, საზაფხულო თეატრი, ექიმის მისაღები და ბორჯომის წყლების საექსპორტო განყოფილების შენობა".[71]

ცნობარის ერთი თავი ,,თეატრი, კონცერტები და მუსიკა მინერალური წყლის პარკში" ეძღვნება ბორჯომის თეატრსაც. ამასთან, ჩნდება ინფორმაცია ახალი თეატრის მშენებლობის შესახებ რემერტის პარკში.

,,მინერალური წყლის პარკში მდებარეობს თეატრის ხის შენობა, რომელიც თავისი გარეგნული სახით სისადავით გამოირჩევა. ვინაიდან ეს შენობა მდ. ბორჯომულასთანაა და ავადმყოფების ხანგრძლივად გაჩერება თეატრალური წარმოდგენების დროს ნესტიან ხეობაში განსაკუთრებით ცუდად აისახება აბაზანების მიმღებებზე. ამიტომ უახლოეს მომავალში ივარაუდება ახალი თეატრის მშენებლობა რემერტის პარკში".[72]

ქრონოლოგიურად ამავე პერიოდს ეკუთვნის ფ. მონდელჰაუერის მიერ შესრულებული ბორჯომის მინერალური წყლის პარკის პანორამა. 1903 წ. (Панорама парка Боржомскихъ *минеральныхъ водъ. Составилъ Ф.Ф. Молденгауеръ. 1903),* რომელიც ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული (საინ. №11052). პანორამაზე მოცულობითად დატანილია მინერალური წყლის პარკში იმ დროისათვის არსებული ყველა ნაგებობა (სურ. 62). მათი ფორმები მხოლოდ რიგ შემთხვევაში

[71] Боржомь. Справачная книжка. Издание Дирекцій Боржомскихь Минеральводь. 1903, გვ. 61-65.

[72] იგივე, გვ. 281.

მეტ-ნაკლებად იმეორებს კონკრეტული შენობის კონტურს და ფორმებს, არც გამოსახულ ნაგებობათა პროპორციული ურთიერთშეფარდება უნდა იყოს რეალურს მიახლოვებული, როგორც ჩანს, ეს არც იყო პანორამის შექმნისას მთავარი. აქ თითქოს ზედხედიდან დანახული და „3D" ფორმატში გრაფიკულადაა ნაჩვენები ბორჯომის განაშენიანების ცენტრალური ნაწილი. კერძოდ, მდინარეების - მტკვრისა და ბორჯომულას შეერთების ადგილას გაშლილი რემერტის პარკი, ოლგას ხიდის ამსახველი ფოტოთი, და, რა თქმა უნდა, მინერალური წყლის პარკი, ამიტომ დიდ მასშტაბშია გამოტანილი. მინერალური წყლისა და ძველი კავალერიის სასტუმროების (პარკის მიმდებარედ), ეკატერინესა და ევგენის წყაროების, საექსპორტო განყოფილების შენობის, გოლოვინის ძეგლის, პარკის ხიდების, ელეტროსადგურის, მოსასვენებლი სოკო-საჩრდილობლების ფოტოები. პანორამა ვითარდება მდ. ბორჯომულას გასწვრივ პარკის მიმართულებით, შესაბამისად, დატანილია ამ გზაზე არსებული ნაგებობებიც: ქარვასლა, საჯინიბოები, სასტუმრო „ფირუზე"... შენობებს განმარტებითი წარწერები არ ახლავს (გარდა ფოტოებისა), ამიტომ მინერალური წყლის გენგეგმასთან (ბმმ საინ. №2852) ერთად, რომელზედაც შენობები ანოტირებულია, შესაძლებელია თეატრის ნაგებობის იდენტიფიცირება (სურ. 63).

პანორამაზე ასახული მინწყლის პარკის შენობათა განლაგება იმეორებს XIX საუკუნის მიწურულის მინწყლის გენგეგმაზე დატანილ ნაგებობათა ლოკაციასა და თანამიმდევრობას. კერძოდ, გენგეგმაზე თეატრი პარკის შესასვლელთან, მარჯვნივ, ჰორიზონტალურადაა მოცემული. მარჯვნივ ევგენის წყარო და ბიუვეტი, მდ. ბორჯომულას გასწვრივ, სიღრმეში - საკურორტო დარბაზი და ეკატერინეს წყარო, მოპირდაპირე მხარეს კი საექსპორტო განყოფილების მონუმენტური შენობა და „ესტრადა" (მუსიკოსებისთვის განკუთვნილი წრიული ნაგებობა). ამავე თანამიმდევრობის გათვალსწინებით პანორამაზე ასახული ორფერდა გადახურვის ქვეშ მოქცეული სწორკუთხა ნაგებობა, რომელსაც პარკის მხრიდან შპილით დასრულებული გუმბათი აქვს, სავარაუდოდ, თეატრის შენობას უნდა ასახავდეს.

„საკურორტო ცხოვრება ბორჯომში უმეტესწილად „მინერ-

ალური წყლის“ პარკშია კონცენტრირებული. აქ ცხოვრობენ, იღებენ აბაზანებს, სეირნობენ და ერთობიან. პარკის ყველაზე ცოცხალი ნაწილი იზღუდება იმ მონაკვეთით, რომელიც განთავსებულია პარკის კარიბჭიდან ბორჯომულაზე გადებულ მეორე ხიდამდე. სწორედ ამ მონაკვეთშია განლაგებული წყაროები გალერეებით და კურზალით. აქვეა – თეატრი, პავილიონი მუსიკისთვის და სხვ. გართობა და საკურორტო ცხოვრება ბორჯომში არ ატარებს ხმაურიან ხასიათს. გართობა, ბიბლიოთეკასა და სამკითხველოს თუ არ ჩავთვლით, ძირითადად მხოლოდ მუსიკით იფარგლება, თეატრში წარმოდგენები იშვიათად იმართება...“, – ვკითხულობთ გრ. მოსკვიჩის 1905 წელს გამოცემულ გზამკვლევში.[73]

ბორჯომის მინერალური წყლის დირექციის მიერ მომზადებულ და 1903 წელს გამოცემულ საცნობარო წიგნში ბორჯომის შესახებ (Боржомь. Справачная книжка. Издание Дирекцiй Боржомскихь Минеральводь. 1903), როგორც უკვე აღვნიშნეთ, საუბარია ბორჯომში ახალი თეატრის მშენებლობაზე. ვინაიდან ბორჯომის საზაფხულო თეატრის ხის შენობა „მდ. ბორჯომულასთანაა და ავადმყოფების ხანგრძლივად გაჩერება თეატრალური წარმოდგენების დროს ნესტიან ხეობაში განსაკუთრებით ცუდად აისახება აბაზანების მიმღებებზე. ამიტომ უახლოეს მომავალში ივარაუდება ახალი თეატრის მშენებლობა რემერტის პარკში.“

არსებობს თუ არა კავშირი რემერტის პარკში (დღეს მ. კოსტავას სახელობის ბაღი) დაგეგმილ თეატრსა და ფორკატის ალბომში დაცულ ბორჯომის თეატრის ესკიზებს შორის? რემერტის პარკი ხომ სწორედ მტკვრის გასწვრივ, ოლგას ხიდთან იწყება (სურ. 61). ესკიზებზე გაკეთებული რეზოლუცია კი გვაუწყებს: „მისი საიმპერატორო უდიდებულესობის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ნებართვით, წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, ბორჯომის მამულში მდ. მტკვრის გასწვრივ, ოლგას ხიდთან, სათეატრო ნაგებობის მშენებლობისთვის ვამტკიცებ. 1895 წლის 28 ნოემბერი. სასახლის მმართველი, გენერალ-მაიორი ოზეროვი“.

[73] Москвичь Гр. Илюстрированный практическoй путевадитель по Кавказу, Одесса. тип. Л. Нитче. Издание десятое, 1905, с. 349-350.

მინერალური წყლის პარკის ხის, სწორკუთხა იარუსული, თეატრისგან განსხვავებით, ოლგას ხიდთან მოაზრებული ქვის სამსართულიანი თეატრი - მაყურებელთა ნახევარწრიული დარბაზით, ღია გალერეებით, დორიული და კორინთული სვეტებით, სკულპტურული შემკულობითა და საერთო არქიტექტურული გადაწყვეტით – ბორჯომში არ აშენებულა, მიუხედავად იმისა, რომ საიმპერატორო ოჯახის (მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი) ნებართვით ესკიზები დამტკიცებული იყო.

ბორჯომის მინერალური წყლის პარკში მდებარე საზაფხულო თეატრმა, რომელსაც მოგვიანებით „მჟავე წყლის თეატრის“, „მინწყლის კურორტის თეატრის“ სახელებით მოიხსენიებდნენ, 1922 წლამდე იარსება.

1922 წლის 11 ივლისს მდ. ბორჯომულას ადიდებამ არნახული მასშტაბის წყალდიდობა გამოიწვია, რამაც თითქმის მთლიანად გაანადგურა მინერალური წყლის პარკის ნაგებობები. „გადაუღებელ წვიმებს წყალდიდობა მოჰყვა. ადიდებულ ბორჯომულას მოჰქონდა თან ტყე და ველი, ანადგურებდა ყველაფერს, რაც კი ხვდებოდა წინ. ჩვენი საზაფხულო თეატრის შენობა მიანგრ-მოანგრია. ჩვენ მსახიობები ძალიან ვწუხდით მის წალეკვას, მსახიობის რამდენ განცდებთან იყო დაკავშირებული ის ხის შენობა. ბორჯომულამ მიწის პირიდან აღგავა ბევრი ისტორიული ძეგლი, რომელიც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს პროფესორ ვინოგრადოვის ხელმძღვანელობით, ის იყო დაუვიწყარი ზარალი ყველა ბორჯომელისათვის“, – ვკითხულობთ მსახიობის მოგონებებში,[74] რომელიც წლების განმავლობაში იდგა ბორჯომის საზაფხულო თეატრის სცენაზე (დოკუმენტი დაცულია ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, საინ. №6385-3) სურ. 64.

წყალდიდობიდან რამდენიმე დღეში კი გაზეთი „კომუნისტი“ (1922, №165) ატყობინებს მკითხველს: „წყალდიდობის დროს, რომელიც გაგრძელდა 4 საათს, მთელი პარკი გადააქცია ზღვად. ხის თეატრმა, რომელსაც, როგორც ჩანს, მობეზრდა ადგილზე დგომა, მიატოვა ქვის საძირკველი და... გასცურა. ეხლა ის იმყოფება 7-10 საჟენის მანძილზე იმ ადგილიდან, სადაც აშენებული

[74] სოსანიძე-ვაშაკიძე დ., მოგონებები, ბმმ, საინ. № 6385-3, გვ.27.

იყო... წყალდიდობამ წალეკა ორი რკინის ხიდი მდ. ბორჯომკაზე და აგრეთვე ჯებირების გასამაგრებელი კედლები, 100 საჟენის მანძილზე. წვრილი ლიანდაგიანი რკინის გზა წარეცხილია 2 ადგილზე... აღდგენისათვის წარმოებული მთელი მუშაობა გაყოფილია 2 ჯგუფად. გადაწყვეტილია პირველ რიგში: გასწმინდონ პარკი, სახაზინო შენობა, შეაკეთონ გასამაგრებელი კედლები - ჯებირები და ვიწრო რკინის ლიანდაგი. მეორე რიგში ყველა სხვა სამუშაო. ეხლა პარკი და ევგენიის წყარო უკვე გაწმენდილია. წყლის საშვების აღსადგენად გაცხარებული მუშაობა სწარმოებს... მთელ აღდგენას დასჭირდება დაახლოებით 1.300,000,000 მანეთი ქართული ბონით".

როგორც ვხედავთ, წყალდიდობის შემდეგ აღსადგენად განსაზღვრულ პრიორიტეტულ ნაგებობებში საზაფხულო თეატრი არ შედის. არც მეორე ეტაპზე განსახორციელებელ „ყველა სხვა სამუშაო"-ში მოაზრებული „დანარჩენი" მოიცავს მას. ბორჯომის მინერალური წყლის პარკში საზაფხულო თეატრი აღარ აღდგენილა.

უთეატროდ დარჩა 1908 წელს შექმნილი ბორჯომის დრამატული წრე, ასევე, რუსული და სომხური დრამატული წრეები... სათეატრო ცხოვრება ძირითადად კლუბებში ინაცვლებს. მათ შორის იყო ქალაქის საკრებულოს კლუბი, რომელიც ბორჯომპარკის საქალაქო კლუბად გადაკეთდა და რომლის გარშემოც შემოიკრიბა უბინაოდ დარჩენილი ქართული, რუსული და სომხური დრამატული წრეები. საზაფხულო თეატრის დანგრევის შემდეგ „მთელი დატვირთვა დააწვა ყოფილ „სახალხო საკრებულოს" უვარგის და მცირე ტევადობის საქალაქო კლუბს, მაგრამ გამოსავალი სხვა რა იყო".[75] ფუნქციონირება დაიწყო ბორჯომის შუშის ქარხანასთან დაარსებულმა, 150 მაყურებელზე გათვლილმა, მუშათა კლუბმა, რკინიგზის მუშათა კლუბმა... რამდენიმე წელიწადში ბორჯომში, რემერტის პარკში, რომელსაც იმ ხანად რევოლუციის სახელობის პარკს უწოდებდნენ, ააშენეს (1928-1929) ერთსართულიანი შენობა საზაფხულო თეატრისთვის 300-

---

[75] ხუჯაძე გ., შრომა, განათლება, კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა 1870-1933, 1958 წ. ბმმ საინ. №4582, გვ. 53.

მდე მაყურებელზე.[76] მან მხოლოდ რამდენიმე წელი იარსება. 1933 წლის სექტემბრის მონაცემებით, ბორჯომში ცხრა კლუბია, ამდენივე დრამატული წრე და არც ერთი თეატრი.

პაულ შტერნის პროექტით 1897 წელს აგებული საზაფხულო თეატრი მინერალური წყლის პარკში, რეალურად, ერთადერთი სათეატრო ნაგებობაა ბორჯომში, მისი ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო ისტორია მხოლოდ მეოთხედ საუკუნეს ითვლის. თეატრის ხის შენობა 1922 წელს წყალდიდობამ გაანადგურა, რის შემდეგაც იგი აღარ აღუდგენიათ. ბორჯომის საზაფხულო თეატრი, რომლის „რეკონსტრუქციასაც“ შემორჩენილი პროექტისა და სხვა საარქივო მასალების შესწავლა-შეჯერების საფუძველზე შევეცადეთ, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს XIX საუკუნის სათეატრო ნაგებობებს შორის.

[76] ხუჯაძე გ., შრომა, განათლება, კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა 1870-1933, 1958 წ. ბმმ საინ. №4582, გვ. 60-63.






46. ბორჯომის საზაფხულო თეატრის პროექტის ბუდე-საქაღალდე (სემ/ხმ)




47. გენერალური გეგმა, ნახაზი №1 (სემ/ხმ)




48. პარტერის გეგმა, ნახაზი №2 (სემ/ხმ)




49. ლოჟების და გალერეის გეგმა, ნახაზი №3 (სემ/ხმ)




50. გრძივი ჭრილი, ნახაზი №4 (სემ/ხმ)




51. მთავარი ფასადი, ნახაზი №5 (სემ/ხმ)




52. თეატრის ფასადი, ვარიანტი, ესკიზი №6 (სემ/ხმ)




53. თეატრის ფასადი, ვარიანტი, ესკიზი №7 (სემ/ხმ)



54. ბორჯომი, ოლგას სახელობის ხიდი (სემ)



55. ბორჯომი, ოლგას სახელობის ხიდი (სემ)




56. დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის სასასახლე ბორჯომში, არქ. ვლ. შვეიერი (ჟურნ. «Зодчий», 1873)



57. ბორჯომი, სასტუმრო ,,ძველი კავალერია" (სპებ)



58. ბორჯომის მინერალური წყლის პარკი (სპებ)




59. ბორჯმის მინერალური წყლის პარკი, ევგენის წყარო (სპებ)




60. ბორჯომის მინერალური წყლის პარკის გეგმა (ბმმ)




61. ბორჯომის გეგმა, 1913



62. ბორჯომის მინერალური წყლის პარკის პანორამა, 1903 (ბმმ)






63. ბორჯომის მინერალური წყლის პარკის პანორამა, 1903, დეტალი, სავარაუდოდ, თეატრის შენობა





64. წყალდიდობა ბორჯომში, 1922 (ბმმ)

IV ნარკვევი

# სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრი

საქართველოში ჩვენამდე მოღწეული სათეატრო ნაგებობები უმთარესად ქალაქებშია თავმოყრილი, მათი დიდი ნაწილი აგებულია XIX საუკუნის ბოლოს - XX საუკუნის პირველ წლებში და დღესაც ფუნქციონირებს. მაგრამ ეს უკვე თანამედროვე მოთხოვნებს მორგებული, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, რეკონსტრუირებული სათეატრო შენობებია (კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობები და სხვ.). გამონაკლისია კახეთში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანში შემორჩენილი თეატრი, 1897-1899 წლებში ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით აგებული აგურის ორსართულიანი, დახურული ტიპის სათეატრო ნაგებობა, პერსპექტიული სცენა-კოლოფით და მაყურებელთა 250 ადგილზე გათვლილი სწორკუთხა იარუსული დარბაზით, ღუმელებით, თანადროული სასცენო კონსტრუქციებით, ინვენტარით — თითქმის უცვლელად, პირვანდელი სახითაა შემორჩენილი (სურ. 65).

სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრს 2014 წელს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ამ პერიოდიდან იწყება მისი შესწავლის ისტორიაც. 2014 წლამდე ინფორმაციაც არ გვხვდება საქართველოს ამ ერთ-ერთი ძველი თეატრის შესახებ არც თეატრმცოდნეობით და არც სახელოვნებათმცოდნეო ნაშრომებში. 2014 წელს ინტერნეტსივრცესა და მედიაში ჩნდება არასამთავრობო ორგანიზაციების, ,,კულტურული მემკვიდრეობის არასამთავრობო მონიტორინგი" და ,,სამოქალაქო ინიციატივა", მიერ მოძიებულ-დამუშავებული მასალები თეატრისა და სოფლის შესახებ.[77] 2015-2016 წლებში ქვეყნდება რამდენიმე სტატია ქართულ და უცხოენოვან გამოცემებში.[78]

[77] http://signagi.com.ge/.

[78] დოლიძე ი.,თეატრი-მუზეუმი - სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრი,ჟურნალი ,,ძველი ხელოვნება დღეს", თბილისი, 2016, №7. / დოლიძე ი., სათეატრო არქიტექტურის

აღნიშნულ მასალებთან ერთად, წინამდებარე კვლევისას გამოყენებულია პერიოდულ პრესაში სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრის შესახებ მოძიებული სტატიები გაზეთებიდან: ,,ივერია", ,,ცნობის ფურცელი", ,,თეატრი", ,,ლახვარი", ,,ამირანი", ,,სახალხო გაზეთი". ჟურნალებიდან: ,,თეატრი და ცხოვრება", ,,მნათობი", ,,მათრახი". დამუშავებულია 1887 წლიდან 1914 წლის ჩათვლით პერიოდული პრესა. სამწუხაროდ, უშედეგოდ დასრულდა საარქივო-საძიებო სამუშაოები საქართველოს ეროვნულ არქივში (საისტორიო ცენტრალური არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, კინოფოტოფონო-დოკუმენტების ცენტრალური არქივი, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება).

2018 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადდა სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტი (ააიპ ,,ინჟინრული აზრი"). შემდგომი ეტაპი უკვე სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელება და თეატრისთვის თავდაპირველი ფუნქციის დაბრუნება იქნება.[79]

აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში (ქიზიყი), სიღნაღის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელი ქვემო მაჩხაანი ისტორიულ წყაროებში XVIII საუკუნიდან გვხვდება. ქიზიყის სოფლების ჩამონათვალში იოანე ბატონიშვლი (1768-1830) სოფელ მაჩხაანსაც ასახელებს. სწორედ ამ დროს ხდება ქიზიყის მთავარი ქალაქი – სიღნაღიც. XIX საუკუნეში სოფ. ქვემო მაჩხაანი შედის სიღნაღის მაზრაში და ქიზიყის ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის მნიშვნელობას იძენს. ის განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება XIX საუკუნის II ნახევრიდან. სოფლის დაწინაურებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ხელსაყრელი მდებარეობა. ,,სოფელ ქვემო მაჩხაანს უკავია შუაგული ადგილი თითქმის ნახევარი ქიზიყისა. გარშემო არტყია თორმეტზე მეტი სოფელი,

---

ერთი ნიმუშის შესახებ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,მუზეუმი და კულტურის სტრატეგია" მასალები, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XXVI, ქუთაისი, 2016, გვ. 54-63./ Dolidze I., The Thesatre and Museum Space: The Village Kvemo Machkaani Theatre – Museum, Proceedings of the ICLM Annual Conference 2015, ICOM, Paris, 2016, pp. 74-89.

[79] წარმოდგენილი სახელოვნებათმცოდნეო კვლევა სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტის შემადგენელი ნაწილია.

რომელთა მკვიდრნი წავლენ-წამოვლენ და მაჩხაანს ვერ აცდებიან... ამ ჟამად ქვ. მაჩხაანში ირიცხება ხუთის ბაზაზის დუქანი, რვა მიკიტნისა, და წვრილმანით მოვაჭრეთა დუქნებს ხომ ვერც კი ჩამოვთვლით...“[80] „სოფ. ქვემო მაჩხაანი შუაგულ ბაზარია თერთმეტის სოფლისა. ამ თერთმეტს სოფელში (მაჩხაანითვე) ოცი ათასამდე სული მცხოვრებია“.[81]

საგაზეთო სტატიებიდან მოყვანილი მცირე ამონარიდებიც კი კარგად მეტყველებს ქვემო მაჩხაანის განსაკუთრებულ ადგილსა და მნიშვნელობაზე მხარის განვითარებისა და, კონკრეტულად, ახლომდებარე სოფლებისთვის, რომელთა საერთო მოსახლეობა 1892 წლისთვის 20 ათასს აღწევს. სწორედ ქვემო მაჩხაანში ჩაეყარა საფუძველი ბევრ ისეთ წამოწყებას, რომელიც პირველად განხორციელდა არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაში და დიდად შეუწყო ხელი ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითრებას. ასეთი იყო მაგ.: „სავაჭრო დეპო“ (სავაჭრო ცენტრი), რომელიც სოფ. ქვემო მაჩხაანში 1895 წელს გაიხსნა და დიდი როლი შეასრულა სოფლის განვითარებაში.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ყველა ინიციატივის წამომწყები, განმახორციელებელი და, უმრავლეს შემთხვევაში, დამფინანსებელიც, სოფლის მოსახელობაა. მათი უშუალო მონაწილეობით იგეგმება მასშტაბური კულტურულ-საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურული პროექტები. თანხა გროვდება საქველმოქმედო მიზნით მოწყობილი წარმოდგენების საშუალებითაც. შედეგად, XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სოფელ ქვემო მაჩხაანში ფუნქციონირებს: აფთიაქი, სკოლა (საერო სამინისტრო სკოლა), სახალხო წიგნსაცავი, საზოგადო პურის მაღაზია, ქსენონი - „პრიომნიე პაკოი“, რომლის მუშაობის პრინციპიც თანამედროვე სადაზღვევო სისტემის მსგავსია (თითოეული ოჯახის მიერ ყოველწლიურად გაღებული კონკრეტული თანხით სოფელი თავად აფინანსებს ყველა სახის სამედიცინო მომსახურებას, ასევე, მედიკამენტებს). თანხას აგროვებენ სათეატროსამკითხველო დარბაზის ასაშენებლად, გეგმავენ „სავაჭრო დე-

[80] გაზ. „ივერია“, №251. 1887.
[81] გაზ. „ივერია“, №175. 1892.

პოს“, სასოფლო ბანკის, ტექნიკური სასწავლებლის და საქალებო სკოლის გახსნას. „ტფილისის გუბერნატორს“, რომელიც სოფ. ქვემო მაჩხაანს მალევე სწვევია (იგულისხმება „სავაჭრო დეპოს“ გახსნიდან), ვერ დაუმალავს აღფრთოვანება: „მე არ მეგონა თუ სოფლად თქვენს ჯერედ ნორჩს კოოპერატიულს საზოგადოებას ასეთი უზარმაზარი შენობა-დარბაზი რომლის მსგავს იშვიათად შეჰხვდება კაცი ქალაქშიაც კი - ასე მშვენივრად ექნებოდა ყოველგვარ სავაჭრო საქონლით შემკობილიო.“[82]

სოფელი ქვემო მაჩხაანი სწრაფად და მრავალმხრივ ვითარდება - ვაჭრობა, ჯანდაცვა, განათლება. ყოველივე ეს ეტაპობრივად ისახება მის განაშენიანებასა და ინფრასტრუქტურაზე. ამ ფონზე სრულიად ლოგიკურად აღიქმება ქვემო მაჩხაანისა და გარშემო სოფლების განსაკუთრებული ინტერესი თეატრისადმი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სოფელს არ ჰყავს მუდმივი თეატრალური დასი, მაგრამ აქტიურ სადადგმო საქმიანობას ეწევიან სცენისმოყვარეები. მათი და ქვემო ქიზიყის სოფლების, განსაკუთრებით სოფ. ქვემო მაჩხაანის მოსახლეობის, მონდომებით და მონაწილეობით იწყება თეატრის მშენებლობა, რისთვისაც ფულს წლების განმავლობაში აგროვებენ. იმდროინდელი ქართული პრესა, გაზეთები: „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“ ხშირად და საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობენ სოფ. ქვემო მაჩხაანის შესახებ და, მათ შორის, სოფლის სათეატრო ცხოვრებზე.

ინფორმაცია სოფ. ქვემო მაჩხაანში წარმოდგენების გამართვის თაობაზე 1887 წლიდან ჩნდება.[83] იმ დროისათვის სათეატრო შენობის უქონლობის გამო, სპექტაკლები სკოლის შენობაში იმართება, ისინი საქველმოქმედო ხასიათისაა და შემოსული თანხა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დასახმარებლად იგზავნება. ასეთ წარმოდგენებს მაყურებელი ახლომდებარე სოფლებიდანაც ესწრება. სპექტაკლები, ასევე, იდგმება ბიბლიოთეკის შესაქმნელად, რომლის მთავარი ინიციატორიც სოფლის ახალგაზრდობაა. მასში აქტიურადაა ჩართული ადგილობრივი ხელისუფლება და სოფლის მაცხოვრებლები. „აქაურ მღვდელს ვ. მენთეშაშვილს მოუვიდა მთავრობის ნებართვა გამართოს ქვემო

[82] გაზ. „ცნობის ფურცელი“, №352. 1897.
[83] გაზ. „ივერია“, №142. 1887.

მაჩხაანში საწყობი ქართულის წიგნებისა. დღეის შემდეგ ამ საწყობში თითქმის ყოველგვარი ქართულის წიგნის შოვნა მოხერხდება. აქამდე მთელს სიღნაღის მაზრაში წიგნთ-საწყობი თითქმის არსად არ იყო და უბრალო ქართული წიგნი რომ გდომებოდათ, ტფილისიდან უნდა დაგებარებინათ. ეხლა აღარც მიწერ-მოწერა, აღარც ერთი, აღარც მეორე, მსურველს წიგნები თითქმის კარ-წინ ექნება, მივა და იყიდის“.[84]

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ არც წიგნსაცავის იდეის განხორციელებისთვისაა თანხის შეგროვება ერთჯერადი ღონისძიება. პრესის საშუალებით შეგვიძლია თვალი გავადევნოთ აღნიშნულ პროცესს. თანხის მოგროვების ძირითადი საშუალება კი კვლავ სპექტაკლების გამართვაა.[85] ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ თითქმის პარალელურად სულ უფრო აქტუალური ხდება სათეატრო ნაგებობის მშენებლობის საკითხი. ამ იდეის გარშემო ერთიანდება მთელი სოფელი. განსაზღვრულია მისი ადგილი, სპეციფიკა - თეატრი უნდა აშენდეს სოფლის ცენტრში, ეკლესიის გვერდით, ხის უნდა იყოს. თეატრის შენობაში გადმოვა ბიბლიოთეკაც (წიგნთსაცავი) და აქ ყოველ კვირას გაიმართება წარმოდგენები, ლექციები, კონცერტები.

იმდროინდელი პრესა სოფ. ქვემო მაჩხაანში სცენისმოყვარეთა მიერ გამართული წარმოდგენებისადმი დიდ ინტერესს იჩენს. ყურადღების მიღმა არც თეატრის მშენებლობა რჩება. პირველად ინფორმაცია სათეატრო ნაგებობაზე 1891 წელს ქვეყნდება. ამ დროისათვის სოფელი აგრძელებს „წიგნთ-საცავისთვის“ თანხის მოგროვებას და, მის ნაწილს „მომავალ სათეატრო დარბაზისთვის“ ინახავს.

1891 წლის 14 ივლისის გაზეთი „ივერია“ (№148) რუბრიკაში „დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი)“ ქვემო მაჩხაანში გამართული წარმოდგენის შესახებ ვრცლად წერს: „..ხალხი ბლომად მივიდა გარეშემო სოფლებიდან, დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა და ითხოვდა სხვა დროსაც გაემართათ წარმოდგენა. თეატრი სკოლის გვერდით, დიდრონ ხეების ქვეშ იყო კოპწიად მოწყობილი და ძველის რომაელების ამფითეატრს წააგავდა თავისის

[84] გაზ. „ივერია“, №269. 1889.
[85] გაზ. „ივერია“, №144. 1890.

ადგილმდებარეობით. ბილეთები იაფად ღირდა. ღარიბებს ფასი არ ერთმეოდათ, რის გამოც დიდძალი ღარიბი ხალხი დაესწრო წარმოდგენაზე. ...დარჩა წმინდა შემოსავალი 25 მ. და 30 კ.; აქედან 15 მ. და 30 კ. გადაიდო ქვემო-მაჩხაანის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ, დანარჩენი - 10 მანეთი - მომავალ სათეატრო დარბაზისთვის, რომელიც უნდა აშენდეს ფიცრისა, შუა სოფელში, ეკლესიის მინდორზედ, თუკი ქიზიყის საზოგადოებაც ხელს მოგვიმართავს ნივთიერად და სახალხო დეპო გვეღირსება ამ ერთს წელიწადში, რომ დეპომაც შემწეობა აღმოგვიჩინოს. თეატრის დარბაზში თუკი გვეღირსება ოდესმე, მუდამ კვირა-უქმე დღეს იქნება სახალხო ლექციები, წარმოდგენები და კონცერტები. თეატრის დარბაზშივე იქმნება გადმოტანილი წიგნთ-საცავიც“. სტატია სრულდება ოპტიმისტური პასაჟით, „გარდა შეუძლებელისა შეუძლებელი არა არის-რა ქვეყანაზედ: სკოლა გვაქვს, წიგნთ-საცავი გვაქვს და თუ ვეცდებით, უეჭველია, სახალხო დეპო და თეატრის დარბაზიც გვექნება“.

თეატრის მშენებლობისთვის სოფ. ქვემო მაჩხაანში თანხა, 1891 წლიდან მოყოლებული, წლების განმავლობაში გროვდებოდა. 1892 წელს უკვე სათეატრო დარბაზის ფონდიცაა შექმნილი. საქველმოქმედო წარმოდგენების გამართვა „სათეატრო ფონდისთვის“ გრძელდება 1892, 1893, 1894 წლებშიც. სპექტაკლებს ამ დროს კვლავ ღია ცის ქვეშ მართავენ „უზარმაზარ მცენარე-ხეებით შემოციხულს ამფითეატრისებურად მოყვანილს ფერდობზედ...“[86] როგორც ჩანს, პარალელურად განიხილებოდა ალტერნატიული ვარიანტებიც. ასე მაგალითად: „სახალხო დეპოს გამგეობა აპირებს გადაიტანოს დეპოს ახალ შენობაში წიგნთ-საცავიც და გახსნას აფთიაქის მაღაზიაც, რომელიც დიდად საჭიროა იაფად სყიდულობდეს ხალხი წამლეულობას. განზრახვა აქვს გამგეობას დაადგას შენობის მესამე სართულიც დეპო-ბანკის წევრთა საკრებულოდ და კვირა-უქმე დღეს ხალხისათვის წარმოდგენების გასამართად და ლექციების საკითხავად...“, — წერს გაზ. „ივერია“, 1896 წლის 9 იანვარს (№5). შესაძლოა ეს სულაც თეატრის აშენებამდე დროებითი გამოსავლის ძებნაა და არა სავაჭრო დანიშნულების შენობაში მისი განთავსების საბო-

[86] გაზ. „ივერია“, №157. 1894.

ლოო გადაწყვეტილება. ერთი რამ ცხადია, თეატრის პროექტზე მუშაობა ამ დროისათვის ჯერ არ უნდა იყოს დაწყებული. 1896 წლის ოქტომბრის ბოლოს სავაჭრო დეპოზე მესამე სართულის დაშენება ისევ ძალაშია, მაგრამ წარმოდგენების გამართვის ნაცვლად აქ უკვე სამკურნალო დაწესებულება - „პრიომნი პაკოის“, საქალებო სკოლის და სასოფლო ბანკის განთავსებას ფიქრობენ.

„ჩვენ გვწერენ ქიზიყიდამ... ცდილობს ადგილობრივი ინტელიგენცია დაარსდეს ს. ქვემო მაჩხაანში საქალებო სკოლა პროფესიონალურის განყოფილებით, სასოფლო ბანკი და სამკურნალო („პრიომნი პაკოი“). ...ქიზიყის დეპოს გამგეობა ეხლავ შეუდგა იმის ცდას, რომ საგაზაფხულოდ დეპოს ფართო შენობაზედ დაადგას მესამე სართულიც, რომელშიაც იქნება მოთავსებული „პრიომნი პაკოი“, საქალებო სკოლა და შემნახველ-გამსესხებელი კასსა“.[87] ამდენად, 1896 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე პერიოდში არა მარტო გადაწყვეტილია თეატრისთვის ცალკე შენობის აგება, არამედ მზადდება პროექტი და იწყება მშენებლობაც, ვინაიდან პრესაში 1897 წლის 17 მაისს ქვემო მაჩხაანის ახალაგებულ თეატრის შენობაში უკვე წარმოდგენის გამართვაა დაანონსებული.

1897 წლის 14 მაისის „ივერია“ (№92) გვამცნობს: „ს. ქვემო მაჩხაანი: ამ თვის 17-ს აქ იქნება წარმოდგენა ახალ აშენებულ-გამართულ თეატრში. თელავიდან მოწვეულია ბ-ნი დ. აწყურელი”. იგივე განცხადებას ორიოდ დღეში იმეორებს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (1897 წლის 16 მაისი, (№199) – „ს. ქვემო მაჩხაანი: ამ თვის 17-ს აქ იქმნება წარმოდგენა ახლად შენებულ-გამართულ თეატრში, თელავიდან მოწვეულია ცნობილი აქტიორი ბ-ნი დ. აწყურელი“.

ამდენად, 1897 წლის 17 მაისს თეატრი სოფ. ქვემო მაჩხაანში უკვე აშენებულია და ფუნქციონირებს. 1897 წლის 9 აგვისტოს გაზეთი „ივერია“ (№162) გვატყობინებს: „ამ ორს კვირაში ორჯერ გამართა უფასო წარმოდგენები ქვემო-მაჩხაანის სცენაზე ქვემო-ქიზიყის ახალგაზრდობამ და ორჯელვე დიდძალი ხალხი დაესწრო ყველა სოფლებიდგან. ...მოკლე ხანში აქ კიდევ აპირებენ ფასიან წარმოდგენის გამართვას ქვემო-მაჩხაანის მომა-

[87] გაზ. „ცნობის ფურცელი“, №9. 1896.

ვალ სამრევლო ქალთა სკოლის სასარგებლოდ“. 1897 წლის 23 აგვისტოს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№291) წერს: „ამ ზაფხულში სამჯერ გამართეს წარმოდგენა, ერთი საქველ მოქმედო აზრით და ორი უფასოდ. სამთავე წარმოდგენამ საუცხოოდ ჩაიარა. ხმა არის, რომ დ. აწყურელი აპირებს კიდევ წარმოდგენის გამართვას სოფ. ქვემო-მაჩხაანში“.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სოფ. ქვემო მაჩხაანს არ ჰყავს მუდმივი თეატრალური დასი. სპექტაკლებს მართავენ სცენისმოყვარეები და მოწვეული (თელავი, თბილისი) მსახიობები, რაც წარმოდგენების ჩატარების პერიოდულობაზე მეტყველებს. მსგავსი ვითარება ფუფუნებაა დიდი ქალაქებისთვის, აღარაფერს ვამბობთ სოფელზე და თუნდაც სოფლების გაერთიანებაზე. მაგრამ სურათი სრული ვერ იქნება თუ არ გავითვალისწინებთ თეატრის განსაკუთრებულ როლს და მნიშვნელობას იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის. „ყოველგვარ ცოდნას თავისი ტაძარი აქვს, ამათში ერთს სკოლა ჰქვიან და მეორეს თეატრი... დიაღ, სკოლა და თეატრი ძმები არიან კეთილ საქმეში, იმისთვის, რომ თეატრიც ჭკუა-გონებას ასწავლის ადამიანს“, – ასე მიმართა 1887 წელს ქვემო მაჩხაანის სასკოლო სახლში წარმოდგენის დაწყების წინ დამსწრე საზოგადოებას დ. მაჩხანელმა.[88]

თეატრში იწვევენ ცნობილ არტისტებს, წარმოადგენენ პოპულარულ პიესებს. ასეთ სპექტაკლებს დიდი გამოხმაურება აქვს. თეატრი ყოველთვის სავსეა მაყურებლით. განსაკუთრებით დატვირთულია, ამ მხრივ, 1899 წლის სეზონი. მიუხედავად იმისა, რომ ახლადაგებულ თეატრში სპექტაკლები უკვე 1897 წლიდან იმართება, მის მშენებლობაზე გაწეული ხარჯი ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ არის დაფარული. ასე მაგალითად: 1899 წლის 25 ივლისს სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრში ითამაშეს ავქსენტი ცაგარელის კომედია „ხანუმა“, მასში მონაწილეობდნენ იმდროინდელი ქართული თეატრის კორიფეები: ვასო აბაშიძე და ნატო გაბუნია. იმდენად დიდი იყო ამ მოვლენის მნიშვნელობა, რომ სპექტაკლამდე რამდენიმე დღით ადრე გაზეთ „ივერიის“ თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდება ინფორმაცია მაჩხაანის თეატრის შესახებ: „17 ივლისს ქვემო მაჩხაანის ახალ თეატრში

[88] გაზ. „ივერია“, №142. 1887.

თავად ნ. ერისთავის თაოსნობით, წარმოდგენის გამართვას აპირე-ბენ. მოწვეულები არიან ცნობილი არტისტები ვ. აბაშიძე და ნ. გაბუნია ცაგარელისა. უნდა ითამაშონ ავქსენტი ცაგარელის კო-მედია „ხანუმა“.[89]

„ს. ქვემო მაჩხაანი. ქიზიყს ესტუმრნენ ქ-ნი ნატალია გაბუნია-ცაგარელისა და ბ-ნი ვასილ აბაშიძე, რომელნიც დიდის აღტა-ცებით და პატივით მიიღეს ყველგან ქიზიყელებმა. 25-ს ივლისს წარმოადგინეს ქვემო მაჩხაანის თეატრის ახალ შენობაში „ხანუ-მა“ ა. ცაგარელისა, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარე-ბით. წარმოდგენას ქიზიყის რჩეული საზოგადოება და დიდძა-ლი მდაბიო ხალხი დაესწრო (ღარიბნი უფასოდ). გამოჩდნენ თუ არა სცენაზედ ძვირფასი სტუმარნი-მსახიობნი, ხანგრძლივი ტაშის ცემით და „ვაშა-გაუმარჯოს“ გრგვინვით დააჯილდოეს და საჩუქრები მიართვეს, სცენის მოყვარეთაც მოსალოდნელზედ უფრო რიგიანად ითამაშეს და მეტადრე ქალმა საშა მენთეშაშ-ვილმა, რომელმაც პირველად, მაგრამ ნიჭიერად ითამაშა როლი. წარმოდგენიდან შემოვიდა ოც თუმნამდის, რომელმაც უნდა გაის-ტუმროს თეატრისათვის ახლად აგებული შენობის ვალი. დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველა ისინი, ვინც წარმოდგენასა და წარმოდგენის სამზადისში მონაწილეობა მიიღო და განსაკუთრებით მაჩხაანის ბოქაული თ. ნ. დ. ერისთავი სახლობითურთ. მაჩხაანის ინტელიგენცია აპირებს მოათავსოს წიგნთა საცავი და სამკითხ-ველო ახლად აშენებულ თეატრის დარბაზში, სადაც კვირა უქმე დღეებში წაუკითხავენ ხალხს ხალხური ენით დაწერილ ლექციე-ბს ზნეობრივს, სასოფლო მეურნეობასა და სამკურნალოს“.[90]

ამ წერილის ავტორი, ყველგანმყოფის ფსევდონიმით, მწ-ერალი და პუბლიცისტი დიმიტრი ნადირაძე, იგივე დიმიტრი მაჩხანელია (1863-1903), რომელიც არა მხოლოდ გულშემატკივ-რობდა თეატრის მშენებლობის იდეას ქვემო მაჩხაანში, არამედ იყო ამ საქმის ერთ-ერთი მოთავე და ინიციატორი. იგი საზოგა-დოებრივი საქმიანობის პარალელურად (დეპოს გამგეობის თავ-მჯდომარე, დეპოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და ა.შ.), წერს პიესებს, წერილებს, რომლებიც სხვადასხვა ფსევდონიმით

[89] გაზ. „ივერია“, №146. 1899.

[90] გაზ. „ივერია“, №162. 1899.

(მაჩხაანელი, თერგდალეული, მთადიდელი, ლახვარიძე) იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში („ივერია“, „მოამბე“, „აკაკის კრებული“, „ფასკუჯი“, „ჯეჯილი“ და სხვ.). მოსკოვის უნივერსიტეტის თავისუფალი მსმენელი სამშობლოში დაბრუნებისთანავე საკუთარ სოფელში დასახლდა, „ახალი სისტემით გააშენა ვაზი. მამაპაპეულ ვენახს კიდევ მიუმატა ახალი და, თითქმის პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქიზიყში რაციონალურ მეურნეობას. მამულის შემოსავალს კი საზოგადო საქმეს ახმარდა... წელიწადში თითო კომლმა რომ თითო მანეთი გამოიღოს, მათვე შესძენს ათასგვარს სიკეთესო“, - დ. მაჩხაანელმა პრაქტიკულად თვითონვე განახორციელა ეს იდეა. მას მხარს უჭერდნენ ილია ჭავჭავაძე, იროდიონ ევდოშვილი, შიო-მღვიმელი... ასეთი მხარდაჭერით ფრთაშესხმულმა დააარსა კოოპერატივიც და საქონლის საწყობი დეპო... თვითვე მიდიოდა მოსკოვში და იქიდან ჩამოჰქონდა სოფლისათვის საქონელი, ღარიბებისათვის ხელმისაწვდომ ფასებში. მონაგები ხალხისავე საჭიროებას ხმარდებოდა. სოფ. ქვემო მაჩხაანში რომ ქალთა დაწყებითი სკოლა დააარსა და თავისი სახლი დაუთმო, ეს პირველი ნაბიჯი იყო მისი დიდი პრაქტიკული მოღვაწეობისა და შემდეგი ნაბიჯიც გადადგმულ იქნა. ქიზიყში მოაწყო „სახალხო დეპო-სალარო“ - მშრომელთა კოპერატიული კავშირი, რომელიც კახეთში კოოპერატული მოძრაობის ჩანასახს წარმოადგენდა, რამაც აალაპარაკა მთელი საქართველო და ბევრი მიმდევრებიც გაუჩნდნენ, ბევრგან დაიწყეს კოოპერატივების, სახალხო ბანკებისა და საწყობების გამართვა. მწერალმა მერე დაიწყო ზრუნვა წიგნთსაცავის შესაქმნელად. ეს დიდი ხნის ჩანაფიქრიც სისრულეში მოიყვანა. დააარსა ქიზიყში პირველი წიგნთსაცავი, ბიბლიოთეკა, რომელსაც თავისი საკუთარი წიგნები შესწირა. მაგრამ რაც ყველაზე საკვირველი და წარმოუდგენელი იყო იმ დროისათვის, ეს იყო სახალხო თეატრის შენობის აგება, რომელშიაც სისტემატურად იმართებოდა წარმოდგენები... ხშირად თბილისიდან თვითონვე იწვევდა ცნობილ მსახიობებს“.[91]

განსაკუთრებული წვლილი ქვემო მაჩხაანის თეატრის მშენებლობის საქმეში მიუძღვის ნიკოლოზ (კოლა) ერისთავს (1865-

[91] ხაჩიაშვილი ქ., დიმიტრი მაჩხანელი, ჟურნ. „მნათობი“, №5, 1972, გვ. 157-162.

1933 წწ.), ქსნის ერისთავთა საგვარეულოს ბოლო მემკვიდრეს და ცნობილ დეკლამატორს. იგი აქტიურად მოღვაწეობდა ქვეყნის სათეატრო ცხოვრებაში. როგორც საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, ხშირად მართავდა წარმოდგენებს ახალგორის ერისთავთა სასახლეში. იყო დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე (1907), ქართული ეროვნული თეატრის აღმდგენელი კომიტეტის წევრი, თბილისის ქართული დრამატული საზოგადოების წევრი.

კოლა ერისთავი გარკვეული დროის განმავლობაში მსახურობდა ქიზიყში, იყო ქვემო ქიზიყის (ქვემო მაჩხაანის) ბოქაული. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ქვემო მაჩხაანში თეატრის მშენებლობაც და არა მხოლოდ... ნიკოლოზ ერისთავი, დიმიტრი მაჩხანელთან ერთად, ყველა იმ წამოწყების მონაწილეა, რომელიც მხარის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და, ზოგადად, სოფლის გაძლიერებას ეხება. მაგრამ ნიკოლოზ ერისთავის როლი თეატრის მშენებლობაში, მის ამოქმედებასა და ქართული წარმოდგენების გამართვაში განსაკთრებულია და უმთავრესი. ამის შესახებ წერენ მისი თანამედროვენი, წერს პრესა:

„კვირას, 18 ივლისს... მოხდა სოფელ ქვემო მაჩხაანში კრება მეცხვარეების და საზოგადოდ ცხვრის პატრონებისა... საზოგადო რიცხვი დამსწრეთა აღემატებოდა 300 კაცს. გული სიხარულით აღმევსო, როდესაც დავინახე უზარმაზარი, ახლად გამართული თ. ნ. დ. ერისთავის ხარჯით და თაოსნობით, სათეატრო აივანზალა მთლად გაჭედილი, აქ მოგროვილი ხალხით“.[92]

„ს. ქვემო-მაჩხაანი. ...მალე იქნება მზად ის უზარმაზარი სათეატრო შენობა... ეს შენობა სწორედ სახალხო უნივერსიტეტი იქნება ქიზიყისათვის და აი ამისათვის დიდი მადლობის ღირსია ქვემო-ქიზიყის ბოქაული თ. ნ.დ. ერისთავი, რომელმაც დიდად იმეცადინა ამ შენობის აშენებისათვის და დიდათაც ცდილობს სხვაფრივაც ბეჩავი ხალხის ქონება-გონების წინ წამოწევისათვის“.[93]

„25-ს ივლისს წარმოადგინეს ქვემო მაჩხაანის თეატრის ახალ შენობაში „ხანუმა“ ა. ცაგარელისა, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით... დიდი მადლობის ღირსნი არიან ყვე-

[92] გაზ. „ივერია“, №158, 1899.

[93] გაზ. „ივერია“, №221, 1898.

ლა ისინი, ვინც წარმოდგენასა და წარმოდგენის სამზადისში მონაწილეობა მიიღო და განსაკუთრებით მაჩხაანის ბოქაული თ. ნ. დ. ერისთავი სახლობითურთ... ივლისისავე 25-ს დილით ქვემო მაჩხაანში მოხდა ქიზიყის მეთამბაქოვეთა ისეთივე კრება, როგორც მეცხვარეებისა იყო ამ რამოდენიმე დღის წინათ. საქმის განსახორციელებლად და თამბაქოსათვის ტფილისში საწყობის დასაარსებლად მეთამბაქოებმაც ამოირჩიეს ერთხმად: სიღნაღის მაზრის უფროსი გ. ზ. შანშიევი, ა. ი. ნატროშვილი, დ. მ. ნადირაძე და თ.ნ. დ. ერისთავი“.[94]

„სოფელი ქვემო-მაჩხაანი (სიღნაღის მაზრა). მარიამობის 20 ს თავ. ნ.დ. ერისთავის თაოსნობით, გაიმართა აქ ქართული წარმოდგენა: წარმოადგინეს ზ. ანტონოვის ორ მოქმედებიანი კომედია „მე მინდა კნეინა გავხდე“ და ორ მოქმედებიანი კომედია ი. მაჩაბელისა „ადვოკატი მელაძე“. ამ წარმოდგენისათვის ტფილისიდგან მოწვეულნი იყვნენ არტისტები ქ-ნი ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და ვასო აბაშიძე... ხალხი აუარებელი დაესწრო წარმოდგენას და დიდად ნასიამოვნები დაიშალა. სწორეთ დიდი მადლობის ღირსია ქვემო მაჩხაანის ბოქაული თავ. ნ. ერისთავი, რომ ეს მეორე წელიწადია, მისის მეცადინეობით აქ ქართული წარმოდგენები იმართება“.[95]

„...სასურველია, რომ ჩვენი სცენის მსახიობნი ხშირ-ხშირად დაივლიდნენ ხოლმე ჩვენს მიყრუებულ სოფლებს და თითოოროლა წარმოდგენებს გამართავდნენ ხოლმე ადგილობრივ სცენისმოყვარეთა შემწეობით, რომელნიც, ღვთისით, ცოტა-ცოტა ყოველწლივ ემატება ჩვენს სოფლებს. დიდი მადლობის ღირსია თავ. ნ. ერისთავი, რომელმაც იკისრა წარმოდგენის გამართვა და რომელიც მუდამ თანაგრძნობით ეკიდება ხოლმე ყოველს გასაჭირს ჩვენის მხრისასა“. [96]

„ს. ქვემო მაჩხაანი. თითქმის ხუთი წელიწადია, რაც ჩვენ სოფელში თეატრი დაარსდა ბოქაულის თავად ერისთვის მეცადინეობით“.[97]

---

94 გაზ. „ივერია“, №162. 1899.
95 გაზ. „ივერია“, №186. 1900.
96 გაზ. „ცნობის ფურცელში“, №1221. 1900.
97 გაზ. „ცნობის ფურცელი“, №2558. 1904.

„ქვემო-მაჩხაანი (სიღნაღის მაზრა). „... ბევრს მოეხსენება, რომ მაჩხაანის სცენას საძირკველი კოლა ერისთავმა ჩაუყარა. მისის ინიციატორობით აშენდა მაჩხაანის თეატრი და დიდი ამაგიც დასდო“.[98]

საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ მშენებლობის დაწყებამდე, მომავალი თეატრის კონცეფციაში უკვე მოიაზრებოდა ბიბლიოთეკა, სამკითხველო, კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებების გამართვის შესაძლებლობა და ა.შ. სათეატრო შენობის მრავალფუნქციურობის ეს ტენდენცია XIX საუკუნის II ნახევრიდან ჩნდება ევროპაში და, შესაძლოა, იმ დროის ერთ-ერთ მახასიათებლადაც კი მივიჩნიოთ - ეს სახალხო თეატრის იდეაა. საუკუნის მიწურულს ის საქართველოშიც იკიდებს ფეხს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში.

ზოგადად, წარმატებული და მრავალმხრივი იყო სახალხო თეატრების საქმიანობა. წარმოდგენების გამართვის პარალელურად, ატარებდნენ მუსიკალურ-ლიტერატურულ საღამოებს, კონცერტებს, გამოფენებს, ლექციებს, საზოგადოებრივ გასართობებს და ყოველივე ეს ეწყობოდა სპეციალურად ამ მიზნით აგებულ „სახალხო“ თეატრებში. XIX საუკუნის ბოლოსთვის მარტო ბერლინში სამი ასეთი სახალხო თეატრია. იმავე ფუნქციის მატარებელი იყო „Toynbee Hall“-ი, ასევე, 1897 წელს გახსნილი ცნობილი „სახალხო სასახლე“ ლონდონში, „Universite-populare“ პარიზში; 1870 წელს ოდესაში გახსნილი სახალხო თეატრი, რომელმაც თავიდანვე აიღო ორიენტაცია „იაფი სპექტაკლების” გამართვაზე; მოსკოვის სახალხო თეატრი.

ამ დაწესებულებათა მთავარი ამოცანა იყო ცოდნის გავრცელება ხალხის ფართო მასებში. „მისი ზნეობის შერბილება, შესაძლებლობის მიცემა აზრიანად და ინტელიგენტურად გაატარონ დრო, დაისვენონ შრომისაგან და გაერთონ. ხელმისაწვდომი თეატრალური წარმოდგენების, მუსიკალური საღამოებისა და უამრავი სხვა გასართობების გვერდით აქ გამუდმებულად ეწყობა პოპულარული ლექციები ისტორიაში, მედიცინაში, იურიდიულ მეცნიერებებში, ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში ლიტერატურაში

[98] გაზ. „ამირანი“, №18. 1908.

და ა.შ. ლექციების გარდა მიმდინარეობს ახალი ენების, მუსიკის, სიმღერის, ბუღალტერიის, სხვადასხვა ხელობებისა და ხელოვნების შესწავლა. იწერენ წიგნებსა და ჟურნალებს, არსებობს ბიბლიოთეკები და სამკითხველოები. ეწყობა პერიოდული გამოფენები, ფუნქციონირებს ტანმოვარჯიშეთა დარბაზები, ფიზიკური ლაბორატორია, უპოვარი ბავშვებისათვის არსებობს, ასევე, დაწყებითი სკოლა და საბავშვო ბაღი, კარგად აღჭურვილი სახელოსნოები ღარიბი ხელოსნებისათვის, სამუშაო ადგილის მოსაძებნი ბიურო, სამკურნალო განყოფილება, აფთიაქი, ფერწერისა და ქანდაკების მუზეუმი, იაფი რესტორანი. თეატრებთან არსებულ პარკებში მოწყობილია ღია სცენები, თოჯინების თეატრი და სხვ. თეატრსა და პარკში შესასვლელი ხშირად სრულიად უფასოა...“[99]

1901-1909 წლებში კონსტანტინე ზუბალაშვილის ვაჟებმა - პეტრემ, ლევანმა და იაკობმა - თავიანთი ხარჯით ააშენეს სახალხო სახლი თბილისში და საჩუქრად გადასცეს დედაქალაქს (კ. ზუბალაშვილის სახელობის საქალაქო სახალხო სახლი. დღეს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი). თეატრთან ერთად ის მოიცავდა სალექციო დარბაზს, წიგნსაცავსა და სამკითხველოს (სურ. 67). კ. ზუბალაშვილის სახელობის საქალაქო სახალხო სახლი მალე იქცა თბილისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად, სადაც წარმოდგენები (დრამატული, საოპერო) 12 ენაზე იდგმებოდა. სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრიც სახალხო სახლის კონცეფციითაა აგებული, თუმცა როგორ იაზრებოდა სათეატრო ნაგებობის გეგმარებაში სხვადასხვა ფუნქციის მოცულობები, ამაზე მსჯელობა დღეს რთულია.

XIX საუკუნის 90-იან წლებში აგებული თეატრი დგას სოფელ ქვემო მაჩხაანის ცენტრში. დღეს ის სახეცვლილი არქიტექტურული ნაგებობაა. სათეატრო შენობასთან ინტეგრირებულია სოფლის სკოლა, იგი მიშენებულია თეატრის უკან, აღმოსავლეთით (სავარაუდოდ თეატრის აშენებიდან არც თუ დიდი ხნის შემდეგ). გარდა ამისა, სკოლას დაკავებული აქვს თეატრის

[99] Городской народный дом им. К.Я. Зубалова, Тифлись, Типография К.П. Козловского, 1913 г. стр. 11-12.

(მაყურებელთა დარბაზის გარშემო) ჩრდილოეთით და დასავლეთით არსებული სივრცეები. განსხვავებული სტილური გადაწყვეტის გამო, თეატრის შენობის ექსტერიერი ეკლექტურ ხასიათს ატარებს. მთავარი, დასავლეთის ფასადი, საიდანაც შენობაში შესასვლელია გამართული, კლასიკურ, აღმოსავლეთის ფასადი (მოგვიანებით მიშენებული სკოლა) კი ტრადიციული აივნიანი საცხოვრებლის (აგურისა და ხის) ტიპურ გადწყვეტას გვთავაზობს (სურ. 68).

სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრის შენობა წარმოადგენს დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ დაგრძელებული გეგმის მქონე მონუმენტურ ორსართულიან ნაგებობას. მის სწორკუთხა გეგმარებაში ჩართულია ერთიარუსიანი მაყურებელთა დარბაზი, სასცენო კოლოფი, ჩრდილოეთისა და დასავლეთის მეორე სართულის სივრცეები, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გალერეები. აღმოსავლეთიდან სკოლის მიშენების გამო, რამდენადმე დაგრძელებულია თეატრის შენობის კვადრატს მიახლოებული თავდაპირველი გეგმა (სურ. 69).

თეატრი მთავარი ფასადით ქუჩისკენაა მიმართული. შენობა ქართული აგურით, ქვითა და კირის დუღაბითაა ნაგები. შელესილია და ვარდისფრად შეღებილი. დასავლეთიდანაა მოწყობილი მთავარი შესასვლელი, წინ გაშლილი საზეიმო კიბით.

ფასადი დამუშავებულია მოდერნის სტილისთვის დამახასიათებელი ელემენტებით. აქ სარკმელთა ორი რიგია, ცენტრალურ ნაწილში - ხუთი და გვერდით ნაწილებში - ორ-ორი. დონეები გამოყოფილია სადა, ჰორიზონტალური სარტყელ-კარნიზებით. კუთხეები კი წინ წამოწეული სწორკუთხა, მასიური პილასტრებით. თეატრის შენობის ეს ნაწილი დასრულებულია აგურის დეკორატიული წყობით შექმნილი ფრონტონით და მის გაგრძელებაზე, მცირე ზომის დაბალ სვეტებს შორის ჩასმული ლითონის მსუბუქი პარაპეტით.

თეატრის მშენებლობის ამსახველ ფოტოზე კარგად ჩანს აგურით ნაგები შენობის ფასადი, შვერილ სიბრტყეთა კუთხეებში ჰორიზონტალური რუსტებით დეკორირებული ნახევარსვეტებით. დღეს, სხვადასხვა დროის გადაკეთებათა გამო, აღნიშნული დეკორი აღარ იკითხება (მინიშნების დონეზე მცირე კვეთის ჰორი-

ზონტალებითაა აღნიშნული). საარქივო ფოტოზე, ასევე, ვხედავთ კარ-სარკმელთა ფორმას და დეკორს — აგურის წყობით რადიალურად ჩასმული აგურისავე ნახევარწრიულ თავსართებს. დღეისათვის სარკმელები სწორკუთხა ფორმისაა. მათი დეკორი შელესილობის ქვეშაა მოქცეული. აქვე უნდა, აღვნიშნოთ, რომ ინტერიერში სარკმელების ღიობთა ფორმა მეტწილად შენარჩუნებულია (სრულადაა სცენის სამხრეთ კედელზე). სურ. 70.

ფასადის სიბრტყე ვერტიკალური ნახევარსვეტების გარდა, დანაწევრებულია ჰორიზონტალური, სადად პროფილირებული შვერილი სარტყელით, პირველი და მეორე სართულების დონეებზე, მეორე სართულის სარკმელთა ქვეშ და სრულდება ამავე ფორმის ორმაგი კარნიზით. თუკი სათეატრო შენობის ფასადი მთლიანად აგურითაა ნაგები, გვერდით ფასადებზე სამშენებლო მასალა იცვლება. აგურის თარაზულ რიგებს ენაცვლება კირის დუღაბით შევსებული რიყის ქვის ფართო რეგისტრები - კედლის ასეთი წყობა ტიპურია კახეთისთვის და XX საუკუნის II ნახევარშიც ფართოდ გამოიყენებოდა. ამ პრინციპითაა აგებული სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრიც.

თეატრის დასავლეთ (თეატრის ფოიე) და აღმოსავლეთ (სასცენო კოლოფი) ნაწილებს შორის მოქცეულია მაყურებელთა დარბაზი. სამივე ნაწილს დამოუკიდებელი გადახურვა აქვს (მეოთხეა - აღმოსავლეთის მხრიდან მიშენებული ორსართულიანი სკოლა). სამნაწილიანობა ექსტერიერშიცაა აქცენტირებული. კერძოდ, თეატრის შენობას ჩრდილოეთით და სამხრეთით აქვს ორსართულიანი, სწორკუთხა სვეტებზე დამყარებული, ღია გალერეები, რომელთაგან ჩრდილოეთის თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი (ასასვლელი კიბის გარდა), სამხრეთის კი გადაკეთებული.

თეატრის ჩრდილოეთ ფასადს, სასცენო კოლოფის ჩათვლით, ბოლომდე მიუყვება 6 (სავარაუდოდ 7 იქნებოდა, შეცვლილია მოგვიანებით გაკეთებული აივნიდან ჩამოსასვლელი კიბის გამო), აგურით ნაგებ, სწორკუთხა ბოძზე დამყარებული ხის აივანი (ჭერი, იატაკი, სადა, სწორკუთხა სვეტები კაპიტელებით) ხეში ჩასმული ლითონის ბადიანი მოაჯირით. სვეტების რამდენადმე ქვემოთ დასმული კაპიტელები მიუთითებს, რომ აივანი ხის ჭვირული ორნამენტით იყო შემკული.

გალერეის პირველ სართულზე შემორჩენლია აგურის იატაკის ფრაგმენტები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია იატაკის აღდგენა არა მარტო ჩრდილოეთ, არამედ სამხრეთ გალერეაშიც.

ჩრდილოეთ გალერეის აგურის ოთხკუთხა სვეტები დღეს მთლიანად შელესილია (ბაზისებიც). მსგავსი ფორმის სვეტებია სამხრეთ გალერეაშიც, მაგრამ ისინი უკვე ბეტონისგანაა ჩამოსხმული. გალერეა აქ საგრძნობლადაა დამოკლებული (4 სვეტს ეფუძნება). მთლიანად შეცვლილია აივანი - იატაკი, მოაჯირები, ასასვლელი კიბე (სავარაუდოდ, ბოლო პერიოდის გადაკეთების შედეგი). სართულების გამყოფ დონეზე შემორჩენილია კედელში ჩაჭრილი ხის ძელების ნაშთები - ზუსტი მითითება აივნის სიმაღლესა და სიგრძეზე.

ჩრდილოეთ და სამხრეთ გალერეები შეღებილი იყო. აქაც ნათლად იკითხება სხვადასხვა პერიოდის შეფერილობის კვალი - ვარდისფერი, ცისფერი, ღია ყავისფერი (ოქრა). ვინაიდან თეატრის შენობაში გადმოსული სკოლა პერიოდულად არემონტებდა შენობას, დასადგენია თავდაპირველი შეფერილობა. სავარაუდოდ, ეს ვარდისფერი უნდა ყოფილიყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თეატრის შენობას აღმოსავლეთის მხრიდან მიაშენეს სკოლის ორსართულიანი ნაგებობა, რომელიც ზედმიწევნით იმეორებს არა მხოლოდ თეატრის შენობის კედლის წყობას (აგურისა და კირის დუღაბით შევსებულ-შელესილი ქვის რეგისტრების მონაცვლეობით), არამედ აგურის წახნაგოვანი სვეტების ფორმას ოთხკუთხა ბაზისებით, აივანს, ფანჯრების ფორმას დეკორით.

სკოლის მიშენების დროს, აშკარაა, სათეატრო ნაგებობის არქიტექტურული ფორმების და ერთიანი მხატვარული სახის შენარჩუნების მცდელობა. მინაშენიც სამმხრივი აივნით იყო გარშემორტყმული, რაზეც სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში შემორჩენილი, კოჭებისთვის განკუთვნილი ბუდეები მეტყველებს. თუმცა, აივნის დონე აქ ბევრად მაღალია, ვიდრე თეატრის გალერეათა აივნების სიმაღლე.

თეატრის შენობაში კარ-სარკმელთა ნაწილი ავთენტურია. ეს არის ხის ორფრთიანი კარი, სადა გეომეტრიული დეკორით და სარკმლის ხის ჩარჩოები, მოდერნისთვის დამახასიათებელი ტალ-

ღისებური ფორმის მამკობი დეტალებით.

თეატრის დასავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილების პირველი და მეორე სართულის სივრცეები ამჟამად მეტადაა დანაწევრებული, ვიდრე თავდაპირველად იქნებოდა. კერძოდ, ჩრდილოეთ ნაწილში არსებული სამი დარბაზის ნაცვლად, იყო ორი. იდენტური სურათია ჩრდილოეთ გალერეის მეორე სართულზე. თეატრის შენობას, ჩრდილოეთ მხარეს, მთელ სიგრძეზე (სასცენო კოლოფი, მაყურებელთა დარბაზი ფოიემდე) ორივე სართულზე განთავსებული დარბაზები აქვს, სადაც მოხვედრა ჩრდილოეთ გალერეიდანაა შესაძლებელი (როგორც პირველ, ასევე მეორე სართულზე). იგივე სურათი არ მეორდება შენობის სამხრეთ მხარეს. აქ მხოლოდ გალერეაა - დღეს უკვე სრულად გამოცვლილი.

თეატრის გეგმარებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამხრეთ გალერეა, ჩრდილოეთის მსგავსად, მთლიანად გაუყვებოდა შენობის სამხრეთ ფასადს. შეცვლილი უნდა იყოს სვეტების განლაგებაც (ჩრდილოეთ ნაწილში ისინი შენობის დასავლეთ ნაწილის (ფოიე) ღერძს სცილდება. ასევე იქნებოდა, სამხრეთ გალერეაშიც. ამიტომ სიგრძის გარდა, არსებულზე უფრო განიერი იქნებოდა სამხრეთ გალერეა და, ჩრდილოეთის მსგავსად, შენობის ფასადის სიბრტყიდან წინ გამოსული.

სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებულ თეატრის შენობის ამსახველ ერთადერთ საარქივო ფოტოზე,[100] რომელიც სოფელ ქვემო მაჩხაანში, ტატაშვილების ოჯახშია დაცული, სათეატრო შენობა მხოლოდ ნაწილობრივ იკითხება.

ექსტერიერისგან განსხვავებული სურათია თეატრის ინტერიერში. იგი მოიცავს ფოიეს, ორ მხარეს განლაგებული სათავსებით (ამჟამად, ჩრდილოეთ ნაწილში, კულტურის სახლის ადმინისტრაციაა, სამხრეთში — სკოლის ბიბლიოთეკა), სათეატრო დარბაზს, სცენას კულისებით (მხოლოდ ერთ მხარეს, ჩრდილოეთით) და საორკესტრო ორმოს. მეორე სართულის დონეზე,

[100] მუყაოს ჩარჩოზე, რომელშიც ფოტოა ჩასმული, მითითებულია ფოტოგრაფის ვინაობა: „ФОТОГРАФЬ С.С. ЛУАРСАБОВЬ... вь Тифлисе“ („ფოტოგრაფი ს.ს. ლუარსაბოვი... ტიფლისი“). სს. ლუარსაბოვი თბილისელი ფოტოგრაფი - სოლომონ ლუარსაბიშვილია.

დაგრძელებული ოვალის ფორმის იარუსს გარშემო განლაგებული სკამებით. თეატრის შენობა ორივე სართულზე აღჭურვილია კედლებში ჩაშენებული ღუმელებით, რომლებიც მაყურებელთა დარბაზის გარდა მის მომიჯნავე სივრცეებშიც გადის და მთლიანად უზრუნველყოფდა ნაგებობის გათბობას (სურ. 71).

თეატრში შესვლისას თავდაპირველად ვხვდებით ფოიეში, საიდანაც გასასვლელებია გვერდით სივრცეებში (ადმინისტრაცია და სკოლის ბიბლიოთეკა). აქედან შევდივართ სწორკუთხა ფორმის ერთიარუსიან მაყურებელთა დარბაზში, რომელსაც პირველი სართულის დონეზე რამდენიმე კარი აქვს დასავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. სასცენო კოლოფსა და მაყურებელთა დარბაზს შორის ღრმა საორკესტრო ორმოა, ორსავ მხარეს ბენუარის ლოჟით. უშუალოდ ეზოდანაა შესასვლელი სცენაზეც, სამხრეთიდან (თავდაპირველად ექსტერიერის ეს ნაწილიც სამხრეთის ღია გალერეის სტრუქტურაში იქნებოდა მოქცეული მსგავსად ჩრდილოეთისა, რომელიც პირველისგან განსხვავებით, თითქმის თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი) და კულისებში, ჩრდილოეთის მხრიდან. აღსანიშნავია, რომ შესასვლელ-გასასვლელების სისტემა კარგადაა ორგანიზებული საევაკუაციო თვალსაზრისითაც (სურ. 69).

დამოუკიდებელი შესასვლელებია მაყურებელთა დარბაზის იარუსზე. ისინი გალერეის მეორე სართულზე სამივე მხრიდანაა მოწყობილი (არსებული მდგომარეობით: ორი - სამხრეთიდან, ერთი - დასავლეთიდან, ერთი - ჩრდილოეთიდან). განსხვავებით პირველი სართულისაგან, იარუსზე შესასვლელები და სარკმელები დღეს სახეცვლილია და არ ასახავს თავდაპირველ სურათს. კერძოდ, სამხრეთიდან ორი კარი და ორი სარკმელია, ასევე, დასავლეთის კედელში გაჭრილი ერთი კარი და ღუმელი (როგორც ყველა ღუმელი ჩასმულია კარის ღიობის ფორმის ცრუ თაღში) და ჩრდილოეთით ერთი კარი და ღუმელი (სურ. 69).

მაყურებელთა დარბაზის კედლები შელესილია. ჩრდილოეთ კედლის დასავლეთ ნაწილში დაზიანების შედეგად იკითხება აგურის დეკორატიული თაღის ფრაგმენტი, რითაც გაფორმებული იყო სათეატრო შენობის კარ-სარკმელები. გარდა ამისა, უხეში

გადაკეთების შედეგია იარუსის მოაჯირის მოულოდნელი „დასრულება“ ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთ ნაწილში. ორივე მხრიდან ის სცენის კედლამდე იქნებოდა მიყვანილი, სხვაგვარად სრულიად გაუგებარია იარუსზე შემავალი კარის ფუნქცია. ამასთან, იარუსის დონეზე მცირედ შვერილი კედელი ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე დღემდეა შემორჩენილი. იარუსის ჩრდილოეთ კედელზე, სავარაუდოდ, ერთი კარისა და ღუმელის გარდა, კიდევ უნდა ყოფილიყო სარკმელები ან ერთი კარი და ერთი სარკმელი. ნალესობის მოხსნა ამ კედელზე გამოავლენს ღიობების თავდაპირველ განლაგებას და რაოდენობას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თეატრი დღის განათებას იყენებდა, რომლის წყაროც მეორე სართულის იარუსის კედლებში გაჭრილი სარკმლებია. ამიტომ მხოლოდ ერთი კედლის გამოყენება ალოგიკურია როგორც ფუნქციური, ისე არქიტექტურული გადაწყვეტის მხრივ, თუმცა არა გამორიცხული. განათების მხრივ ასეთივე სურათი იყო ქვემო მაჩხაანის თეატრის თანადროულ კ. ზუბალაშვილის სახელობის საქალაქო სახალხო სახლშიც (თბილისი), რომელთანაც მსგავსება შინაარსობრივ დატვირთვასთან ერთად, არქიტექტურული თვალსაზრისითაც იკვეთება. კ. ზუბალაშვილის სახელობის საქალაქო სახალხო სახლს თავდაპირველად ხელოვნური განათება არ ჰქონდა და ბუნებრივი შუქით ნათდებოდა, რის გამოც სპექტაკლები მხოლოდ დღის განმავლობაში იმართებოდა. მისი სწორკუთხა ფორმის 630 მაყურებელზე გათვლილი დარბაზი, ქვემო მაჩხაანის თეატრის მსგავსად, შედგებოდა პარტერის სართულისა და იარუსისგან. თუმცა ტევადობით ბევრად აღემატებოდა. აღსანიშნავია, რომ ამგვარი წესი მცირე მოცულობის სათეატრო სივრცეთა გადაწყვეტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო (სურ. 72).

თეატრის მაყურებელთა დარბაზის მოცულობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის პერიოდულ პრესაში დაცული და სხვადასხვა მოვლენების ამსახველი სტატიები. ასე მაგალითად: „... საზოგადო რიცხვი დამსწრეთა აღემატებოდა 300 კაცს. გული სიხარულით აღმევსო, როდესაც დავინახე უზარმაზარი, ახლად გამართული თ. ნ. დ. ერისთავის ხარჯით და თაოსნო-

ბით, სათეატრო აივან-ზალა მთლად გაჭედილი, აქ მოგროვილი ხალხით“.[101]

დღევანდელი მდგომარეობით ქვემო მაჩხაანის სათეატრო დარბაზი 300-მდე მაყურებელს იტევს: პარტერში - 186, იარუსზე - 100. პარტერში ორ ნაწილად განლაგებული შვიდსკამინი 13 რიგია, რაც ჯამში 182 ადგილს მოიცავს, ამას ემატება ბენუარის ლოჟების 2-2 ადგილი, სულ - 186. დღეს არსებული მოდერნის სტილის ხის სკამები ნაგებობის თანადროულია (სურ. 73). მათ თითქმის დაუზიანებლად მოაღწიეს ჩვენამდე. გადაკეთებული და რაოდენობრივად გაზრდილია იარუსის სკამები. თავდაპირველად ისინი შედარებით მცირე რაოდენობის მაყურებელზე იყო გათვლილი. დაახლოებით 60-მდე, ერთ რიგად განლაგებული, სკამით. მთლიანობაში ქვემო მაჩხაანის თეატრი, სავარაუდოდ, 250 მაყურებელს დაიტევდა.

იარუსის მეორე რიგის გრძივი სკამები პირდაპირ მიბჯენილია კედლებს, ნაწილობრივ ფარავს სარკმლებს, კარებს, ღიობებს, ღუმელებს. მანძილი რიგებს შორის ძალზე მცირეა და მოუხერხებელი. ცხადია, ეს გვიანდელი გადაკეთების შედეგია (სურ. 74).

სახეცვლილია მაყურებელთა დარბაზის ჭერი. დღევანდელი სახე მას სავარაუდოდ 1990-იან წლებში მიეცა (ხის გადახურვაზე დაკრულია პლასტმასის ყავისფერი შტამპური პანელები). სადა, შეზნექილი კარნიზი ასრულებს მაყურებელთა დარბაზის კედლებს და გადადის ჭერზე, რომელიც თავის დროზე მოხატული იყო. ამას ადასტურებს გოგი მოსულიშვილი, რომელიც XX საუკუნის 60-იან წლებში ქვემო მაჩხაანის თეატრში მოქმედი კლუბის ხელმძღვანელი იყო. მისივე ინფორმაციით თეატრის მოხატული ჭერი გასული საუკუნის 90-იან წლებშია შეცვლილი. არაერთგზისაა გადაღებილი სათეატრო დარბაზის კედლებიც. თეთრი შელესილობიდან ვარდისფრად გამოსჭვივის ტერაკოტისფერი მოხატულობის კვალი (ასევე, ლაჟვარდისფერი, მწვანე, ვარდისფერი ტონები). მაყურებელთა დარბაზში, პირველი სართულის კედლების შუაწელზე, იარუსის კედლებზე, ასევე, სცენის შუბლზე და მის გვერდის კედლებზე, შეუიარაღებელი

[101] გაზ. „ივერია“, №158. 1899.

თვალით დღესაც იკითხება საღებავის კვალი, რომელიც ინტერიერს მთელს პერიმეტრზე მიუყვება. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ მაყურებელთა დარბაზი მოხატული იყო. შესაძლოა, ფრიზის სახით იარუსზე (კარნიზიდან ვიდრე ვიზუალურად აღქმად ვარდისფერ რეგისტრამდე) ან/და ზუბალაშვილების საქალაქო სახალხო სახლის მაყურებელთა დარბაზის მსგავსად, კედლის ქვედა ნაწილში.

თეატრის სცენა სიგანეში მაყურებელთა დარბაზის თითქმის ნახევარს უტოლდება, სამხრეთ კედელში გაჭრილი კარით და მეორე სართულის დონეზე ერთი სარკმლით. სცენის უკანა კედელი ყრუა. ჩრდილოეთ ნაწილში კი კულისებია, შესასვლელით ჩრდილოეთის მხრიდან. სცენის კედლების ზედა მონაკვეთები შეულესავაია და კარგად იკითხება მისი წყობა - აგურისა და კირხსნარით შევსებული ქვის მონაცვლე რეგისტრები, როგორც ეს ექსტერიერშია. შეცვლილია სცენის ხის იატაკი და აღარ არსებობს სუფლიორის ჯიხური. თუმცა შემორჩენილია დეკორაციათა ცვლისთვის გამიზნული ხის ძველი კონსტრუქციები სპეციალური ლითონის სამაგრებით, რომლებიც დღესაც მოქმედია (სურ. 75).

სავარაუდოდ, სკოლის მიშენების გამო, ამოშენებულია კულისებში არსებული სარკმლები (შემორჩენილია სარკმელთა ჩარჩოები და რაფები). ჭერი ბრტყელია, შეფიცრული და მაყურებელთა დარბაზის მსგავსად, დაფარულია პლასტმასის შტამპური პანელებით. იატაკი ხისაა, გემბანური წყობის. ერთ-ერთი რემონტის დროს, კულისები მუქ მწვანედ შეუღებავთ, ისევე როგორც იარუსის ხის სავარძლები და დასაჯდომი რიგები.

სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრში მბრუნავი სცენის არსებობის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ზეპირი ხასიათისაა (ასევე, მოგვიანებით მისი თბილისში, მარჯანიშვილის თეატრში გადატანის შესახებ). თეატრში მბრუნავი სცენის არსებობას ადასტურებს 1960-იან წლებში ქვემო მაჩხაანის კლუბის ხელმძღვანელი გოგი მოსულიშვილი (სურ. 76).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამჟამად, სცენის იატაკი გამოცვლილია. მის ქვეშ არსებული კრონშტეინი კი გვიანდელი (გამოყენებულია სცენის გასამაგრებლად). სცენის ქვეშ სივრცის დიდი

ნაწილი მიწაშია, რის გამოც მბრუნავი სცენის კონსტრუქციისთვის სივრცე ძალზე შეზღუდულია. მისი კვალი არ იკითხება.

მბრუნავი კონსტრუქციით აღჭურვილი სცენა მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური სიახლე იყო ქვემო მაჩხაანში თეატრის აგების დროისათვის. ის შესვენებების გარეშე დეკორაციების სწრაფად შეცვლის და ანტრაქტების შემცირების საშუალებას იძლეოდა. „არტისტული საზოგადოების“ თეატრის შესახებ ერთ-ერთი საგაზეთო სტატიის ავტორი აცხადებდა, რომ „რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მთელს რუსეთში დღემდე ასეთი სცენით მხოლოდ ერთი თეატრი არსებობს – ეს არის მოსკოვის მცირე თეატრი ე.ი. ჩვენი... თეატრი ამ მხრივ რიგით მეორე იქნება“.[102]

მბრუნავი სცენის ისტორია კი სულ რამდენიმე წელს ითვლიდა. ის ცნობილმა თეატრალურმა მექანიკოსმა კარლ ლაუტენშლეგერმა გამოიგონა და პირველად 1896 წელს მიუნხენის რეზიდენც-თეატრში გამოიყენა. რუსეთში მცირე თეატრის გარდა, მბრუნავი სცენა სამხატვრო თეატრშიც იყო. სულ რაღაც ორ წელიწადში თბილისში, „არტისტული საზოგადოების“ ანუ რუსთაველის თეატრშიც გააკეთეს (1898-1901). თუკი მბრუნავი სცენა (ბევრად მცირე მასშტაბის) ჰქონდა ამავე პერიოდში აგებულ სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრსაც (სხვაგვარად რთული ასახსნელია მეხსიერებაში დალექილი ინფორმაცია ასეთი სცენის არსებობის შესახებ), ამით ქვემო მაჩხაანის თეატრი დედაქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო თეატრის გვერდით დგას და უფრო ფართო კონტექსტში კი იმ ერთეულ თეატრებს შორის ევროპის მასშტაბით, სადაც უახლესი ტექნოლოგიებია გამოყენებული.

თეატრის სცენას XX საუკუნეში შესრულებული ორი ფარდა ამშვენებს. ერთი ზაჰესის ჰიდროელექტროსადგურის და ლენინის ქანდაკების გამოსახულებით, რომელიც სასცენო თაღს ფარავს და მეორე - ტყის ფერწერული გამოსახულებით - სცენის სიღრმეში (სურ. 76, 77).

ზაჰესის (პირველი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში) ინდუსტრიული პეიზაჟის ფონზე, ცენტრში, მოცემულია საბჭოთა ბელადის - ვ. ლენინის ქანდაკება. სოციალისტური რეალიზმის

[102] მირიანაშვილი მ., მუშკუდიანი ქ., რუსთაველის თეატრის შენობა, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, 1987, №3, გვ. 65.

სტილში შესრულებულ კომპოზიციას (ტილო, ზეთი) უკანა მხრიდან აქვს ბეჭდურად დატანილი მინაწერი რუსულ ენაზე: „Д. Нагебов Художн. ДЕКОРАТОР Тифл.“ (დ. ნაგებოვ მხატვ. დეკორატორი ტფილ.“) ქვემოთ ხელით შესრულებული წარწერით: „Театр Руставели УЛ. КАШЕНА №3“ („რუსთაველის თეატრი, კაშენის ქ. №3“ - დღ. აბო თბილელის ქუჩა თბილისში). სურ. 77.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო, სადაც 1927 წელს დაიდგა კომუნისტური იდეოლოგიის ბელადის ვ. ლენინის ქანდაკება (მოქანდაკე ი. შადრი. ქანდაკება დღეს აღარ არსებობს).

რეალისტურ მანერაშია შესრულებული მეორე ფარდა, პერსპექტივაში გადმოცემული ტყის პეიზაჟით, რაც ილუზორულად ზრდის სცენის სიღრმის შთაბეჭდილებას.

თეატრის ფარდასთან დაკავშირებით საგულისხმო ინფორმაციაა გამოქვეყნებული 1899 წლის გაზეთში „ივერია“ (№154). მასში მოთხრობილია ფოტოგრაფ ვასილ როინაშვილზე, რომელიც 1899 წელს ჩასულა სოფ. ქვემო მაჩხაანში ძეგლებისა და სიძველეების გადასაღებად. „...ბ-ნ ვ. როინაშვილს განუზრახავს შემოიაროს საქართველოს კუთხეები და გადაიღოს ღირს სამახსოვრო ისტორიული ნანგრევები და ციხე-კოშკ ტაძარნი, ამ აზრით ვ. როინაშვილი ქვემო მაჩხაანის ინტელიგენციასთან ერთად იყო ჭოეთის სალა-ტინის, მაღალ-ციცაბო მთაში, სადაც გადაიღო ჯერ არავისგან გადაღებული, დიდად შესანიშნავი ციხეები თამარ მეფისა და სხვა ტაძარნი. ვ. როინაშვილი უხატავს უსასყიდლოდ მაჩხაანის სახალხო თეატრის სცენას მშვენიერს ფარდას ქიზიყის ცხოვრებიდამ აღებული სურათებით. სულით და გულით ვისურვებთ რომ აწ განსვენებულ ა.ს. როინაშვილის აღზრდილს ვ. როინაშვილს ასცხადებოდეს ყველა ის კეთილი განზრახვა რომელნიც ჩვენ მოვისმინეთ მისგან“.

სტატიიდან ჩანს, რომ როინაშვილი არა მარტო დაპირდა თეატრისთვის ფარდის მოხატვას, არამედ თითქოს დაწყებულიც აქვს. „...უხატავს უსასყიდლოდ მაჩხაანის სახალხო თეატრის სცენას მშვენიერს ფარდას...“. რაც შეეხება ვასილ როინაშვილს, 1898 წლის მაისში ალექსანდრე როინაშვილის ნაადრევმა სიკვდილმა

ახალდაზრდა ვასილს სწავლა შეაწყვეტინა (ერთ წელი მან პეტერბურგში გაატარა, სადაც სწავლობდა სამხატვრო აკადემიის მოსამზადებელ კურსებზე). ის დაბრუნდა თბილისში. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ, რომელმაც ფოტოატელიე ანდერძით მიიღო, ვასილი მმართველად დანიშნა და საქმის გაგრძელება დაავალა. ერთი წლის მუშაობის შემდეგ, ვ. როინაშვილმა დატოვა ფოტოატელიე და თბილისიც. ცოტა ხანს იგი სიღნაღში მუშაობდა, რომელიც ქვემო მაჩხაანიდან სულ რაღაც 16 კმ-შია. ჩვენ არ ვიცით შეასრულა თუ არა დანაპირები ვასილ როინაშვილმა, 1902 წელს იგი შუა აზიაში, ბუხარაში გაემგზავრა. თუკი მან მართლაც დახატა ფარდა ქვემო მაჩხაანის თეატრისთვის - ეს 1899-1902 წლებს შორის უნდა მომხდარიყო.

სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრის ფარდაზე ინფორმაცია პრესაში კვლავ ჩნდება 1908 წელს. „ს. ქვემო-მაჩხაანში ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს დ. ერისთავის პიესა „სამშობლო“. ვინ მოიფიქრებდა, რომ ასეთ რთულ პიესას მაჩხაანის სცენაზედ დასდგამდნენ, მაგრამ სცენის მოყვარეებმა ყოველსავე დაბრკოლება დასძლიეს... წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც დარბაზში შეველ. პირველად ჩემი ყურადღება თეატრის ფარდამ მიიპყრო. ფარდაზე დახატულია ქართველი ქალი და ხელთ ანთებული მაშხალა უჭირავს, რომელიც ირგვლივ სხივებსა ჰფენს. შორს მოსჩანს კავკასიონის მთები. მთების დაბლა დიდი ტყე და ტყის გვერდით ალაზანი. წინ კი თამარ დედოფლის ციხეა აღმართული. აიხადა ფარდა და გამოჩნდა მოედანი. დეკორაციები კარგად მოეწყოთ რამდენადაც ეს სოფელშია შესაძლებელი. თვით მოთამაშენიც კარგად თამაშობდნენ...“[103]

არის თუ არა სტატიაში აღწერილი ფარდა ვასილ როინაშვილის დახატული, ძნელი სათქმელია. ფარდაზე გამოსახული „თამარ დედოფლის ციხე“ ძალაუნებურად გვახსენებს მის ქვემო მაჩხაანში ჩასვლას, „..სადაც გადაიღო ჯერ არავისგან გადაღებული, დიდად შესანიშნავი ციხეები თამარ მეფისა და სხვა ტაძარნი“.

სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ინფორმაცია არქიტექტორზე

[103] გაზ. „ამირანი“, №18, 1908.

და თეატრის პროექტისთვის გამოცხადებულ კონკურსზე, რაც გავრცელებული პრაქტიკა იყო უკვე იმ დროისათვის. თბილისის თეატრების უმეტესობა სწორედ არქიტექტურულ კონკურსებში გამარჯვებული პროექტებით აშენდა. ხელთ არც ქვემო მაჩხაანის თეატრის პროექტი გვაქვს. ერთი კი ცხადია, ის დაპროექტებულია სათეატრო არქიტექტურის სპეციფიკის მცოდნე არქიტექტორის მიერ.

საგულისხმო ინფორმაციას ვეცნობით 1894 წლის გაზეთში ,,ივერია" (№171): ,,ქვემო-მაჩხაანი. აქ იყო კრება შემდგარი ქვემო-ქიზიყის მღვდლებისა, მასწავლებლებისა და ოჯახიშვილებისგან სახალხო დეპო-ბანკის პროექტის განსახილველად. პროექტის განხილვის შემდეგ კრებამ აღმოირჩია დეპო-ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ დ. ნადირაძე და წევრებად: მასწავლებელი დ. ჯავაშვილი, პროვიზორი ს. კურცხალია და ვაჭარი ი. მატიაშვილი; რევიზიის წევრებად: .... გამგეობა უკვე შეუდგა სხვადასხვა თადარიგს და იმედი აქვს მომავალ წელს დააწყებინოს დეპო-ბანკის მოქმედება ს. ქვემო-მაჩხაანში". გაზეთში დაბეჭდილი ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია იმის საილუსტრაციოდ, რომ ახალი დაწესებულებების პროექტებს საზოგადოება ეცნობა და განიხილავს. ასეა სავაჭრო დეპოს და, ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ ასევე იქნებოდა თეატრის შემთხვევაშიც. პროექტის განხილვიდან რამდენიმე თვეში სავაჭრო დეპოს შენობა უკვე აგებულია.

სოფ. ქვემო მაჩხაანში თეატრის აშენებიდან რამდენიმე წელიწადში, 1904 წელს, მისი შეკეთების საკითხი დამდგარა. დაზიანებულა კედლები და ჭერი. სარემონტო სამუშაოები კერძო პირის მიერ დაფინანსდა და მისივე მცდელობით განახლებულა თეატრის ფუნქციონირება. 1904 წლის 19 ივლისის გაზეთი ,,ცნობის ფურცელი" (№2558) საზოგადოებას ატყობინებს: ,,თითქმის ხუთი წელიწადია, რაც ჩვენ სოფელში თეატრი დაარსდა ბოქაულის თავად ერისთვის მეცადინეობით. თვითონ შენობა ვერ აღმოჩნდა მკვიდრი - ერთი კედელი გასკდა და ჭერი სრულებით ჩამოწვა. ამ ერთი თვის წინად ჩვენი თეატრი სამწუხარო სურათს წარმოადგენდა - ნანგრევის მეტს ვერას ნახავდით. ჩვენთა საბედნიეროდ, ბ-ნმა ვ.ა. ნასიძემ იკისრა თეატრის საქმე, თავის საკუთარის ხარჯით გაგვიკეთა სცენა, შეადგინა მოყვარეთა დასი

ადგილობრივ მასწავლებლებისგან და წარმოადგენა გაგვიმართა; წარმოდგენილი იქმნა „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“ ვ. გუნიასი. პიესამ რიგიანად ჩაიარა.“

თეატრის მუშაობა, როგორც ჩანს, არ ატარებდა სისტემატურ ხასიათს. ეს ბუნებრივიცაა, პერიოდულად თამაშობენ სცენისმოყვარეები. ასევე, პერიოდულად მართავენ წარმოდგენებს ჩამოსული არტისტები. „ჩვენ სოფელს ერთადერთი სასცენო შენობა ჰქონდა, სადაც ზაფხულობით ახალგაზრდობა წარმოდგენებს მართავდა. ბოქაული ვ. ვაჩნაძის მეოხებით ეს სახლი ბოსლათ აქციეს და წარმოდგენების ნაცვლად შიგ დრაგუნების ცხენები ხვიხვინებენ“, - წერს 1907 წელს გაზეთი „ლახვარი“ (№18).

თეატრის შენობის განახლების საკითხი მომდევნო წლებშიც აქტუალურია. საზოგადოება კვლავ ცდილობს თანხის შეგროვებას შენობის შეკეთებისა და სცენის გასაუმჯობესებლად. „ბევრს მოეხსენება, რომ მაჩხაანის სცენას საძირკველი კოლა ერისთავმა ჩაუყარა. მისის ინიციატორობით აშენდა მაჩხაანის თეატრი და დიდი ამაგიც დასდო. მაგრამ განვლო წელიწადებმა და თითქმის თეატრისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ნელ-ნელა ინგრეოდა იგი. ათასში ერთხელ თუ დასდგამდნენ ვოდევილს, გადიოდა წელიწადები და კანტი-კუნტად იდგმებოდა წარმოდგენები, მაგრამ სცენას არაფერი ემატებოდა. ამ ბოლო დროს გამოჩენილან მოამაგენი და სცენის განახლებას შესდგომიან. ამ საქმეს ინიციატორობენ ა. შ-ლი, რ. მენთეშაშვილი და ნიკა კობიაშვილი. 28 თიბათვეს წარმოდგენა ს. ქვემო მაჩხაანში სცენის სასარგებლოდ იყო დანიშნული... 140 მანეთამდე იქმნებოდა შემოსავალი, რომელიც გადაიდო სცენის გასაუმჯობესებლად. იმედია, ახალგაზრდობა კვლავაც დასდგამს წარმოდგენებს, ქიზიყის საზოგადოება მადლობელს დარჩება“.[104]

ამდენად, 1908 წლისთვის, როცა თეატრის შენობას უკვე ათწლიანი ისტორია აქვს, მაჩხაანის თეატრი საჭიროებს განახლებას. ამ მიზნით, საქველმოქმედო წარმოდგენაც იდგმება და თანხაც გროვდება. როგორც ჩანს, არც თუ უშედეგოდ, ვინაიდან 1910 წელს სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრში შედგა მომავალში ცნობილი რეჟისორის, ქართული თეატრის რეფორმატორის და

[104] გაზ. „ამირანი“, №18, 1908.

ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ს. ახმეტელის სარეჟისორო დებიუტი. 1910 წლის 5 სექტემბრის „თეატრი და ცხოვრება“ (№35) წერს: „სოფ. მაჩხაანი (სიღნაღის მაზრა). 30 მკათ. ადგილობრივ სცენისმოყვარეთა ა. ახმეტელაშვილის რეჟისორობით წარმოადგინეს ა. სუმბათაშვილის „ღალატი“. პიესისთვის სულ ახალი ტანისამოსი და დეკორაციები მოამზადეს. მთელი ორი თვე ემზადებოდნენ და პიესამაც შესანიშნავად ჩაიარა. ...წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დიდძალ დამსწრე საზოგადოებაზე“.

სოფელ ქვემო მაჩხაანში 1897-1899 წლებში ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივითა და დაფინანსებით აგებული დახურული ტიპის სათეატრო ნაგებობა, პერსპექტიული სცენა-კოლოფით და 250 მაყურებელზე გათვლილი სწორკუთხა იარუსული დარბაზით, თავდაპირველი სახით შემორჩენილი თანადროული ავეჯითა და იმდროინდელი სასცენო კონსტრუქციით – ერთ-ერთი უძველესი სათეატრო ნაგებობაა საქართველოში. ამიტომ მისი მნიშვნელოვნება სცილდება მხოლოდ ერთი სოფლის ან კუთხის ისტორიას და XIX საუკუნის საქართველოს კულტურული ცხოვრების კონტექსტში გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებს. (სურ. 69, 78).



65. თეატრი სოფელ ქვემო მაჩხაანში




66. სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრის რეაბილიტაციის პროექტი, 2018, ააიპ „ინჟინრული აზრი“.









67. კ. ზუბალაშვილის სახელობის საქალაქო სახალხო სახლი



68. თეატრი სოფელ ქვემო მაჩხაანში



69. სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრის გეგმა, 2018, ააიპ ,,ინჟინრული აზრი“



I სართულის გეგმა



II სართულის გეგმა



70. თეატრის მშენებლობა სოფ. ქვემო მაჩხაანში, XIX ს. ბოლო





71. სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრის მაყურებელთა დარბაზი



72. კ. ზუბალაშვილის სახელობის საქალაქო სახალხო სახლის მაყურებელთა დარბაზი



73. სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრის მაყურებელთა დარბაზი




74. სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრის იარუსი




75. სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრის სცენის კონსტრუქცია



76. სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრის სცენა და ფარდა



77. სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრის ფარდა



78. სოფ. ქვემო მაჩხაანის თეატრის რეაბილიტაციის პროექტი, 2018, ააიპ „ინჟინრული აზრი“.

XIX საუკუნის II ნახევარში თბილისსა და ქვეყნის პროვინციებში აგებული ოთხი სათეატრო ნაგებობიდან სამი – თბილისის საზაფხულო თეატრი (1870), ბორჯომის საზაფხულო თეატრი (1895) და სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრი (1878) - დღეს აღარ არსებობს. განხილული ნიმუშებიდან შემორჩენილია მხოლოდ სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრის შენობა (1897). საარქივო მასალებზე დაყრდნობით ჩვენ შევეცადეთ მათი არქიტექტურული სახისა და ისტორიის „აღდგენას“. რიგ შემთხვევაში ეს ეხებოდა სათეატრო ნაგებობის ადგილმდებარეობის, მშენებლობის ქრონოლოგიის, სხვადასხვა დროის რეკონსტრუქციისა თუ არქიტექტორთა ვინაობის დაზუსტება-დადგენას. წინამდებარე კვლევა ათვალსაჩინოებს, რომ XIX საუკუნის საქართველოში დედაქალაქის კვალდაკვალ, სადაც დროის ნახევარსაუკუნოვან მონაკვეთში ექვსი სათეატრო შენობა ფუნქციონირებდა (მანეჟის, ქარვასლის, საზაფხულო, სათავადაზნაურო, სახაზინო (ოპერის), „არტისტული საზოგადოების“), საინტერესო სურათი იკვეთება პერიფერიებშიც. „არ არის ქალაქი, რომ გარკვეული თეატრალური ცხოვრება არ იყოს. წარმოდგენები იმართება ზესტაფონის, ბორჯომის, სიღნაღის, ხონის, სენაკის და სხვა ქალაქებში“. ამ ტენდენციაზე ისიც მეტყველებს, რომ XIX საუკუნის 80-იან წლებში თეატრები შენდება ქუთაისში (დაიწვა 1894 წ.), ბათუმში (1884 წელს აიგო ხის საოჯახო სათეატრო შენობა; 1888 წელს თეატრი ანანევის სახლში, 600 მაყურებელზე გათვლილი დარბაზით), 90-იან წლებში თეატრი გაიხსნა ოზურგეთში, 1900 წელს - ჭიათურაში. არცერთ ამ ნაგებობას ჩვენამდე არ მოუღწევია“.[105] ცხადია, ასეთი სიმრავლე თეატრისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე, სათეატრო ცხოვრების მნიშვნელობაზე და, ამავდროულად, საზოგადოებრივ-კულტურული განვითარების დონეზეც მეტყველებს.

განხილული ყველა სათეატრო ნაგებობა ევროპიდან შემოსული იარუსული ტიპის დახურული თეატრია ღრმა სცენა-კოლოფით და იმ ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სიახლეთა გათვალისწინებით, რომლებიც აღნიშნული პერიოდის სათეატრო არქ-

[105] კიკნაძე ვ., ქართული დრამატული თეატრის ისტორია, I ტ., თბ., 2001, გვ. 653-689, 694.

იტექტურაში არსებობდა. ასეთია, ნალისებური, ოპტიკური და აკუსტიკური თვალსაზრისით საუკეთესო ფორმა სხვადასხვა ვარიაციით გამოყენებული ქარვასლის თეატრში, სათავადაზნაურო სააღგილმამულო ბანკის თეატრში; მცირე დარბაზისთვის ოპტიმალური სწორკუთხა ფორმის ორდონიანი თეატრალური სივრცით სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრში. უახლესი ტექნოლოგიების ცოდნა-გამოყენებაზე მიუთითებს „არტისტული საზოგადოების" თეატრისა და, სავარაუდოდ, ქვემო მაჩხაანის თეატრის სცენებზე დეკორაციათა სწრაფი ცვლისთვის გამიზნული მრუნავი წრე. ეს სათეატრო ნაგებობები ნათლად ასახავს ეპოქის ძირითად ტენდენციებს. XIX საუკუნის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი სტილური ეკლექტიზმი მკაფიოდ მჟღავნდება სათეატრო ნაგებობათა პროექტებშიც. საუკუნის მეორე ნახევარი კი სტილთა გამოყენების სითამამით, ოსტატობითა და მრავალფეროვნებით საეტაპო მნიშვნელობის ადგილს იმკვიდრებს სათეატრო არქიტექტურის ისტორიაში.

## TOWARDS THE HISTORY OF THEATRE ARCHITECTURE OF THE 19$^{TH}$ CENTURY

In the history of theatre and, in general, in the history of Georgian art, theatre architecture is one of the important, underexplored, and, at the same time, the subject of complex research. Among few studies, existing in Georgian scientific literature in this direction, major place is given to Tbilisi Theatres. It has its logical background. The first theatrical structures of European type appeared in Georgia exactly in Tbilisi, since the middle of the 19$^{th}$ century. Together with the theaters, originally designed and constructed as theatre buildings (the so-called Caravanserai Theatre of Tbilisi, 1847 – 1851, architect – G. Scudieri, Summer Theatre, 1870 / 1872 – 1876 – architect – A. Salzmann, K. Zubalashvili City People's House, 1901 – 1909, architect – S. Krichinsky, Theatre of the "Artistis' Society", 1898 – 1901, architects – A. Shimkevich, K. Tatischev, Treasury Theatre, 1880 – 1896, architect – V. Schröter) there are buildings, reconstructed as theatrical spaces (The Manege Theatre, 1845, architect – I. Ivanov, Theatre of Land Bank of Nobility, 1878 / 1887 – 1888 – architect – P. Stern). According to architectural structure, these buildings are theatrical structures of closed type with prospective stage-box and tiered hall (this composition of theatre architecture, created in Europe remains unchanged to nowadays). Its formation proceeded during the 19$^{th}$ century. and completed in the beginning of the last century.

The role of Tbilisi, as the capital city, in the history of theatre architecture, is remarkable; yet, it is only one constituent part of general mosaic of extremely remarkable and interesting picture, created by theatrical structures, still preserved in provinces of Georgia, which have not been studied yet. Graphical, photo, documentary materials, preserved in archives, museum funds and depositories, reflecting still existing, as well as non-existing examples of theatrical architecture, also are the subject of research.

In the book "Towards the history of theatre architecture of the 19th century ", four such examples of theatrical architecture are considered: Tbilisi Summer Theatre, Theatre of the Nobility Bank, Borjomi Summer Theatre, designed by architect Paul Stern in 1895, on the basis of Mikhail (the son of Nicholas) Romanov order and we know it only according to the archive materials (the Theatre was destroyed by the flooding of the 1922) and Kvemo Machkhaani Village Theatre (1897), which still exists and represents one of the oldest theatrical buildings in Georgia.

## THE SUMMER THEATRE OF TIFLIS

In the 1870s there existed two European style theatre buildings in Tbilisi: the Caravansarai Theatre of Tamamshev (1847-1851, architect Giovanni Scudieri) in Paskevich-Jerivanski Square, the so-called Karavansarai Theatre and the Summer Theatre in the Garden of the Engineering Authority.

The architect Albert Salzmann (1833-1897) was commissioned to design the building project of the summer theatre. The place of construction was chosen at the crossroads of the Engineering Road and the Water Carrier Road (today Soliko Virsaladze and Marie-Brosset Streets) on the right bank of the Kura river, in the garden of the Engineering Office. The framing for this theatre building can be seen on 19th century Tbilisi city plans. The work on the construction project was to begin in 1869. It seems that the construction works were implemented quite intensively and in this way the new summer theatre next to the Karavansarai Theatre was built and opened in a short time, with a beautiful garden and the relevant infrastructure. The Italian opera and the Russian drama theatre troupes operated in this building. Later on, there was also present the Georgian drama troupe.

The original building of the summer theatre was wooden. The two tiered auditorium had parterre and boxes - 2 boxes in the first tier and 23 boxes in the second tier... Both of the tiers were surrounded

by a wide corridor with 12 doors. The upper tier doors opened to the balcony, while the lower tier opened directly to the garden. The theatre hall was painted by the decorator Knoll. With the help of its open exterior the summer theatre was directly connected to the garden. The building was characterized by naturalness and pleasant simplicity. This summer theatre was the second building (after the Karavansarai Theatre) which had been specially constructed as a theatre in the capital of Georgia.

The Karavansarai Theatre burnt down in 1874. Therefore the summer theatre became the main center. Thus, in order to adjust the building for winter uses it was reconstructed and additional walls and stoves were added to it.

The construction of the opera house was completed in 1896. The summer theatre gradually lost its importance. Already at the end of the $19^{th}$ century it was named as the Old Treasury Theatre. On the 1903-1904 map of Tbilisi city (it was edited in 1906) the summer theatre is no longer marked. Apparently it must have functioned until 1906.

Tbilisi's summer theatre played an important role in the theatre life of the 19th century. World famous musicians, singers, conductors, opera and theatre actors performed here. Fyodor Shaljapin began his singing career on this stage. With the presence of P. Tshaikovsky his opera "Mazepa" was performed here, and the famous musician and composer A. Rubinstein gave concerts on this stage. The activities of the composer M. Ipolitov-Ivanov is also connected to this theatre. On the stage of the Summer Theatre several Georgian actors became great artists: V. Abashidze, L. Alexi-Meskhishvili, K. Marjanishvili and others. The theatre play "Homeland" by D. Eristavi was first staged here. The renovated and established as a permanent Georgian theatre troupe had their first performance (1879) in the summer theatre of Tbilisi, too.

The next stage of the history of the Georgian professional theatre is connected to the Theatre of the Noble Bank. This theatre building has not reached to our times either.

## THE THEATRE OF THE NOBLE BANK IN TIFLIS

The Theatre of the Noble Bank in Tbilisi was located on the site where the A. Griboedov State Drama Theatre has its seat - at Rustaveli Avenue, no. 2/4. This route - from Freedom Square to the Youth Palace - was called the Sasakhle (Palace) Street since the 1860ies. The theatre was part of the Karavansarai building and had been reconstructed several times over the years. After the theatre of G. Scudieri, it was the second precedent of mixing the theatre building with the Karavansarai in the history of theatre architecture in Tbilisi and in Georgia, in general.

The project of the Theatre of the Noble Bank is connected with the names of many famous architects and artistic society members who worked in Tbilisi. The theatre had been altered four times in four decades. The reconstruction process continued from the second half of the 19$^{th}$ century to 20$^{th}$ century - the last reconstruction was carried out at the beginning of the 20$^{th}$ century. In 1914 the theatre burned down.

The history of the theatre begins in 1878 - the first private theatre was opened in 1879 in the part of the Caravansarai building which was altered as into a theatre hall by the architect Adolf von Skojan. It was a two-storey, semi-circular theatre, the were 250 seats in the parterre, 11 tier boxes and an “Olymp”/gallery with 100 seats. The building was bought by the Noble bank which is why it was also called as the “Noble Bank Theatre”.

In 1887 the nobility bank commissioned Paul Stern with a new theatre project. He already had an experience in working on theatre architecture: he supervised (until 1882) the construction of the opera house. He was the author of the Borjomi Summer Theatre project (1895). His name is among the authors of the theatre project of the “Artists Society” at the end of the 19$^{th}$ century in Tbilisi.

According the P. Stern project the following changes were made: The auditorium, which originally had 400 seats, was transformed into a theatre hall with 800 seats. The semicircular shape of the hall was changed as an elongated rectangular shape

with long corridors, Baignoire and Bel-Etage boxes, which had not existed before. Apart from the parterre, there was also a gallery similar to the amphitheatre. The reconstruction also affected the exterior of the building and it received a distinguished appearance, characteristic for the theatres.

The noble bank theatre was later reconstructed in 1901 and 1906-1908. The author of the last reconstruction was Christophor Ter-Sarkisov-Satunz (1875-1917). Then the theatre building received the signs of the Empire style. The auditorium had two tiers and the hall had a deep box-like stage. The parterre was surrounded by the Baignoires and Bel-Etages, there was a deep orchestra pit and a gallery. This theatre is an example of the theatres with tiers of the $19^{th.}$.

For almost 35 years, the building of the Theatre of the Noble Bank was house of the Georgian drama theatre - a theatre that played an important role in the history of Tbilisian and generally Georgian culture of the $19^{th}$ and $20^{th}$ centuries.

## BORJOMI SUMMER THEATRE

Design project of the Borjomi Summer Theatre, signed by architect Paul Stern and dated back to the year 1895 is preserved in the Depository of Drawings and Sketches of Old Georgian Architectural monuments in Sh. Amiranashvili State Museum of Art of the National Museum of Georgia. The National Museum received the project from Georgian Resort Division on October 31, 1950 (Act #30. Registered in #1 Inventory Log of Art Museum "Metekhi"). Brown case-folder for drawings with printed golden inscription: "ПРОЕКТЪ ЛЕТНЕГО ТЕАТРА В ИМЕНИИ ЕГО ИМПЕРАТОРСКОГО ВЫСОЧЕСТВА ВЕЛИКОГО КНЯЗЯ МИХАИЛА НИКОЛАЕВИЧА "БОРЖОМЪ" ("Design of Summer Theatre in the Estate of his Imperial Majesty Great Prince Michael the son of Nicholas "Borjomi") belongs to the same period. In the

bottom right corner – “В. ФОРКАТТИ” (V. Forkatti).

There are seven drawings and sketches in the folder, made on paper by pencil, water-colour, Indian ink, pen. 1) Master Plan (“Генеральный планъ”); 2) parterre plan (“Партеръ”); 3) boxes and gallery plan (“Ложии и галерея”); 4) longitudinal section (“Продольный разрез”); 5) main façade (“Главный фасадъ”); 6) and 7) - sketches, depicting the theatre facades. Unlike others which bear the architect’s signature and date – “Архитектор П. Штернъ 23 Авг. 1895 г.” (`Architect P. Stern. Aug. 23 1985) the 6th and 7th sketches bear the decree on approval of construction with indication of location. “На возведении по означенному плану постройки театра въ И. Боржоми в доль реки Куры, близ Олгинского моста съ соизволения Его Императорского высочества Михаила Николаевича – утверждено 28 ноября 1895 года. Управляющий Двором Генерал-Майор Озеровъ”(“With the permit of His Imperial Majesty Michael the son of Nicholas, I hereby approve construction of the theatre building according to the presented plan, in Borjomi estate, along Kura river, near Olga bridge. November 28, 1895. Palace Manager, General-Major Ozerov”).

Thus, there are two plans of Borjomi Theatre in V. Forkatti’s album.

The first plan consists of five drawings (## 1, 2, 3, 4, 5); their sizes are similar; the second – consists of two sketches (## 6, 7). In the first case, the date is August 1895, in the second case – November 28, 1895.

The first theatre is a wooden one – with Russian-style façade, the second (stone) building has classical renaissance motives, with wooden elements.

According to the first plan, it belongs to the category of small theatres with rectangular tiered audience hall, accommodating 460 spectators; while according to the second plan it includes theatrical hall of semi-circular or horseshoe-shaped form.

The first plan is signed by the architect – Paul Stern, whereas the second one is approved with permission of imperial family

member, Great Prince Michael the son of Nicholas.

The location, allocated for the construction of the first theatre is not seen on the plan, whereas the second one shall be built "*in Borjomi Estate, along the Kura River, near the Olga Bridge*".

Borjomi Theatre has never been the subject of research so far.

Photo and documentary materials, depicting 19th century Borjomi, preserved in archives and museums, give quite detailed idea about history, urban development, architecture and life in Borjomi. However, information about the theatre is so scarce that even a photo, depicting the theatre building could not be found so far; thus, the significance of the project of Borjomi Summer Theatre, preserved in Sh. Amiranashvili Museum of Art of the National Museum of Georgia is immense.

Alongside with this design project, in the book there are also reviewed the plans of Mineral Water Park, where the theatre building is mapped; the plans of Mineral Water Park are preserved in Borjomi Local Lore Museum. On the basis of correlation of these materials, location of Borjomi Summer Theatre can be identified and its architectural appearance can be reconstructed.

Together with graphical materials, there are analysed and chronologically presented the identified archive and documentary materials related to Borjomi Theatre; among them there are Borjomi guides, periodicals, official documentation, memories of contemporaries of the end of 19th and beginning of 20th centuries.

According to the Paul Stern project, the Summer Theatre was built at the entrance of the Borjomi Mineral Water Park, in 1897. The wooden theatre building was destroyed by the flooding of the 1922, and afterwards the theatre was not reconstructed in the park.

Built according to Stern's project, the Summer Theatre in the Mineral Water Park actually, was the only theatrical building in Borjomi; its short, but interesting history counts only the quarter of the century. Borjomi Theatre appears on the map of theatrical buildings, and, consequently, in the history of theatrical architecture of Georgia, for the first time.

## KVEMO MACHKHAANI VILLAGE THEATRE

The two-storied, closed-type theatrical building with prospective stage-box and rectangular tiered hall with 250 places, heaters, original scenic structures and inventory was built in 1897 - 1899 in Kakheti, Kvemo Machkhaani Village, on the initiative of and funded by the local community. It is preserved in almost unchanged, original form. The theatrical structure has the status of cultural heritage immovable monument.

In 2018, the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia prepared the reconstruction-rehabilitation project of the Kvemo Machkhaani Village Theatre (NNLP "Engineering Idea"). The next stage will be the implementation of restoration works and returning the function of a theatre to the building.

The notes about staging performances in Kvemo Machkhaani village appear since 1887 (newspaper "Iveria", 1887, #142). By that time, due to the absence of a theatre building, performances were staged in the school building. The performances had charity purposes and the collected funds were sent to support the "Society for the Spreading of Literacy among Georgian". Such plays were also attended by the spectators from nearby villages. The performances were also staged with a purpose of establishment the library. Meanwhile, the matter of constructing the theatre building becomes increasingly actual, the whole village unifies around this idea. Its location and main characteristics are defined – the theatre shall be built in the village center,  next to the church and it shall be wooden. The library (book depository) will also move to the theatre building and performances, lectures, concerts will be held there every Sunday.

Nikoloz (Kola) Eristavi (1865 – 1933), the last heir of the family of Ksani Eristavi and famous declaimer made special contribution to the construction of the Kvemo Machkhaani Theatre. The same applies to the writer and publicist Dimitri Nadiradze, also named as Dimitri Machkhaneli (1963 – 1903), who was one of the leaders and initiators of this arrangement.

The press of that time showed great interest towards the performances staged in Kvemo Machkhaani Village. Construction of the theatre was also in the scope of attention. In 1892, the fund of theatre hall was already established. For the “Theatre Fund” the charity performances continued to be staged during the following years.

For May 17, 1897 the performance was announced to be held in the newly constructed building of Kvemo Machkhaani. The 1897, 14 May issue of newspaper “Iveria”, (#92) informs us: “Kvemo Machkhaani Village: Performance will be staged on 17, this month, in the newly built-equipped theatre. Mr. D. Atskureli is invited from Telavi.”

The Theatre does not have permanent troupe. Performances are played by amateurs and invited actors from Telavi and Tbilisi. These performances have wide resonance. Performances are attended by lots of people and the Theatre is always full of spectators.

The theatre, built in 1890-ies., stands in the village center. Presently, it is an altered architectural structure, village school is integrated with the theatre building; it is attached to the backside of the theatre, in the east part (assumedly, not long after the theatre was built); besides, the school occupies the north and west spaces of the theatre (around the spectator’s hall). Due to different styles, the exterior of the theatre looks eclectical. The main, west façade has classical elements, and the east façade (where the school was attached later) looks as a typical traditional dwelling (brick and wood) with balcony.

The Kvemo Machkhaani Village theatre is a monumental, two-storied building with prolonged plan from west to east; Its rectangular shape includes one-tiered spectators hall, stage box, north and west spaces on the second floor and galleries. The interior includes foyer with rooms on both sides, theatrical hall, stage with backstage (only on one side, in the north) and orchestra pit. On the level of the second floor, there is prolonged oval tier, with chairs around it. The interior of the theatre is equipped with heaters, built in the walls, which, in addition to the spectators’ hall,

open to adjacent spaces and heat the whole building. Art Nouveau style wooden chairs, existing in the interior, are of the same time as the building itself. They survived in almost undamaged state. The balcony chairs are altered and increased in number.

The ceiling of the auditorium is altered. Assumedly the present appearance was given to it in 1990-ies (wooden ceiling is covered with brown stamped plastic panels). Smooth and simple concaved cornice finished the walls of spectators' hall and moved to ceiling, which was painted initially.

The length of the theatre stage is almost half of the spectators' hall. Old wooden structures with metal grips, which are still usable, intended for change of decorations, are preserved in the stage box.

There exist only verbal information on existence of rotating stage in Kvemo Machkhaani Village Theatre (as well as the information about moving it later to Tbilisi, Marjanishvili Theatre). Gogi Mosulishvili who was the leader of Kvemo Machkhaani Club in 1960ies, confirms the existence of rotating stage in the Theatre. Presently, the floor of the stage is changed, and the structures under it are of later period. There are no traces of it presently. It was an important technological innovation for that time; besides, it allowed fast change of decorations without breaks and reduction of entractes.

Rotating stage was invented by theatrical mechanical engineer Carl Lautenschlager and was first used in 1896 in Residence Theatre in Munich. In Russia, rotating stage, in addition to Maly Theatre, was is Artistic Theatre. As soon as in two years it was arranged in Tbilisi, "Artistic Society", i.e. Rustaveli Theatre (1898 – 1901). If Kvemo Machkhaani Village Theatre, built in the same period, also had rotating stage (of much smaller dimensions) (otherwise it is difficult to explain the information about existence of such stage, preserved in the memory), it stands by the side of one of the best theatres of the capital city and, in the wider, context, it is among very few theatres throughout Europe, where newest technologies are used.

Presently, two curtains, painted in the 20th century, decorate Kvemo Machkhaani Village Theatre; one depicts Lenin, standing in ZAHES and this curtain covers the stage arc; the other one depicts the forest (in the depth of the stage). They are not on the same period as the theatre building.

In regard to the Theatre curtain, we can obtain an interesting information in the newspaper “Iveria”, issue of 1899 (#154). It retells about photographer Vasil Roinashvili, who visited Kvemo Machkhaani Village in 1899 to take photos of monuments and not only promised the locals to paint the Theatre curtain, but almost started working on it. It is stressed in the article, that V. Roinashvili “paints beautiful curtain for Machkhaani People’s Theatre free of charge...”.

We come across to the detailed description of Kvemo Machkhaani Theatre curtain, prepared in 1908 (newspaper “Amirani”, #18): “In Kvemo Machkhaani Village, the local stage-lovers performed D. Eristavi’s play “Homeland”... Imagine my surprise, when I entered the hall: first, my attention was caught by the curtain of the Theatre. Georgian woman, with a torch in her hand, illuminating the surroundings, is painted on the curtain. Caucasian mountains can be seen far away. Beneath the mountains, there is big forest and Alazani – next to the forest; and in the front, Queen Tamar’s castle is erected.” Whether this curtain was painted by V. Roinashvili or not – we can only make assumptions, as the curtain has not survived to nowadays.

Famous artists – V. Abashidze, Nato Gabunia, etc. performed on Kvemo Machkhaani theatre stage; and in 1920, directorial debut (A. Sumbatashvili’s “The Betrayal”) of the famous stage director of 20th century, one of the founders of modern Georgian theatre, S. Akhmeteli took place in Kvemo Machkhaani Theatre. By that time, S. Akhmeteli was still the student of Faculty of Law, at St. Petersburg.

The significance of one of the oldest theatrical buildings, built in Kvemo Machkhaani Village in 1897 – 1899, preserved in its original form, goes beyond the history of only one village or region

and occupies remarkable place in the context of cultural life of Georgia of the 19$^{th}$ century.

Thus, in the same period, in two different regions of Georgia – Borjomi and Kvemo Machkhaani Village, located near Signagi, theatrical structures of different type and dimensions were being designed and constructed at the end of the 19$^{th}$ century. Their clients are different from each other, too. In one case, the client is Russian Emperor's family, in the other, its the village community; That's one more interesting layer, important for understanding of the peculiarities of Georgian history and culture of the 19$^{th}$ century.

The buildings examined in the book reflect the trends of the spirit of the times. Of these four theatre buildings built in the second half of the 19th century in Tbilisi and the provinces of Georgia, three have not survived: The Summer Theatre of Tiflis (1870), The Borjomi Summer Theatre (1895), The Theatre of the Noble Bank in Tiflis (1878). Of the exhibits studied, only the Kvemo Machkhaani Village Theatre (1897) has survived today.

On the basis of the archival materials, we have tried to "reconstruct" the former architectural form and history. This process involved tracing and determining the construction site, the construction chronology, the reconstruction date of these theatre buildings, as well as the person of the architect.

The present work illustrates that in 19th century Georgia, following the example of Tbilisi, theatres were also built in the peripheries. In the course of about 50 years, 6 theatre buildings functioned in Tbilisi - the Theatre of the Manege, Caravanserai, Summer Theatre, Noble Bank Theatre, State Theatre (Opera), Theatre of the "Artistic Society". It is rare to find a city without the theatre life. Theatre performances are held in Zestafoni, Borjomi, Signagi, Khoni, Senaki, and other towns. This tendency is reinforced by the fact that in the 80's of the 19th century theatres were also built in other towns: in Kutaisi (burnt down in 1894), in Batumi (in 1884 a family theatre building made of wood was erected; in 1888 a theatre in the house of Ananjev, with a hall for 600 spectators); in the 90's a theatre was opened in Ozurgeti,

in 1900 - in Chiatura. None of these buildings has reached us. It is clear that such a number spoke of a special interest in the art of theatre, as well as of the importance of theatre life and at the same time of the high level of social-cultural life.

All the theatre buildings we have studied represent a European type of theatre with a roof, a tier system and a box-shaped stage, equipped with all the technical and technological innovations that existed in theatre construction at that time. For example, the hoof-like shape of the theatre building proved to be one of the best from the visual and acoustic point of view, which was used with certain variations in the theatre of the caravanserai, in the theatre of the noble bank. In the theatre of Kvemo Machkhaani village, the optimal two-layer rectangular shape for a small hall was applied. The theatre building of the "Artistic Society" and possibly the stage with a turntable, which was to ensure a quick change of scenes, in the theatre of the village of Kvemo Machkhaani speaks of the knowledge and application of modern technologies. These theatre buildings reflect the main trends of the time. The stylistic eclecticism that characterised 19th century architecture is also evident in the theatre designs. However, the second half of the 19th century is characterised by the daring, mastery and diversity of the use of different styles. In this way, it occupies a special place in the history of theatre architecture.

ბიბლიოგრაფია:


1. ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები, I. თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1960;
2. ბერიძე ვ., თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლები. II. თბილისი. საბჭოთა საქართველო. 1963;
3. ბეჟანიშვილი გ., რუსთაველის პროსპექტი და მოედანი, თბილისი, განათლება, 1967;
4. ბუხნიკაშვილი გ., ქართული თეატრი ასი წლის მანძილზე, თბილისი, სახელგამი, 1950;
5. გუნია ვ., დიმიტრი ნადირაძე (მაჩხანელი), „საქართველოს კალენდარი" 1904, ტფილისი, 1903;
6. დოლიძე ი., სათეატრო არქიტექტურა საქართველოში, თბილისი, პოლიგრაფი, 2005;
7. დოლიძე ი., „მუზეუმში დაცული ერთი ექსპონატის შესახებ", ჟურნ. „სპექტრი", №1. 2008;
8. დოლიძე ი., თბილისის ძველი თეატრი, კრებული, „ხელოვნებათმცოდნეობითი ძიებანი", №3. 2009;
9. დოლიძე ი., თბილისის ძველი თეატრი, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი, თბილისი, №3(40). 2009, გვ. 109-113,
10. დოლიძე ი., თეატრი-მუზეუმი - სოფელ ქვემო მაჩხაანის თეატრი, ჟურნალი „ძველი ხელოვნება დღეს", თბილისი, №7. 2016;
11. დოლიძე ი., სათეატრო არქიტექტურის ერთი ნიმუშის შესახებ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მუზეუმი და კულტურის სტრატეგია" მასალები, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XXVI, ქუთაისი, 2016, გვ. 54-63;
12. გაზ. „დროება," №28, 17(29).07.1870;
13. თუმანიშვილი გ., როგორ აიდგა ფეხი ქართულმა თეატრმა, თბილისი, 1880;
14. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1914, №№ 4 /35;
15. გაზ. „ივერია" , 1887, №№ 142 / 251; 1888, № 138; 1889, №№ 149 / 269; 1890, № 144/153; 1891, №№ 148 /

174; 1892, №№ 142 / 170 / 175 / 186; 1893, № 179; 1894, №№ 76 / 154 / 171 / 269; 1895, №№ 55 / 89 / 123 /143/151/166; 1896, № 5; 1897, №№ 92 / 162 / 163; 1898, № 221; 1899, №№ 146 / 154 / 155 / 158 / 162 / 164 / 175 / 176 / 178 / 195 / 222 / 223; 1900, № 186; 1903;

16. იოვიძე ი., თბილისის თეატრების ისტორიისათვის, საისტორიო მოამბე, ტ. 13-14, თბილისი, 1961;
17. იოვიძე ი., თბილისის თეატრების ისტორიისათვის, საისტორიო მოამბე, ტ. 15-16, თბილისი, 1963;
18. კაშმაძე შ., თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, 1851-1921. I. თბილისი. ფავორიტი სტილი. 2015;
19. კაჭარავა ე., ბორჯომი, თბილისი, 2015;
20. კიკნაძე ვ., ქართული დრამატული თეატრის ისტორია, I ტ., თბილისი. 2001;
21. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბილისი, მეცნიერება, 1981;
22. გაზ. „ლახვარი“, №18. 1907;
23. ჟურნ. „მათრახი“, №24. 1914;
24. მანია მ., თბილისური ეზოს ტრანსფორმაციები, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №3. 1985;
25. მანია მ., არქიტექტორი პაულ შტერნი და XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის თბილისი, ჟურნ. „ძველი ხელოვნება დღეს“, №8, 2017. გვ.3-19;
26. მანია მ., თბილისის ერთი უცნობი ჩანახატი, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, №2. 1998;
27. მანია მ., გერმანელი არქიტექტორები თბილისში, თბილისი, 2018;
28. მირიანაშვილი მ., მუშკუდიანი ქ., რუსთაველის თეატრის შენობა, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი“, №3, 1987. გვ. 65;
29. მაჯდ-ოს-სალტანე, ქალაქ თბილისის აღწერა, თბილისი, მეცნიერება, 1971;
30. საფასადო ქანდაკება თბილისში, XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი, ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი, თბილისი, 2008;

31. „სახალხო გაზეთი“, სურათებიანი დამატება, №19. 1910;
32. სოსანიძე-ვაშაკიძე დ., მოგონებები, ბმმ N 6385-3;
33. ცაგარელი ა., მოგონებანი (მუდმივი ქართულ დრამატული სცენის დაარსებიდან), 1900, http://www.allgeo.org/index.php/ka/2179-2020-01-25-08-28-16 (გადამოწმებულია 17.10.2020);
34. ხუჯაძე გ., შრომა, განათლება, კულტურა და ჯანმრთელობის დაცვა 1870-1933, 1958. ბმმ საინ. №4582;
35. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1896, № 9; 1897, №№ 12/199 / 352; 1898, № 588; 1899, №№ 880 / 1911 / 910; 1900, №№ 1221 / 1338; 1902, №№ 1871 / 1885; 1903, № 2558; 1904, № 2298;
36. გაზეთი „კომუნისტი“, №165. 1922;
37. გაზეთი „ქნარი“, №12, 2001;
38. ხაჩიაშვილი ქ., დიმიტრი მაჩხანელი, ჟურნ. „მნათობი“, №5. 1972. გვ. 157-162;
39. ყაჯრიშვილი გ. საქართველოს თეატრალურ ნაგებობათა ისტორიისთვის, თეატრალური მოამბე, №6. 1987;
40. Бархин Г. Архитектура театра, Москва, Издательство академии архитектуры СССР, 1947;
41. Боржомь. Справачная книжка. Издание Дирекцій Боржомскихь Минеральводь. 1903;
42. Вдадыкин М., Путевадитель и собеседник в путешествии по Кавказу, Москва, типография И. Родзевича и В. Исленьева, 1874;
43. Городской народный дом им. К.Я. Зубалова, Тифлись, Типография К.П. Козловского, 1913 г;
44. Дюма А., Кавказ, Тбилиси, Мерани, 1988;
45. Джаншіев Гр., Перль Кавказа. Боржомь и его окрестности, Москва, типография А., Мамонтова и К. Леонтьева. 1886;
46. Квирквелия Т., Архитектура Тбилиси, Москва, Стройиздат, 1985;
47. Москвичь Гр., Илюстрированный практическій путевадитель по Кавказу, Одесса, тип. Гю М. Левинсона. Издание четвертое, 1899;

48. Москвичь Гр., Илюстрированный практическій путевадитель по Кавказу, Одесса, тип. Л. Нитче, Издание  десятое, 1905;
49. Современный  Очерк Хозяйства  Въ Боржомскомъ ЕГО ИМПЕРАТОРСКОГО  ВЫСОЧЕСТВА государя великого князя Михаила Николаевича заповедникомъ именіи,  составиль Як. Васильевь, Управляющий Боржомским имениемь.  Тифлись, 1889;
50. გაზ. „Кавказ“, №31, 02.08.1847  /  №80, 12 (24). 07.1870 / №81, 14.07.1871 / №169,  29.06.1890. /  №85,  31.03.1897 /  №128, 04.06.1906  / №28, 04.02.1906 /  №31, 21.02.1907  / №286,  14.12.1908. /  №287,  16.12.1908. /  №218,  26.09.1914 / №218,  26.09.1914;
51. „Кавказский Календарь на 1871 годъ“, XXVI. Тифлисъ, 1870;
52. „Кавказский Календарь на 1880 годъ“,  XXXV. Тифлисъ, 1879;
53. „Кавказский Календарь на 1882 годъ“,  XXXVII. Тифлисъ, 1881;
54.  „Кавказский Календарь на 1886 годъ“, XLI. Тифлисъ, 1885;
55. „Кавказский Календарь на 1899 годъ“, LIV. Тифлисъ,  1898;
56. „Кавказский Календарь на 1902 годъ“, LVII.  Тифлисъ, 1901;
57. „Кавказский Календарь на 1909 годъ“,  LXIV. Тифлисъ, 1908;
58. „Тифлиский  Листок”, №263,  14.12. 1908/ №264, 16.12.1908;
59. https://teatri.ge/qartuli-satavadaznauro-teatri/). ქართული სათავადაზნაურო  თეატრი  (გადამოწმებულია 17.10.20)
60. Dolidze I., The Thesatre and Museum Space: The Village Kvemo Machkaani Theatre – Museum,   Proceedings of the ICLM Annual Conference 2015, ICOM, Paris, 2016, pp. 74-89.

დაიბეჭდა სტამბაში ,,კენტავრი“

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი
0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. № 40



IRMA DOLIDZE

TOWARDS THE HISTORY OF THEATRE ARCHITECTURE OF THE 19TH CENTURY